პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრობ) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებებში, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- კალკუტის (ინდოეთი) ფეიქრებმა უარჰყვეს შეთანხმება მრეწველებთან
- ებრაელთა დარბევა კოვნოში (ლატვია)
- საბჭოთა კავშირში მოემგზავრება შვეციის მუშათა დელეგაცია
- დანიის მუშები მოითხოვენ 7 საათის სამუშაო დღეს
- ინგლისელი რკინისგზელები უარს ამბობენ ხელფასის შესახებ არსებულ შეთანხმების ვადის გაგრძელებაზე
- კლაუზენბურგის (რუმინეთი) ციხიდან განთავისუფლებული კომუნისტები სიკვდილის პირას არიან
- ამერიკის მრეწველთა დელეგაციის გამგზავრება საბჭ. კავშირიდან

პარასკევი, 16 აგვისტო 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 187 (2533)

პარასკევს, 16 აგვისტოს მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქართველოს ეკონომიურ საბჭოს სხდომა
დასაწყისი დღის 12 საათზე.
ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართ. **მეზრელიშვილი.**

წყნარ-ოკეანეს პროფკავშირთა მეორე ყრილობა

ვლადივოსტოკში გაიხსნა წყნარ-ოკეანეს ნაპირებზე მდებარე ქვეყნების პროფკავშირთა მეორე ყრილობა. ამ ყრილობას დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. მან სამართლიანად უნდა მიიპყროს მთელი პარტიისა და მშრომელთა ფართო მასების ყურადღება, განსაკუთრებით ეხლა, საბჭოთა კავშირზე პროვოკაციული თავდასხმის ისეთ პირობებში, როგორსაც ადგილი აქვს შორეულ აღმოსავლეთში, და ისეთ დროს, როცა იწყება რევოლიუციონური მოძრაობის გაფართოვება არა მარტო დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ კოლონიალური აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში (განსაკუთრებით ინდოეთში).

წყნარი ოკეანე, ინდოეთი, ჩინეთი, და მალაის ნახევარ კუნძული,— აი ბრიტანეთის იმპერიალიზმის საფუძველი. ბრიტანეთის იმპერიალიზმი ამ ქვეყნებიდან იღებს თავის სიმდიდრის უდიდეს ნაწილს. ამ ოკეანესკენ, სადაც უდიდესი ბაზრები, ნედლეულის მარაგი და იაფი, თითქმის მუქთი, შრომაა, გააფთრებით მიისწრაფიან უფრო ახალგაზრდა იმპერიალისტური სახელმწიფოებიც, როგორც იაპონია და შეერთებული შტატები. წყნარი ოკეანე — მსოფლიო იმპერიალიზმის ძირითად ბაზისს წარმოადგენს.

ამავე ოკეანეს მიდამოებში, მშრომელთა მასების ექსპლოატაციის ზრდის საპასუხოდ, ვითარდება ჩაგრული ხალხების უდიდესი რევოლიუციონური განმათავისუფლებელი მოძრაობა. პირველი ყრილობის წინ ხანკოუში (1927 წლის ზაფხულს) ჩინეთის რევოლიუცია უაღრესად ვითარდებოდა. უფრო ადრე (1926 წლის დამლევს) აჯანყება მოხდა ჰოლანდიის ინდოეთში და იავას და სუმატრას კუნძულებზე. ორივე ამ ქვეყანაში მოძრაობის მეთაურებად გამოვიდნენ კომპარტიები და წითელი პროფკავშირები. შედარებით „კეთილსასურველი მდგომარეობა“, იმპერიალისტების თვალსაზრისით, იყო ფილიპინის კუნძულებზე და ინდოეთში, სადაც იმ დროისათვის ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო პროლეტარული რევოლიუციონური აქტივი, სადაც პროფმოძრაობა ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტების მზრუნველობისაგან.

მსოფლიო იმპერიალიზმმა მშვენივრად შეიგნო რევოლიუციონური პროლეტარული ხელმძღვანელობის როლი და მნიშვნელობა არა მარტო მუშათა მოძრაობისთვის, არამედ მთელი ანტი-იმპერიალისტური მოძრაობისათვის. იგი დასახმარებლად მოუწოდებს თავის ერთგულ მსახურებს — რეფორმისტებს. ბრიტანეთის იმპერიალიზმის მეთაურობით სწარმოებს საერთაშორისო რეფორმიზმის ძალთა ფართო მობილიზაცია, რათა „დაიხსნან“ ინდოეთი და რევოლიუციონურ ხანძარს გადაარჩინონ ინგლისის ეს მთავარი კოლონია. იქითკენ მიეშურებიან ბრიტანეთის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს და მუშათა პარტიის მხცოვანი ბელადები, იქ გზავნის ამსტერდამი ფეიქართა „საერთაშორისო“ დელეგაციას ტომას შოუს მეთაურობით, დელეგაციას, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ გერმანელი რეფორმისტებიც. ადგილობრივ მათ ეხმარებიან ამსტერდამის ღირსეული მოწაფეები, ბრიტანეთის იმპერიალიზმის უერთგულესი მსახურნი ჯოში, შივა და რაო—ნაციონალური კონგრესის ცნობილი მოღვაწენი. ლონდონს და ამსტერდამს არ ჩამორჩება ერთა ლიგასთან არსებული შრომის ბიუროც, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალ-იმპერიალისტების მღვდელთმთავარი ალბერტ ტომა. ჟენევაში იქმნება პანაზიური კონფერენციის მოწვევის პროექტი, რათა თავი მოუყარონ და გააერთიანონ აზიური რეფორმიზმის მთელი ძალები და დაუპირისპირონ ისინი „მოსკოვს“, წყნარ-ოკეანეს სამდივნოს, რევოლიუციის ძალებს.

მაგრამ ყველა შრომამ ამაოდ ჩაიარა, ინდოეთში ინთება რევოლიუციონური ხანძარი. საგაფიცვო მოძრაობის გაფართოვება მისი დარაზმულობა და სიმტკიცე, ინდოელ მუშათა შეგნების ზრდა, ბოლოს, ჩამოყალიბება მემარცხენე ფრთისა, რომელიც ინდოეთის მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელი გახდა, — ეს ფაქტები სავსებით გარკვეული ენით ლაპარაკობენ. თვით ჯოში შრომის ბიუროს უკანასკნელ კონფერენციაზე ჟენევაში, მიმდინარე წლის მაისს, იძულებული გახდა ეთქვა თავის კოლეგებისათვის: „არის კიდევ მეორე გავლენა, რომელსაც ცენტრი მოსკოვში აქვს და რომელიც ჟენევისაგან განსხვავდება თავისი იდეალებით და მეთოდებით. ეს გავლენა თავისი ფართო და უდიდესი დაპირებებით ძალზე მოქმედობს მუშების ფანტაზიაზე“. ჯოშის უბედურება იმაშია, რომ „მოსკოვის მეთოდები და იდეალები“ მარტო ფანტაზიაზე არ მოქმედებენ, ისინი თავის ბეჭედს ასვამენ ინდოეთის მუშების გამოსვლებს, სჭედავენ ინდოეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ავანგარდს.

ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესი ფორმალურად ჯერ კიდევ არ შეერთებია წყნარ-ოკეანეს სამდივნოს. ბიუროკრატიული ზედაფენა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო იმისათვის, რომ გადაედო — მართალია, ხმების ძალიან უმნიშვნელო უმრავლესობით — ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის წყნარ-ოკეანეს სამდივნოსთან შეერთების საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ ეჭვი არ არის, წყნარ-ოკეანეს სამდივნოს მთელმა მუშაობამ, მისმა გამოხმაურებამ წყნარ-ოკეანეს ნაპირებზე მდებარე ქვეყნებში და თვით ინდოეთში მომხდარი ამბების გამო, მისმა მიმართვამ ინდოეთის მუშებისადმი და იმ ცოცხალმა კავშირმა, რომელიც მან, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მაინც დაამყარა, ბევრად შეუწყო ხელი მემარცხენე ფრთის ჩამოყალიბებას ამ მოძრაობაში, რისიც ასე ეშინიათ იმპერიალისტებს და მათ რეფორმისტ აგენტებს. მხოლოდ გამძვინვარებულ დევნას, მასიურ დაპატიმრებას და სამხედრო-პოლიციური ზომების მთელ რთულ სისტემას შეეძლო შეეშალა ხელი ინდოეთის მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის წარმომადგენლებისათვის— უშუალო მონაწილეობა მიეღოთ წყნარ-ოკეანეს მე-2 ყრილობაში.

შეიცვალა მდგომარეობა ფილიპინის კუნძულებზე — ჩრდილოეთ-ამერიკის იმპერიალიზმის ამ უდიდეს კოლონიაში. წყნარ-ოკეანეს სამდივნოს უშუალო ზეგავლენით ფილიპინის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად იქმნება მემარცხენე ფრთა, რომელიც მთელ მოძრაობას მიმართავს კლასობრივი გზით და ფილიპინის მუშათა კლასს ანთავისუფლებს ბურჟუაზიული პოლიტიკანების ბრჭყალებისაგან.

უმნიშვნელოვანესი მუშაობა ჩაატარა წყნარ-ოკეანეს სამდივნომ „თეთრ“ ავსტრალიაში, ბრიტანეთის იმპერიალიზმის წყნარ-ოკეანეს ამ ციხე-სიმაგრეში. მთელი წლების და ათი წლების განმავლობაში „თეთრი“ ავსტრალიის პროლეტარიატში ღვივდებოდა სიძულვილი და მტრული დამოკიდებულება ფერადკანიანების შრომის მიმართ, ყოველივე არა თეთრის მიმართ. ავსტრალიის მუშათა მოძრაობის დაკავშირება მსოფლიო რევოლიუციონურ, კერძოდ, წყნარ-ოკეანეს მოძრაობასთან, მუშათა კლასში იმ შეგნების აღზრდა, რომ მისი ინტერესები საერთოა იმისდამიუხედავად, თუ რომელ ერს ან ტომს ეკუთვნის იგი და როგორია მისი სხეულის კანის ფერი, —ასეთია, ერთი შეხედვით, უბრალო, მაგრამ ავსტრალიის პირობებში მეტად ძნელი ამოცანა. ავსტრალიის ეკონომიკაში მომხდარი ახალი ცვლილებები, მეტად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა ჰქმნის ახალ, უფრო ხელსაყრელ პირობებს ამ ამოცანის შესასრულებლად, ამოცანის, რომლის განხორციელებად წარმატებით დაიწყო წყნარ ოკეანეს სამდივნომ, მაგრამ დაბრკოლებები ჯერ კიდევ დიდია.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის და სიძნელის საკითხები დაისმის ყრილობის წინაშე ჩინეთის რევოლიუციის საკითხთან დაკავშირებით.

მიუხედავად უმაგალითო სისხლიანი რეჟიმისა, მიუხედავად გადატანილი მძიმე პირობებისა და კომპარტიის და წითელი პროფკავშირების აქტივის საგრძნობი ნაწილის ფიზიკურად განადგურებისა, მიუხედავად ფაშისტური ყვითელი კავშირების დანერგვისა და გომინდანის მთავრობის მოქნილი და სიყალბით გაჟღენთილი დემაგოგიური „მუშური“ პოლიტიკისა, ჩინეთის რევოლიუცია მაინც ცოცხლობს. ამას საკმაო სიცხადით ადასტურებენ გლეხთა განუწყვეტელი მოძრაობა და მუშათა გაფიცვები. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ჩინეთის წითელი კავშირები საიდუმლო მუშაობის უაღრესად მძიმე პირობებში იმყოფებიან და მათი მოქმედება უკიდურესად შეკვეცილია. ეჭვი არ არის, რომ მასიური უმუშევრობისა და სისხლიანი ტერორის პირობებში შანხაის ყვითელმა პროფკავშირებმა შესძლეს თავიანთ რიგებში მუშათა ერთი ნაწილის ჩათრევა. და აი ეს ორი ძირითადი საკითხი — საკითხი წითელი პროფკავშირების აღდგენისა და მათი მოქმედების გაფართოვებისა ორგანიზაციის ნახევრად ლეგალური ფორმების საფარველ ქვეშ, და საკითხი ყვითელ პროფკავშირებში მუშაობის შესახებ იმ მიზნით, რომ მივიმხროთ იქ მყოფი მუშები, გადაიქცევა ყრილობის განხილვის საგნად იმ მრავალმხრივი გამოცდილების ნიადაგზე, რომელიც მას მიღებული აქვს მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში.

ამგვარივე ამოცანები, მაგრამ სხვა პირობებში, სხვა განწყობილებაში და კლასობრივ ძალთა სხვაგვარი დაჯგუფებით დაისმება ყრილობის წინაშე ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორიც არის ინდონეზია, იაპონია, კორეია და სხვ.

ის ორი წელიწადი, რომელმაც პირველი და მეორე ყრილობის შორის განვლო, იყო იმპერიალიზმის აგრესიულობის და რეფორმიზმისა და სოციალ-ფაშიზმის მხრით აღმოსავლეთის მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ შეტევის ზრდის პერიოდი. ეს შეტევა მოგერიებულია. თვით რეფორმიზმმა ყველგან მძიმე მარცხი იგემა. ისეთი კოლონიების მშრომელი მასებისათვისაც კი, როგორიც არის ინდოეთი და ფილიპინის კუნძულები, სადაც ჯერ კიდევ გუშინ მთელი მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიის ხელში იყო, უფრო და უფრო ნათელი ხდება არა მარტო იმპერიალიზმის როლი, არამედ საკუთარი ბურჟუაზიის შემთანხმებლური და არსებითად კონტრ-რევოლიუციონური როლიც. იმდენად, რამდენადაც დაბეჩავებული მასების მოძრაობა თავს აღწევს ბურჟუაზიულ გავლენას, იმდენად, რამდენადაც მაგრდება მუშურ-გლეხური ხერხემალი, იქმნება და ყალიბდება პროლეტარული აქტივი, — არა მარტო მუშათა მოძრაობა, არამედ მთელი რევოლიუციონურ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც სტიქიურად თუ შეგნებულად პირს იბრუნებს საბჭოთა კავშირისაკენ, მის ძლიერ რევოლიუციონურ პროფმოძრაობისაკენ, რომელიც კოლონიალური ქვეყნების, კერძოდ, წყნარ-ოკეანეს ქვეყნების მოძრაობას აკავშირებს მსოფლიო რევოლიუციონურ პროლეტარულ მოძრაობასთან.

სწორედ ამიტომაა, რომ იმპერიალისტები თავიანთი რეფორმისტული აგენტების დახმარებით ასე გაფაციცებით, მაგრამ უნაყოფოდ, ცდილობენ მოსწყვიტონ კოლონიების მოძრაობა და, პირველ რიგში, მუშათა მოძრაობა „მოსკოვს“, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც იმპერიალისტები, თავიანთი ჩინელი აგენტების საშუალებით, პროვოკაციულ თავდასხმას ახდენენ საბჭოთა კავშირზე სწორედ შორეულ აღმოსავლეთში, სწორედ წყნარ ოკეანეს ნაპირზე.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება გომინდანის მთავრობის მიერ იმპერიალისტების მითითებით ერთნაირად არის მიმართული როგორც საბჭოთა კავშირის მუშების წინააღმდეგ, ისე ჩინეთის, იაპონიის მუშების და ჩაგრული ხალხების და კლასების მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ყრილობა ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რათა აუხსნას წყნარ ოკეანის ქვეყნების მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს ჩინეთის რეაქციის თავხედური გამოსვლის ნამდვილი აზრი და ამხილოს ნანკინის მთავრობის ნაციონალისტური დემაგოგია, იმ მთავრობის, რომელიც საქმით მსოფლიო იმპერიალიზმის ერთგული მსახურია. ყრილობა ყოველგვარი საშუალებით შეეცდება, რათა წყნარ-ოკეანეს მშრომელთა ფართო მასები დარაზმოს საბჭოთა კავშირის დასაცავად იმპერიალისტების და მათ მიერ დაქირავებულთა წინააღმდეგ.

საერთაშორისო იმპერიალიზმი ყოველგვარი საშუალებით ცდილობს განადგუროს, გახრწნას მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა მეტროპოლიებსა და კოლონიებში, იგი ცდილობს ერთმანეთს დააშოროს შრომის დიადი არმიის ცალკე რაზმები, დასთესოს უთანხმოება პროლეტარიატის რიგებში, წაასისიანოს მუშები ერთმანეთის წინააღმდეგ, რისთვისაც იგი იყენებს ნაციონალურ, რელიგიურ და რასიურ განსხვავებას და ცრუმორწმუნეობას; მას სურს აგრეთვე მთელი მსოფლიოს მუშები და მშრომელები ჩამოაშოროს საბჭოთა კავშირს და ხელი შეუშალოს „მოსკოვის იდეალების და მეთოდების“ შეჭრას მათ რიგებში. წყნარ-ოკეანეს ყრილობის წინაშე დგანან პირდაპირ საწინააღმდეგო ამოცანები — წყნარ-ოკეანეს ქვეყნების მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის ძალთა გაერთიანება და კოორდინაცია, მათი ძალღონის გაერთიანება მსოფლიო მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობასთან და საბჭოთა კავშირთან კაპიტალისტური ჩაგვრისა და ძარცვის წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩაგრული კლასების და ხალხების განსათავისუფლებლად, კაპიტალიზმის დასამხობად და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

პრავდა, 15 აგვისტო.

შეთანხმების ამაო ცდები ჰააგაში

ინგლისი და ბელგია მხარს უჭერენ რეინის ოლქის სასწრაფოდ დაცლას

ჩინეთში გრძელდება სასტიკი რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ

კლასობრივი ბრძოლების მძლავრი ტალღა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში

ჰააგის კონფერენციაზე

შეთანხმების ახალი ცდები

კომპრომისის გამონახვის ცდები

ჰააგა, 14 აგვისტო. ჰააგის კონფერენციის კულისებში გრძელდება იმის ცდები, რომ გამონახულ იქნას კომპრომისი ინგლისის დელეგაციის მოთხოვნებსა და დანარჩენი ხელმძღვანელი სახელმწიფოების პოზიციას შორის.

მთავარ როლს ამ ცდებში ამერიკელები თამაშობენ, მორგანის დავალებით, ინგლისში მყოფი ბანკირი ლამონტი მოლაპარაკებას აწარმოებდა მაკდონალდთან. სნოუდენი მიწვეული იყო ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან ჰააგაში, მათ საუბარში მონაწილეობა მიიღო ამერიკის მრჩეველმა ჰააგის კონფერენციაზე ვილსონმა. ამავე დროს ამერიკელები ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ სხვა დელეგაციებზედაც, რათა ისინი ერთგვარ დათმობაზე წავიდნენ ინგლისის მიმართ.

ინგლისის ვაჭრობის მინისტრმა გრეხემმა გუშინ პრესის წარმომადგენლობის წინაშე დაწვრილებით განმარტა ის სამეურნეო დაბრკოლებანი, რომლებსაც ამჟამად ინგლისი განიცდის, რათა დაესაბუთებია ინგლისის მოთხოვნები ნატურით ჩაბარების საკითხში. გრეხემმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვანახშირის ჩაბარება შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, კალიუმის ჩაბარებით. (ადს).

კამათი ნატურით გადახდის შესახებ

ჰააგა 16 აგვისტო. 14 აგვისტოს კონფერენციის საფინანსო კომისიის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ნატურით ჩაბარების საკითხის ირგვლივ. ლუშერმა (საფრანგეთი) ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საკითხში იგი „ეთანხმება ინგლისის დელეგაციის ბევრ შეხედულებას“ და, განსაკუთრებით, განცხადებას იმის შესახებ, რომ საჭიროა ნატურით ჩაბარების შეზღუდვა, რათა წარმოებულ იქნას ბრძოლა უმუშევრობასთან იმ ქვეყნებში, სადაც ამავე პროდუქტებს ამზადებენ.

„სწორედ ამიტომ,—სთქვა ლუშერმა,—იუნგის გეგმამ შეზღუდა ნატურით ჩაბარება. მაგრამ რადგან შეუძლებელია გამონახულ იქნას სხვა საშუალება სარეპარაციო გადასახადის შესატანად, უნდა დავეთანხმოთ ნატურით აბარებაზე იუნგის გეგმის ფარგლებში“.

კომისიის შემდეგი სხდომა დანიშნულია შაბათისათვის. ჯერ-ჯერობით არაოფიციალური მოლაპარაკებაა.

ოფიციალური ცნობა იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მოლაპარაკების შემდეგ შესაძლებელი გახდება რამდენიმე ქვეკომისიის დანიშვნა „ცალკე საკითხების შესასწავლად“. კონფერენციის წრეებში აქედან გამოჰყავთ დასკვნა, რომ მოხდა ერთგვარი შეთანხმება იუნგის გეგმის შემდგომი განხილვის წესის საკითხებში.

რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხი

კერძო თათბირი ჰააგაში

ჰააგა, 14 აგვისტო. გაიმართა დელეგაციების (საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის, აგრეთვე გერმანიის) ლიდერების კერძო თათბირი. თათბირზე ინგლისმა და ბელგიამ მხარი დაუჭირეს რეინის ოლქის რაც შეიძლება სწრაფათ განთავისუფლებას. ისინი მოითხოვდნენ მხოლოდ იმას, რომ გერმანიამ იკისროს ოკუპაციასთან დაკავშირებული ხარჯები 1 სექტემბრამდინ და უარი სთქვას ყოველგვარ პრეტენზიებზე ოკუპაციით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ბრიანი ისევ იცავდა საფრანგეთის პირობებს იმის შესახებ, რომ იუნგის გეგმა შედარებით უფრო ადრე შევიდეს ძალაში, აგრეთვე შემთანხმებელი კომისიის შესახებ. ბრიანი დაჰპირდა თათბირს, რომ ამავე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების (ბრიანი, ჰენდერსონი, შტრეზემანი და გიმანსი) უახლოეს თათბირზე იგი განაცხადებს, თუ რა ვადაში შესძლებს საფრანგეთი თავისი უკანასკნელი ჯარის გაყვანას რეინის ოლქიდან. (ადს).

სკანდინავიის მუშათა დელეგაცია საბჭ. კავშირში

სტოკჰოლმი, 14 აგვისტო. პროფკავშირული მთლიანობის შვეციის კომიტეტმა გამოაქვეყნა საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევა— გაგზავნონ საბჭოთა კავშირში სკანდინავიის მუშათა დელეგაცია. შვეციიდან მოსალოდნელია 30—35 კაციაგან შემდგარი დელეგაციის გამგზავრება. დელეგაციაში შევლენ მემაღაროე, მელითონე, ბამბის ქსოვილთა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშები. დელეგაციის წევრებს ამოირჩევენ საწარმოებში. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას პლენუმი

პრაღა, 14 აგვისტო. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ც. კ.-ის მორიგმა პლენუმმა მოისმინა გოტვალდის მოხსენება 1-ლ აგვისტოს შედეგების შესახებ.

გაცხოველებული დისკუსიის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუმცა ეს შედეგები წინ გადადგმული ნაბიჯია იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელშიაც პარტია რამდენიმე თვის წინად იმყოფებოდა, მაგრამ მაინც ისინი საკმარისად ვერ ჩაითვლებიან. პირველ აგვისტოს გაფიცვაში პარტიამ 16.000 მუშა ჩააბა, ხოლო დემონსტრაციებში—100.000 მუშაზე მეტი.

ც. კ.-ის წევრებმა, რომელნიც ადგილებზე მუშაობენ და რომელთაც კამათში მონაწილეობა მიიღეს, აღნიშნავს, რომ 1-ლ აგვისტოსთან დაკავშირებით, პარტიის ავტორიტეტი ძალიან გაიზარდა. (ადს).

მემარცხენე მუშების დაპატიმრება ვინდავაში

რიგა, 15 აგვისტო. გაზეთების გადმოცემით, საიდუმლო პოლიციამ ვინდავაში, და მის მიდამოებში დააპატიმრა მემარცხენე მუშები. დაპატიმრებულია რამდენიმე ათეული კაცი, რომელთაც აბრალებენ „არალეგალური კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებას“. დაპატიმრებულებს შორის არის ვინდავის ქალაქის საბჭოს მუშურ-გლეხური ფრაქციის ექვსი ხმოსანი. სრული შემადგენლობით დააპატიმრეს ტრანსპორტელთა კავშირის გამგეობა. ყველა დაპატიმრებულს პასუხისგებაში აძლევენ იმ მუხლით, რომელიც კატორღას ითვალისწინებს (ადს).

ებრაელთა დარბევა კოვნოში

ბერლინი, 15 აგვისტო. კოვნოდან მიღებული ცნობებით, 1 აგვისტოს საფაბრიკო რაიონში კომკავშირელები წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით გამოვიდნენ ქუჩაში, მაგრამ ისინი გაფანტა პოლიციამ, რომელმაც სცემა დემონსტრანტებს და დააპატიმრა 100 კაცამდე. ოფიციალური ცნობა ხაზს გასმით აღნიშნავს, რომ დაპატიმრებულთა უმრავლესობას ებრაელები შეადგენენ. ამას ჩაებღაუჭა ლიტვის პრესა, თვით სოციალისტური „ლეტუვოს უინის“-იც კი. ანტისემიტური აგიტაციის შედეგად 1 აგვისტოს საღამოთი და მეორე დღეს **კოვნოს განაპირა უბნებში, სადაც ბევრი ებრაელი სცხოვრობს, სცემდნენ ებრაელებს. ცემამ აშკარა დარბევის ხასიათი მიიღო. შეიარაღებული ფაშისტები ქუჩებში აჩერებდნენ გამვლელებს და უსინჯავდნენ მათ პასპორტებს, რათა გამოერკვიათ—რომელი მათგანი იყო ებრაელი. ამგვარი საშუალებით აღმოჩენილ ებრაელებს სცემდნენ საშინლად, არ ინდობდნენ 70 წლის მოხუცებსაც. პოლიცია არავითარ ზომებს არ იღებდა ფაშისტების თვითნებობის წინააღმდეგ. სერიოზულად დაშავდა 70 კაცამდე. ებრაელებს სცემეს სხვა რაიონებშიაც. კოვნოს განაპირა უბანში, შანცაში, ებრაელების ცემაში მონაწილეობას იღებდა ორი პოლიციელი. დამრბეველები ბინებშიაც იჭრებოდნენ.**

ლიტვის პრესა, ოპოზიციონური და სოციალისტურიც კი დუმილით უვლის გვერდს აღნიშნულ ამბებს (ადს).

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი

რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ ჩინეთში.

ტოკიო, 14 აგვისტო. ხარბინიდან 12 აგვისტოს იუწყებიან:

„ერთი დღის განმავლობაში რაიმე ბრალდების წაუყენებლად დააპატიმრეს და გააძევეს 116 საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის ისეთები, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდათ რკინის გზასთან. გაძევებულთაგან არც ერთს არ მისცეს ნება მოეხდინათ საქმეების ლიკვიდაცია და გამოეთხოვებოდნენ თავისიანებს. უკანასკნელ დამეს სადგურ პოგრანიჩნაიაში დააპატიმრეს 58 საბჭოთა მოქალაქე. აპატიმრებენ საბჭოთა მოქალაქეებს ყველა რაიონში. მათი აღრიცხვა შეუძლებელია. დაპატიმრებულთა უმრავლესობას აბრალებენ სამსახურიდან თავის ნებით წასვლას, რასაც გაფიცვას უთანაბრებენ. ამჟამად საბჭოთა მოქალაქეების ორ მესამედზე მეტმა თავი დაანება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე სამსახურს. ყველა დიდ გაჭირვებას განიცდის. მიღებულია ცნობები, რომ მრავალი საბჭოთა მოქალაქე აწამეს და დახოცეს ჯავშნიან მატარებელზე.

როგორც გაზეთები იუწყებიან, იმ საბჭოთა მოქალაქეებს, რომლებიც ჩინელებმა გააძევეს და ამჟამად სადგურ მანჯურიაში იცდიან, წაართვეს მთელი ქონება. მათ დაუტოვეს მხოლოდ ის ტანისამოსი, რაც ტანზე აცვიათ“. (ადს)

საბჭოთა მოქალაქეების დევნა

ჩიტა, 15 აგვისტო. აქ მოვიდა საბჭოთა მოქალაქეების ჯგუფი. მოსულთა სიტყვით, მანჯურიაში ამჟამად თავი მოიყარა 30 კაცზე მეტმა, რომელნიც გადაცემულ უნდა იქნან საბჭოთა ტერიტორიაზე, მაგრამ ჩინელი მოხელეები არ უშვებენ დათხოვნილებს და ყოველმხრივ ავიწროვებენ მათ. საბჭოთა მოქალაქეებმა მიმართეს გერმანიის კონსულს ხარბინში და მფარველობა სთხოვეს. დაპატიმრებულთა შორის არიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამმართველოს ნაწილების უფროსნი ამხ. პეკარსკი, ილინსკი და სოკოლოვი (ადს).

მორიგი სიცრუე

პეიპინი, 14 აგვისტო. გაზეთები ცდილობენ გაფანტონ ის არაჩვეულებრივად მძიმე შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენენ ყველა წყაროდან მიღებული ცნობები ჩინეთში საბჭოთა მოქალაქეების საშინელი შევიწროვების შესახებ. ამ მიზნით გაზეთები იუწყებიან, თითქოს ჩინელ მოქალაქეებს საბჭოთა კავშირში მეტად ცუდად ეპყრობიან. გაზეთების სიტყვით, ხაბაროვსკში მყოფი ჩინელი მოქალაქენი მოსკოვში (?) გაგზავნეს და მათ საგზალიც კი არ მისცეს.

შემდეგ გაზეთები იუწყებიან, რომ ვან ჩენ-ტინმა წინადადება მისცა საგარეო საქმეთა სამინისტროს—გაგზავნოს რაც შეიძლება მეტი დეპეშები და ამრიგად გაავრცელოს ცნობები, ვითომ საბჭოთა კავშირში ცუდად ეპყრობიან ჩინელ მოქალაქეთ. (ადს).

უარყოფას არ ბეჭდავენ

ტოკიო, 14 აგვისტო. იაპონიის დეპეშათა სააგენტომ სიმბუნ რენგომ იაპონიის გაზეთებს გაუგზავნა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დეპეშა, რომელიც შეიცავს უ ჯაოჩუს განცხადების უარყოფას. არც ერთმა გაზეთმა ხსენებული დეპეშა არ დაბეჭდა. (ადს)

ჩინეთის ჯარი სადგურ პოგრანიჩნაიას ამაგრებს

შანხაი, 15 აგვისტო. რეიტერის გადმოცემით, ჩინეთის ჯარი ამაგრებს სადგურ პოგრანიჩნაიას, რადგან ფიქრობენ ჯარის ნაწილები ზამთარში იქ დასტოვონ (ადს).

სასწრაფო თათბირი

შანხაი, 15 აგვისტო. გომინის სააგენტოს ცნობით, ჩან-კაი-შიმ სასწრაფო თათბირი მოიწვია მანჯურიაში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. თათბირის შემდეგ ჩან- სიუე ლიანს და ჩუ-შაო-იანს გაეგზავნათ დეპეშები, რომლებშიაც დაწვრილებით არის განმარტებული ნანკინის მთავრობის პოლიტიკა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხში. (ადს).

ჩინეთის ჩაის ფირმების თხოვნა

მოსკოვი, 15 აგვისტო. „ცენტროსოიუზ ლიმიტედ“-მა (ინგლისი) ჩაის გილდიის „ჩუნუკ ჩაო“-ს (შანხაი) თავმჯდომარისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„ჩინეთის ყველა ჩაის ფირმა გთხოვთ, რომ „ცენტროსოიუზ ლიმიტედ“-ის (ინგლისი) შანხაის და ხანკოუს კანტორები დარჩნენ ჩინეთში, რათა დაამთავრონ გარიგებანი და დამოუკიდებლად მოახდინონ გადასახდელი თანხების შემოტანა. დღეს ჩვენ მივიღეთ ჩინეთის მთავრობის სასწრაფო დეპეშა. მთავრობა იძლევა გარანტიას, რომ არავითარ დაბრკოლებას არ აღმოუჩენს საქმიან ოპერაციებს. გთხოვთ, გვიპასუხოთ დაუყოვნებლივ“

„ცენტროსოიუზ ლიმიტედ“-მა უპასუხა შემდეგი დეპეშით:

„ჩაის გილდიის „ჩუნუკ ჩაო“-ს თავმჯდომარეს, შანხაი. ჩვენი ჩინეთის განყოფილების ლიკვიდაციისაგან დამოუკიდებლად, ჩვენ ვადაზე გადავიხდით ჩვენ მიერ შემოსატან თანხებს და შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს“ (ადს).

გლეხების პასუხი ჩინელ მილიტარისტებს

ჟიტომირი, 15 აგვისტო. პროტესტის ტალღამ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ჩინელ მილიტარისტების მიერ ხელში ჩაგდების წინააღმდეგ ვოლინის მიყრუებულ კუთხეებშიც კი მიაღწია. მაგალითად, ძერჟინსკის რაიონის სოფელ გოდიკის გლეხები უცხადებენ მთავრობას, რომ ისინი მზად არიან საჭირო მომენტში გუთანი თოფით შესცვალონ და ერთი კაცივით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის დასაცავად. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განსამტკიცებლად მათ დაადგინეს— 20 აგვისტომდე მთლიანად შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, პირველი ძნა გადასდონ ინდუსტრიალიზაციის სასარგებლოდ აგრეთვე ხელი მოაწერონ მესამე სესხზე 500 მანეთის რაოდენობით (ადს).

კლასობრივი ბრძოლები კაპიტალისტურ ქვეყნებში

ახალი ორლეანის მოსახლეობა მხარს უჭერს ტრამვაის მუშების გაფიცვას

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. ახალ ორლეანში გრძელდება ტრამვაის მუშათა გაფიცვა. მოსახლეობა ახლოს არ ეკარება ტრამვაის ვაგონებს, რომლებიც შტრეიკბრეხერებსა და შეიარაღებულ მცველებს დაჰყავთ. მოსახლეობა ავტომობილებით სარგებლობს. ქალაქის თვით-მმართველობის განკარგულებით, შესწყდა ავტომობილების მოძრაობა, რათა მოსახლეობა იძულებული გამხდარიყო ტრამვაით ესარგებლა. ამ ღონისძიების საპასუხოდ შესდგა გაფიცვის თანამგრძნობთა მასიური მიტინგი, რომლის მონაწილეებმა ტრამვაის ვაგონებს ქვები დაუშინეს. ქალაქის გამგეობის შენობაში გამოცხადდა ტრამვაის მუშათა კავშირის დელეგაცია, რომელმაც ავტომობილების მოძრაობის განახლება მოითხოვა. ამის საპასუხოდ ქალაქის გამგეობის მოსამსახურეები, პოლიციელებთან ერთად, თავს დაესხნენ კავშირის დელეგატებს. შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე კაცი, მათ რიცხვში პოლიციის უფროსი. კავშირის დელეგატები და გაფიცვის თანამგრძნობნი გამგეობის შენობიდან გააძევეს, მხოლოდ ისეთი ყუმბარების საშუალებით, რომელნიც ცრემლის დენას იწვევენ. (ადს).

მუშები შვიდი საათის სამუშაო დღეს მოითხოვენ

სტოკჰოლმი, 14 აგვისტო. როგორც კოპენჰაგენიდან იუწყებიან, ჩამომსხმელთა კავშირის ყრილობამ, დიდი უმუშევრობის გამო, დაადგინა— მოითხოვოს შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება. ამ გარემოებით შეშფოთებულ დანიის ბურჟუაზიას ამშვიდებს გაზეთი „სოციალ-დემოკრატენ“-ი, რომლის ახსნა-განმარტებითაც, „საქმე ეხება არა დაუყოვნებლივს, არამედ მომავალ მოთხოვნებს“. (ადს).

პროპაგანდა ჯარში ახლად გაწვეულთა შორის

სტოკჰოლმი, 14 აგვისტო. ოსლოდან გადმოცემული ცნობით, პასუხისგებაში მისცეს ნორვეგიის კომკავშირის ც. კ-ის წევრი ასეზე ჯარში ახლად გაწვეულებს შორის პროპაგანდისათვის. (ადს).

კალკუტის გაფიცულმა მუშებმა უარჰყვეს დამქირავებელთა წინადადება

ლონდონი, 14 აგვისტო. კალკუტის ექვსი საფეიქრო ფაბრიკის ადმინისტრაციამ წინადადება მისცა გაფიცულ მუშებს — განაახლონ მუშაობა იმ პირობით, რომ მათ, სამუშაო დღის გადიდებასთან ერთად, ხელფასიც გაუდიდდებათ. და რომ გაფიცვის აქტიური მონაწილეების წინააღმდეგ რეპრესიები არ იქნება მიღებული.

ადმინისტრაციის წინადადება არც ერთმა მუშამ არ მიიღო. (ადს).

მდგომარეობა ლანკაშირში

ლონდონი, 14 აგვისტო. საფეიქრო ფაბრიკების პატრონთა ორმა გავლენიანმა ორგანიზაციამ ლანკაშირში ნება დართო თავის კომისიებს — განაგრძონ მოლაპარაკება ფეიქართა პროფკავშირებთან. ორგანიზაციებმა მიანდვეს კომისიებს — დასთანხმდნენ, რომ ხელფასის საკითხი მოგვარებულ იქნას სამედიატორო სასამართლოს გზით.

პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს თავმჯდომარემ ბენ ტილეტმა გააკეთა განცხადება ლანკაშირში შექმნილი მდგომარეობის გამოკვლევის შედეგების შესახებ. გენერალურ საბჭოს კომისიის შეხედულებით, მდგომარეობა მოითხოვს დაუყოვნებლივ გამოძიებას, რათა შეიკრიბოს მასალა არბიტრაჟისათვის, იმ პირობით კი, რომ მუშაობა განახლდეს ეხლავე საარბიტრაჟო კომისიის დადგენილებამდე. კომისიის აზრით, გამოკვლევის საგანს პირველ რიგში უნდა შეადგენდეს კაპიტალის ინფორმაცია საფეიქრო მრეწველობაში, ესე იგი კაპიტალის სიჭარბე ამ მრეწველობაში, რასაც მოგების ნორმის შემცირება მოსდევს.

„მთელი პროფესიონალური მოძრაობა, — განაცხადა ტილეტმა,— მხარს დაუჭერს ფეიქართა გალაშქრებას მრეწველობის უსირცხვილო მოთხოვნების წინააღმდეგ, მაგრამ გენერალურ საბჭოს არა სურს 1926 წლის ამბების განმეორება (საყოველთაო გაფიცვა). ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მრეწველებისა და მუშათა წარმომადგენლების მოლაპარაკების განახლებას. ეს ხელს შეუწყობს შეთანხმებას, თუ მუშაობა დაუყოვნებლივ იქნება განახლებული“. (ადს).

საფრანგეთის მუშათა კლასი ფაშისტური რეპრესიების მიუხედავად განაგრძობს ბრძოლას კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ

პარიზი, 14 აგვისტო. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც ახასიათებს მუშათა მოძრაობის მდგომარეობას საფრანგეთში 1 აგვისტოს შემდეგ.

დეკლარაციაში ნათქვამია:

„მთავრობის რეპრესიები 1 აგვისტოს დღესთან დაკავშირებით, კერძოდ, ბრძანება საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრის დაპატიმრების შესახებ; პარტიის ყველა აქტიურ წევრის დევნა და მათთვის სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღების დაბრალება,—ყოველივე ეს მოწმობს, რომ საფრანგეთის მუშათა მოძრაობისათვის დაიწყო „განსაკუთრებული მდგომარეობის“, აგრეთვე ფაშისტური რეპრესიების პერიოდი. ეს რეპრესიები გამოიწვიეს იმ დაბრკოლებებმა, რომლებიც ეღობებიან ბურჟუაზიას მის საგარეო და შინაურ პოლიტიკაში.

ჰააგის კონფერენციამ, რომელმაც გამოაშკარავა შეურიგებელი საერთაშორისო წინააღმდეგობანი, კერძოდ, ინგლის-ამერიკის უღრმესი ანტაგონიზმი, **დღის წესრიგში დასვა ომი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის.** ამავე დროს მანჯურიაში ძლიერდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ომის საფრთხე. ეს საერთაშორისო წინააღმდეგობანი წარმოადგენენ მთავრობის კრიზისის ძირითად მიზეზს, ხოლო მთავრობის კრიზისს თან მოჰყვა პარლამენტის სესიის ფაშისტურად შეწყვეტა. ამასთან ერთად საფრანგეთის შინაური მდგომარეობა ხასიათდება კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით.

მუშათა კლასის წინააღმდეგ თავისი ძალების მობილიზაციის მომენტად ბურჟუაზიამ აირჩია 1 აგვისტო; იგი შეეცადა ყალბი დოკუმენტებით დაემტკიცებია შეთქმულების არსებობა სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ პირველ აგვისტოს ამბების მზადებაში მონაწილეობას იღებდნენ მთელი პარტია და მთელი მისი ორგანიზაციები. თუ ბურჟუაზია შეთქმულებას უწოდებს კომუნისტურ აგიტაციას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, მთელი პარტია მზად არის იკისროს სრული პასუხისმგებლობა ამ შეთქმულებისათვის. თუ ბურჟუაზია ბრალს სდებს კომპარტიას წესრიგის დარღვევის განზრახვაში, პარტია აცხადებს, რომ იგი გადაჭრით ებრძვის კაპიტალისტურ წესრიგს, რომელიც ექსპლოატაციასა და ომს ემყარება. სინამდვილეში არსებობს ბურჟუაზიის შეთქმულება კომპარტიის წინააღმდეგ, იმ კომპარტიის, რომელიც იცავს მუშათა კლასის ინტერესებს და რომელმაც თავისი აგიტაციით თვალი აუხილა მუშათა კლასს მოახლოვებული იმპერიალისტური ომის საფრთხის დასანახავად.

ეს იყო 1 აგვისტოს ძირითადი ამოცანა და ამ მიზანს პარტიამ სავსებით მიაღწია. **თუ 1 აგვისტოს მანიფესტაციების ჩასახშობად ბურჟუაზიას მარტო პარიზში 50.000 პოლიციელის შეგროვება დასჭირდა, ცხადია, უაზრობაა ბურჟუაზიული, აგრეთვე სოციალისტური გაზეთების ლაყბობა ვითომდა „1 აგვისტოს მარცხით დამთავრების“ შესახებ.** 1 აგვისტოს დღე მოასწავებს ეტაპს იმ ბრძოლაში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად, რომელიც ახალი ენერგიით გაგრძელდება მახლობელ თვეებში. ბურჟუაზია ვერ შესძლებს მუშათა კლასის მოწინავე რაზმის დამარცხებას. ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მშრომელთ— დაირაზმონ, მიუხედავად რეპრესიებისა, კომპარტიის ირგვლივ, რათა მოიგერიონ ბურჟუაზიის თავდასხმა და აიძულონ მთავრობა გაანთავისუფლოს **პოლიტიკური პატიმრები“. (ადს).**

რუმინელ ჯალათ-ფაშისტების მსხვერპლნი

კლაუზენბურგის საპყრობილედან განთავისუფლებული კომუნისტები სიკვდილის პირას არიან

ვენა, 15 აგვისტო. კლაუზენბურგის საპყრობილიდან ექვსი კვირის სიმშილობის შემდეგ განთავისუფლებული კომუნისტები კერძო სანატორიუმში გადაიყვანეს. **ისინი სიკვდილის პირას არიან და იმდენად გახდნენ, რომ 28—30 კილოგრამს იწონიან.** სამს გაუკეთეს სისხლის გადასხმის ოპერაცია, მაგრამ მათი მდგომარეობა უნუგეშოა. პრესის შეუმოწმებელი ცნობებით, ერთი მათგანი, ლიპშიცი უკვე გარდაიცვალა. (ადს).

„გრაფ ცეპელინ“-ის გადაფრენა

მოსკოვი, 15 აგვისტო. გერმანიის დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინი“, რომელსაც მართავს კაპიტანი ეკენერი, 15 აგვისტოს დილის 4 საათზე გაფრინდება ფრიდრიხსჰაფენიდან (ბერლინი) ტოკიოში საბჭოთა კავშირზე გადავლით. დირიჟაბლზეა საბჭოთა საავიაციო ორგანიზაციების წარმომადგენელი ამხ. კარკლინი. გადაფრენის მარშრუტია ბერლინი— სვერდლოვსკი—ვლადივოსტოკი —ტოკიო — ციმბირზე გადავლით.

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ მოუწოდა საბჭოთა ორგანიზაციებს — ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ დირიჟაბლს რადიო სამსახურით (ადს).

სხვა და სხვა

● **კილის ნავთსადგურში (გერმანია) მოვიდნენ იტალიის ჯავშნოსანი კრეისერები „პიზა“ და „ფერუჩიო“.** გერმანიის სამხედრო ფლოტთან მისალმების შემდეგ ქალაქის მუნიციპალიტეტმა გამართა დარბაზობა იტალიელი სტუმრების პატივსაცემლად. (ადს).

● **იაპონიის ახალი სამხედრო აეროპლანი, რომელიც აეროდრომ ტაციკავადან აფრინდა, ჩამოვარდა და დაიმსხვრა.** აეროპლანში იჯდა გენერალური შტაბის ოფიცერთა ჯგუფი. ექვსი ოფიცერი მოკვდა, ერთი მძიმედ დაშავდა. მკვდრებს შორის არის გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი. მეორე აპარატი, რომელიც იმავე დროს აფრინდა, მშვიდობიანად დაეშვა ძირს. (ადს).

● **თეირანში ჩავიდა გეჯასის ოფიციალური დელეგაცია.** დელეგაცია მიიღო შაჰმა. დელეგაციამ ინახულა აგრეთვე საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი დავთიანი. (ადს).

● **პერუს რესპუბლიკის მთავრობამ გადასწყვიტა** კვლავ შევიდეს ერთა ლიგაში (პერუ ერთა ლიგიდან გამოვიდა 1921 წელს, როცა ლიგის საბჭოში აირჩიეს ჩილის და არა პერუს წარმომადგენელი) (ადს).

მრეწველობის 1929-30 წ. საკონტროლო ციფრები

მოსკოვი, 15 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმმა, ამხ. კუიბიშევის თავმჯდომარეობით, განიხილა მრეწველობის 1929—30 წლის საკონტროლო ციფრების წინასწარი ვარაუდი. საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია ზრდის ბევრად უფრო დიდი ტემპი, ვიდრე ეს ნავარაუდევია ხუთწლიანი გეგმით. მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა ნავარაუდევია 28 პროცენტით, ნაცვლად 20,2 პროცენტისა. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იზრდება მძიმე ინდუსტრიის პროდუქცია, სახელდობრ — 37,5 პროცენტით, ნაცვლად 23,5 პროცენტისა. მსუბუქი ინდუსტრიის პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 22,3 პროცენტით. მრეწველობის კაპიტალური ხარჯების მაქსიმალურ რაოდენობად მიღებულია 2.900 მილიონი მანეთი, ნაცვლად მიმდინარე წლის 1.569 მილიონ მანეთისა. გარდა ამისა, კიდევ რჩება რეზერვი — 200 მილიონი მანეთი. სამუშაო ხელფასის ზრდა გათვალისწინებულია 7 პროცენტით, თვითღირებულების შემცირება — საშუალოდ 10 პროცენტით, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმის 7 პროცენტისა.

საკონტროლო ციფრების განხილვის დროს სხვადასხვა მთავარ სამმართველოს წარმომადგენელნი აღნიშნავდნენ დამატებითი კაპიტალური ხარჯების გაწევის საჭიროებას მრეწველობის ცალკე დარგებში, პროდუქციის დამატებითი ზრდის გათვალისწინების გამო.

კამათს რეზიუმე გაუკეთა ამხ. კუიბიშევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კაპიტალური ხარჯების გათვალისწინებული სიდიდე მაქსიმალურია. მხოლოდ ამ ფარგლებში შეიძლება ასიგნობათა სიდიდის გადასინჯვა მრეწველობის ცალკე დარგებში. ზოგიერთი დამატებითი სახსრების მიწოდება, როგორც ეტყობა, დასჭირდება ნედლეულის დარგებს (სათბობის, ხე-ტყის, სამთომადნო და სხვას), აგრეთვე ელექტრო-მშენებლობის, თვითღირებულების 10 პროცენტით შემცირება შედარებით მძიმე ამოცანაა, მაგრამ მისი შესრულება ჩვენს ძალღონეს შეეფერება, თუ მხედველობაში მივიღებთ საწარმოო პირობების გაუმჯობესებას ფაბრიკა-ქარხნებში, იმ ფართო დახმარების გამო, რომელსაც უწევენ სამეურნეო ორგანოებს პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ მოგვეპოვება რეზერვები აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის (23 პროცენტით) განხორციელებისათვის. ციფრებით გათვალისწინებული სამუშაო ხელფასის 7 პროცენტით ზრდა, როგორც ეტყობა, სავსებით რეალური იქნება, ვინაიდან პურის მხრივ მომავალ წელს მდგომარეობა უკეთესი იქნება, ვიდრე წელს არის, სამრეწველო საქონლის ფასები სტაბილური რჩება და სხვ.

პრეზიდიუმმა საერთოდ მოიწონა საკონტროლო ციფრების ვარაუდი. კაპიტალური ხარჯების რაოდენობა კონკრეტულად იქნება გამონაგარიშებული მრეწველობის ყოველი დარგისათვის. (ადს).

„საბჭოთა ქვეყნის“ გადაფრენა შესწყდა

მოსკოვი, 15 აგვისტო. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმთან არსებულ გადაფრენათა მომწყობ კომისიაში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს:

„14 აგვისტოს, 12 საათსა და 35 წუთზე სოფელ სოსნოვო-ოზერსკადან (ვერხნეუდინსკ-ჩიტას გზა) შესტაკოვისაგან მიღებულ იქნა დეპეშა, რომ აეროპლანი „საბჭოთა ქვეყანა“ იძულებული გახდა დაშვებულიყო ტაიგაში. მთელი ეკიპაჟი უვნებლად გადარჩა. აეროპლანის დაშვების გამო, გადაფრენა შესწყდა. ნიუ-იორკში გადაფრენის განგრძობის საკითხი უახლოეს დღეებში გადაიჭრება. (ადს).

პოლონეთის მშრომელთა დელეგაცია უკრაინაში

ხარკოვი, 14 აგვისტო. მოსკოვიდან ჩამოსულ ლანცუცკის შეხვდნენ სრულიად უკრაინის პროფსაბჭოს და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. სადგურის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელმაც განსაკუთრებული აღფრთოვანებით ჩაიარა. პოლონეთის მუშათა და გლეხთა დელეგაციასთან ერთად **ლანცუცკიმ** დაათვალიერა ხარკოვის ფაბრიკები და ქარხნები. ქარხნების „სერპი მოლოტ“-ის და „გეტ“-ის დათვალიერება რამდენსამე საათს გაგრძელდა. მუშები ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ დელეგაციას. განსაკუთრებით მქუხარე ოვაციები მუშებმა ლანცუცკის გაუმართეს, დელეგატებსა და მუშებს შორის ყველგან მეგობრული საუბარი იმართებოდა. მუშებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონელი დელეგატების ნაამბობმა პოლონეთის მუშების მდგომარეობის შესახებ (შრომის კანონმდებლობის უქონლობა, ლატაკური ხელფასი და სხვ.) დელეგატების ერთი ჯგუფი, რომელშიაც უმთავრესად გლეხები შედიან, გაემგზავრა ხარკოვის რაიონში კოლმეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო კომუნების დასათვალიერებლად.

დელეგაციამ მთელი შემადგენლობით, მაცის და ლანცუცკის მეთაურობით, ინახულა პოლონელ და ებრაელ მუშათა კლუბები. (ადს).

მიტინგი-შეხვედრა

ხარკოვი, 15 აგვისტო. გაიმართა ხარკოვის მშრომელთა დიდი მიტინგი პოლონეთის მუშათა და გლეხთა დელეგაციის შესახვედრად. შეხვედრა განსაკუთრებით გულთბილ ხასიათს ატარებდა (ადს).

ამერიკელი პროფესორი საბჭოთა ნავთის გადასამუშავებელი ქარხნების შესახებ

მოსკოვი, 15 აგვისტო. მოსკოვში მოვიდა ოკლაგამის (ამერიკა) უნივერსიტეტის პროფესორი პეჯეტი, რომელიც ნავთის გადამუშავებისა და ნავთის გადასამუშავებელი ქარხნების მშენებლობის საქმეში უდიდეს სპეციალისტად ითვლება. პეჯეტი ამას წინად სპეციალურად იქნა მოწვეული. მან ბაქოსა და გროზნოში წაიკითხა ლექციები ნავთის გადამუშავების შესახებ. ტეხნიკური კონსულტაციის მიზნით მან დაათვალიერა აგრეთვე „აზნავთი“-ს, „გროზნავთი“-სა და „ემბანეფტ“-ის გადამამუშავებელი ქარხნები და გაეცნო ჩვენი ნავთის ინსტიტუტების სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობას.

პეჯეტმა მეტად დადებითად დაახასიათა საბჭოთა ნავთის სპეციალისტების მეცნიერული მუშაობა და აღნიშნა, რომ მრავალი მათი მიღწევა, განსაკუთრებით ნავთის ძვირფასი პროდუქტების დამუშავების საქმეში, შეიძლება გამოტანილ იქნას ლაბორატორიის კედლებიდან და განხორციელებულ იქნას პრაქტიკულად. პეჯეტის აზრით, ჩვენი საბურღი მილები მეტად რთული კონსტრუქციისა და მათი გამოყენება ძვირად ჯდება. საჭიროა გადასვლა უფრო მარტივ დანადგარებზე. რაც შეეხება კრეკინგებს პეჯეტი გვირჩევს გამოვიყენოთ მათი ისეთი ტიპი, რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებულია და მარტივი. პეჯეტის აზრით, ბაქოს და ემბის ნავთი საუკეთესო ხარისხისაა, და სწორედ ასეთი ნავთია საჭირო ძვირფასი პროდუქტების მისაღებად; გადამუშავების ტეხნიკა ისე უნდა მოეწყოს, რომ სავსებით გამოყენებულ იქნას ეს მაღალი ხარისხი. პეჯეტი სიამოვნებით დასთანხმდა, რომ ამერიკისა და საბჭოთა ნავთის მუშაკებმა, თავიანთი გამოცდილება ერთმანეთს გაუზიარონ, მაგრამ ამასთან, მისი აზრით საჭიროა, რომ საბჭოთა ინჟინრები ამერიკაში პრაქტიკაზე იგზავნებოდნენ გარკვეული სამეცნიერო მიზნით. ამერიკელი სპეციალისტებიც წინასწარ გარკვეულ სამუშაოზე უნდა იქნან მოწვეულნი საბჭოთა კავშირში, რათა მათ შესძლონ სათანადოდ მომზადება. თავის მხრით პეჯეტმა აღუთქვა ჩვენს ინჟინრებს ყოველგვარი დახმარება ამერიკაში. პეჯეტმა მოსკოვში დაამზადა, ემბის ნავთის სახდელი ახალი ქარხნების საესკიზო პროექტები, საბჭოთა კავშირში მიღებით პეჯეტი სავსებით კმაყოფილია. დღეს პროფესორი ამერიკაში მიემგზავრება. (ადს)

ამხ. სირცოვი ნიჟნი-ნოვგოროდში

ნიჟნი-ნოვგოროდი, 15 აგვისტო. ამჟამად ნიჟნი-ნოვგოროდში იმყოფება რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სირცოვი, რომელმაც დაათვალიერა ქარხნები, გაეცნო მუშათა ყოფა-ცხოვრებას და ინახულა მუშათა ბინები (ადს).

საბჭოთა საწერი მანქანები

მოსკოვი, 15 აგვისტო. „გლავმაშსტროი“-მ დაადგინა—შეუდგეს საბჭოთა კავშირში საწერი მანქანების მასიურად დამზადებას. განზრახულია საწერი მანქანების გამოშვება მოეწყოს მაქს ჰელცის სახელობის ქარხანაში, ლენინგრადში, ან მექანიკის ტრესტის ერთ-ერთ ქარხანაში. პირველ წელს შექმნილი იქნება საიმპორტო ნაწილები 5.000 მანქანისათვის, მეორე წელს—10.000 მანქანისათვის, ხოლო ხუთი წლის დამლევს საწერი მანქანების წარმოება 30.000 ცალამდე მიაღწევს. (ადს).

ასტრახანის მუშების საქმის გარჩევა

დაიწყება 26 აგვისტოს

ასტრახანი, 15 აგვისტო. საბრალმდებლო დასკვნა ასტრახანის საქმის შესახებ დამთავრებულია. პასუხისგებაში მიცემულია 129 კაცი. გამოძიებამ 8 თვეს გასტანა. საქმე 25 დიდ ტომს შეიცავს. პროცესი 25—27 აგვისტოს დაიწყება (ადს).

ამ.-კავკ. ლენინური კომკავშირი პარტიის ბოლშევიკური ხაზის სადარაჯოზე

ა.ლ.კ.კ. ა.-კავკ. საოლქო კომიტეტის მიმართვა ა.-კ. ყველა კომკავშირელებს

აზერბეიჯანის კომკავშირის ხელმძღვანელობის შეცდომები გაკვეთილი უნდა იყოს კომკავშირის ყველა ორგანიზაციებისათვის.—კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომკავშირელებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ მედიდურობას და თავგასულობას, გააცხოველონ თვითკრიტიკა, გაამაგრონ კომკავშირის რიგების ბოლშევიკური იდეურობა

ამხანაგო კომკავშირელნო!

ჩვენი პარტია და მასთან ერთად კომკავშირი ამჟამად მუშაობენ მედგარი გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. პარტიას და კომკავშირს ამჟამად ყველგან გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს წვრილბურჟუაზიული სტიქია.

ამ ბრძოლის პირობებში ჩვენს კავშირს მოეთხოვება უდიდესი სიმტკიცე, შეუდრეკელობა და შეურიგებლობა ბრძოლაში პარტიის მკაფიო სწორი ლენინური ხაზისათვის. და არა მარტო ეს. ამჟამად შეუძლებელია წარმატებით წინსვლა სოციალიზმისაკენ, თუ უშიშრად არ გამოვააშკარავებთ ყველა ჩვენ შეცდომას და დეფექტებს, მაშასადამე, თუ არ გავშლით ნამდვილ ბოლშევიკურ თვითკრიტიკას, თუ ხელმძღვანელობას ნამდვილ და ყოველდღიურ კონტროლს არ გაუწევენ მასები.

იქ, სადაც ამ პირობებს წინააღმდეგობას უწევენ, სადაც ამ პირობებს არ ასრულებენ, გვერდს უვლიან და არღვევენ,—იქ აუცილებელია გახრწნა, მედიდური თვითკმაყოფილება, ბოროტმოქმედებანი, ურთიერთგამოსარჩლება, კულაკთან და ნეპმანთან შეზრდა, იქ აუცილებელია პარტიის კლასობრივი ხაზის დამახინჯება. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს კერძოდ აზერბეიჯანის მაგალითი.

აზერბეიჯანის ძველი პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკური შეცდომები—ეს არის არასწორი ხელმძღვანელობის მთლიანი დამთავრებული სისტემა. პარტიული ხელმძღვანელობის მოწყვეტა და ჩამორჩენა მასებისაგან, თვითკრიტიკის ჩახშობა, გახრწნის მოვლენების მიჩქმალვა, ძმაბიჭური ურთიერთობა, ყალბი ფრაზებით მდგომარეობის ისე დახატვა, ვითომ ყველაფერი თავის რიგზე იყო, —აი ამ სისტემის მთავარი რგოლები.

სულ ბოლო დროს, უკვე მას შემდეგ, რაც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ,—აზერბეიჯანის კომპარტიის ძველმა ხელმძღვანელობამ გამართა უპრინციპო ანტიპარტიული ბრძოლა საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წინააღმდეგ.

ხელმძღვანელობის იმ არასწორმა, თავიდან ბოლომდე უვარგისმა და დამპალმა სისტემამ, რომელიც გამოყენებულ იქნა აზერბეიჯანის კომპარტიაში (ბ), უხვი ნაყოფი გამოიღო. ხელმძღვანელობის ამ სისტემამ მოგვცა საფაბრიკო-საქარხნო რაიონულ ბაქოს საქმე, მიხაილოვის საქმე, მოროზის და გოროხოვსკის საქმე და მრავალი სხვა დიდი და პატარა „საქმე", ზოგი უკვე „აღმოჩენილი" და ზოგი კიდევ ისეთი, რის „აღმოჩენასაც" მომავალში უნდა მოველოდეთ. პარტხელმძღვანელობის სისტემა სწორი არ იყო კომკავშირის მუშაობაშიც.

ჩვენმა კავშირმა არ უნდა დაუშვას კომკავშირის მიმართ პარტხელმძღვანელობის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა, იგი გადაჭრით უნდა ებრძოლოს ამ შეუფასებლობის ყოველ მცირეოდენ ფაქტს, იგი მოწოდებულია ყველგან, პარტიასთან ერთად, აწარმოოს გადამჭრელი ბრძოლა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზისათვის — ადგილებზე პარტიული ხაზის გამრუდების წინააღმდეგ, კომკავშირის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის ყველა და ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ და თავის დროზე დასვას ამის შესახებ საკითხი პარტიული გზით მაღლამდგომ პარტორგანოების წინაშე.

აზერბეიჯანის ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ხელმძღვანელობამ ეს ამოცანა ვერ შეასრულა.

კომკავშირის ხელმძღვანელობამ ყურადღება ვერ გამოიჩინა გახრწნის, გადაგვარების და თვითკრიტიკის ჩახშობის მოვლენებისადმი და პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა იმით, რომ არ დაიდგა მტკიცე პოლიტიკურ ხაზზე აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ძველი ხელმძღვანელობის შეცდომების შესახებ,—ახ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის იმ გადაწყვეტილების შემდეგაც კი, რომელმაც თავის დროზე გაურკვია მას აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) შინაპარტიული მდგომარეობა, კომკავშირის ხელმძღვანელობამ გადამჭრელი წინააღმდეგობა არ გაუწია ძველი ხელმძღვანელობის ცდებს—ჩაეთრია კომკავშირის ზედა ფენა ბრძოლაში საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან და, ამ ანტიპარტიული ნაბიჯის გადაჭრით დაგმობის ნაცვლად, იგი ბრმად გაჰყვა ძველი ხელმძღვანელობის შეცდომების გზას; ამრიგად, მან ვერ შესძლო განეხორციელებია ახ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სწორი ხაზი.

ამავე დროს აქტივის ნაწილში, შინაპარტიული მდგომარეობის განხილვის პროცესში ადგილი ჰქონდა უპრინციპობის, პოლიტიკური უხერხემლობის, გაუბედაობის მოვლენებს, რაც აგრეთვე წარმოადგენს აზერბეიჯანის კომპარტიის ძველი ხელმძღვანელობის არასწორი სისტემის ზეგავლენას.

ეჭვს გარეშეა, რომ აზერბეიჯანის კომკავშირს, და, კერძოთ, ბაქოს ორგანიზაციას აქვს მრავალი წარმატება. ამ წარმატებებს ვხედავთ მუშაობის გარდაქმნის, აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩაბმის, ინტერნაციონალური აღზრდის მოგვარების, მშრომელ ახალგაზრდობაზე კომკავშირის გავლენის გაფართოვების და კომკავშირში მშრომელი ახალგაზრდობის ჩაბმის ხაზით. აზერბეიჯანის ახ. ლენ. კომკავშირი, კერძოდ, ბაქოს ორგანიზაცია, იყო და არის მტკიცე დასაყრდენი ბრძოლაში ანტილენინურ გადახრებთან. მიუხედავად ამისა, ბაქოს ორგანიზაციის თვითშემოწმება, რაც ჩაატარა ახ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტმა, და მთელი რიგი სამაზრო ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება, მოწმობს, რომ აზერბეიჯანის ახ. ლენ. კომკავშირის, კერძოდ, ბაქოს ორგანიზაციის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ დეფექტებს.

აზერბეიჯანის ახ. ლენ. კომკავშირის ბაქოს ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნა ნელი ტემპით მიმდინარეობს, განსაკუთრებით სოფლად. უჯრედების ახალი თაოსნობა, სუსტი ხელმძღვანელობის გამო, ხშირად კომიტეტებამდე ვერ აღწევს, ამ თაოსნობას კავშირის მასა ვერ ეცნობა, რის გამოც იგი ვერ ხორციელდება და ხშირად ძირშივე მჭრება.

საკავშირო მუშაობის ახალი სისტემის ძირითადი პირობა—თვითკრიტიკა გაშლილია სუსტად, მუშათა ახალგაზრდობიდან ახალი კადრების დაწინაურება და მომზადება ნელი ტემპით სწარმოებს, სოფლის აქტივში მუშათა და მოჯამაგირეთა კადრი მეტად არასაკმაოა.

ამიტომაც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ბევრ რამეს აკისრებს აზერბეიჯანის კომკავშირსაც და მის ხელმძღვანელობასაც. აზერბეიჯანის ახ. ლენ. კომკავშირის მომავალი მუშაობის პრაქტიკული ამოცანები გამომდინარეობენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებებიდან. ეს ამოცანები დაწვრილებით დამუშავებულია ახ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 1929 წლის 6—9 აგვისტოს რეზოლიუციაში.

აზერბეიჯანის ახ. ლენ. კომკავშირის, კერძოდ, ბაქოს ორგანიზაციის წინაშე ამჟამად სდგას შემდეგი ძირითადი და მთავარი ამოცანა—შემოწმოს და გარდაქმნას თავისი მუშაობა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებთან შეფარდებით.

ჩვენმა ქვეყანამ ფეხი შესდგა სოციალიზმისათვის ბრძოლის ძნელ გზაზე. ეს გზა—რეკონსტრუქციის ეხლანდელი ხანა—მოითხოვს მასობრივ ბრძოლის უნარს, შემტევრობას, კლასობრივ სიფხიზლეს, პოლიტიკური მომზადების მაღალ დონეს, მთელი ძალ-ღონის დარაზმვას იმისათვის, რომ წარმატებით, თანდათანობით გავუსწროთ წინ, აღმოფხვრათ გზა-და-გზა კაპიტალიზმის ფესვები, გადამჭრელი წინააღმდეგობა გავუწიოთ კლასობრივ მტერს და სასტიკად დავამარცხოთ იგი.

ამიტომ ყოველთვის, ხოლო განსაკუთრებით ამჟამად, ფხიზლად უნდა ვიყოთ, არა სიტყვით, არამედ საქმით ვიბრძოლოთ გაბედულად და მედგრად კავშირის კლასობრივი ხაზისათვის, პარტიის ბოლშევიკური ხაზის სწორად განხორციელებისათვის. პრაქტიკული მუშაობით საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების ირგვლივ უნდა შევამოწმოთ ერთგულება რევოლიუციისა, პარტიისა და პროლეტარიატისადმი. ამ გადაწყვეტილებების ირგვლივ პრაქტიკული მუშაობით უნდა შევამოწმოთ რეზოლიუციები კლასობრივი შეურიგებლობის, კულაკთან ბრძოლის, მემარჯვენე გადახრასა და შემრიგებლობასთან ბრძოლის შესახებ.

აზერბეიჯანის ახალ. ლენ. კომკავშირის გზაზე მთავარ ამოცანას ამჟამად შეადგენს დაუნდობელი ბრძოლა ლენინიზმიდან გადახრასთან, განსაკუთრებით მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრასთან და მისდამი შემარიგებლობასთან, შეურიგებელი დამოკიდებულება კლასობრივ მტრისადმი, ბრძოლა წვრილმან საქმიანობასთან, კომკავშირის პოლიტიკური დონის აწევა, მისი კლასობრივი ბრძოლის უნარიანობის აწევა გაუგონარ სიმაღლემდე.

ამხანაგო კომკავშირელებო! გაბედულად შეუტიეთ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებს, დაუნდობელი ლახვარი ჩაეცით კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების —მუსავატელების, იტიხატისტების, დაშნაკების და ტროცკისტების—ნამსხვრევებს.

მთელი ძალღონით, მთელი რევოლიუციონური ენერგიით განამტკიცეთ ამიერ-კავკასიის ფედერაცია. იბრძოლეთ ნაციონალიზმის ყველა და ყოველგვარ გამოხატულებას. გაბედულად და თამამად ებრძოლეთ ყოველგვარ ცდას, რომ ერთი რესპუბლიკა დაუპირისპირონ მეორეს. ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრით ნაციონალიზმი! უფრო მეტად შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები ინტერნაციონალური ბოლშევიკური პარტიის—საკავშირო კპ. (ბ) —ხელმძღვანელობით.

თვითკრიტიკა ბასრი და უტყუარი მახვილია, რომლითაც პარტიამ შეაიარაღა პროლეტარული მასები ამ უკანასკნელთა მასიური გალაშქრებისათვის ყველა მტრის წინააღმდეგ, დაწყებული კულაკით და მავნებლებით და გათავებული ყოფა-ცხოვრებითი გახრწნით თვით ჩვენს საკუთარ რიგებში. მიუხედავად ამისა, საკავშირო ახალ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ აზერბეიჯანში პარტიული ხაზის დამახინჯებასთან საბრძოლველად მასები ყველგან არ არიან დარაზმულნი, რომ უშიშარი თვითკრიტიკის ლოზუნგს, რომლითაც აჭრელებულია რეზოლიუციები და მიმართვები, ხშირად მნიშვნელობა ეკარგება შეზღუდვის ბიუროკრატიული პრაქტიკით და ჩინოვნიკური ძალადობით. მუშურ ახალგაზრდობაში ადგილი აქვს თვითკრიტიკის შიშს. თვითკრიტიკის შედეგებს სუსტ ანგარიშს უწევენ, ხოლო მითითებებს ქვევიდან დროზე არ ახორციელებენ.

საჭიროა შეუდრეკელი ბრძოლა პროლეტარული თვითკრიტიკის გასაშლელად, მასების შემოქმედებითი თვითმოქმედებისა და ინიციატივის განსავითარებლად. აქეთკენ მოუწოდებს საკავშირო ახალ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი აზერბეიჯანის კომკავშირს მთლიანად.

საკავ. ახალ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომკავშირელს ყოყოჩობასთან და თავგასულობასთან ბრძოლისაკენ, იქითკენ, რომ კომკავშირელებმა ხელი ჩასჭიდონ თვითკრიტიკის მახვილს „პიროვნებათა განურჩევლად", შეუსუსტებლად, გაბედულად განახორციელონ ხელმძღვანელობის კონტროლი, აწარმოონ მისი მუშაობის კრიტიკა. და კიდევ მასებთან ნამდვილი კავშირის დამყარებისაკენ, სწავლობისაკენ, ცოცხალ, ბიუროკრატიულ მეთოდებს მოკლებული მუშაობისაკენ მოუწოდებს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აზერბეიჯანის კომკავშირის აქტივს.

ხელმძღვანელობისა და მუშაობის სისტემის გარდაქმნა აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკავშირო კ.პ. (ბ) ც.კ.-ის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

მუშაობა ახალი სისტემით, უპირველეს ყოვლისა და უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს მასიური თვითკრიტიკის განვითარებას, ორგანიზაციის კლასობრივი ბრძოლის უნარიანობის ამოცანებისათვის მუშაობის ყველა ფორმისა და მეთოდის დაქვემდებარებას, აქტივში პროლეტარული კადრის გაბედულად და გადაჭრით განმტკიცებას. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მოუწოდებს აზერბეიჯანის კომკავშირელებს—გაატარონ ეს ლოზუნგები. პრაქტიკულ ნიადაგზე უნდა დაისვას კომკავშირის ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშათა და მოჯამაგირეთა კომკავშირული აქტივის, კერძოდ და განსაკუთრებით თურქული კომკავშირული აქტივის ახალი კადრების დაწინაურების საკითხი.

მუშაობის ახალი სისტემა გულისხმობს მასების ინიციატივის გაშლას. ეს სისტემა მოწოდებულია სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა ყველაზე უფრო წარმატებით გადაჭრისათვის. ამიტომ მუშაობის ახალი სისტემა ის გზაა, რომლითაც მომავალში, საკავშირო კ.პ. (ბ) ც.კ.-ის გადაწყვეტილებათა განხორციელების დროს, უნდა იაროს აზერბეიჯანის კომკავშირმა.

ბაქოს კომკავშირელებო! თქვენს წინაშე და ბაქოს მთელი ორგანიზაციის წინაშე ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აყენებს აზერბეიჯანის ახალ. ლენ. კომკავშირის სოფლის ორგანიზაციების მთელი მუშაობის ნამდვილ ძირითად გაუმჯობესებას. სოფელში კომკავშირის კლასობრივი ბრძოლის უნარის აწევა, მასიური თვითკრიტიკის გაშლა, ბრძოლა პარტიის სწორი ხაზისათვის, პროლეტარული კადრის გაძლიერება სოფლის კომკავშირულ აქტივში,—აი ამ უდიდესი მუშაობის მთავარი რგოლები. აზერბეიჯანის ახალგაზრდათა ლენინურმა კომკავშირმა სოფელში კომკავშირულ სამუშაოზე მრავლად უნდა გაგზავნოს საუკეთესო, გამობრძმედილი მუშა აქტივისტი კომკავშირელები.

აზერბეიჯანის კომკავშირს, კერძოდ, ბაქოს ორგანიზაციას, მართებს საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებათა ყოველმხრივ აწონ-დაწონა და გათვალისწინება, ამ გადაწყვეტილებებიდან დასკვნების გამოტანა თავისთვის და, კომპარტიასთან ერთად, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ახალი ხელმძღვანელობით, აზერბეიჯანის ყველა კუთხეში პრაქტიკული მუშაობის გაშლა ამ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

უნდა გვახსოვდეს, რომ საკავშირო კომპ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებათა მიერ წამოყენებული ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ გატარებაში ჩაბმული იქნება მთელი პარტია, პროლეტარიატი და აზერბეიჯანის ყველა მშრომელი, კერძოთ, იმ შემთხვევაში, თუ დარაზმდებიან და მთელ ძალღონეს მოკრებენ აზერბეიჯანის კომკავშირისა, მუშური ახალგაზრდობისა და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასები.

ბაქოს გაკვეთილები უნდა გაითვალისწინოს ამიერ-კავკ. ყველა ორგანიზაციამ; მათ უნდა მოახდინონ თავიანთი მუშაობის შემოწმება, გამოაშკარავონ თავიანთი დეფექტები იმ მიზნით, რომ თავიდან აცდენილ იქნას ბაქოსა და აზერბეიჯანის ხელმძღვანელობის დეფექტები.

იმ პირობების გაკვეთილებზე, რომლებიც აზერბეიჯანში შეიქნა, და იმ როლის მიხედვით, რომელიც კომკავშირის მიმართ ძველმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ ითამაშა, კომკავშირელებმა და კომუნისტებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ როგორი უნდა იყოს სწორი ურთიერთობა პარტიასა და კომკავშირს შორის.

კომკავშირის ორგანიზაციებმა უნდა მოსთხოვონ პარტორგანიზაციებს იდეური ხელმძღვანელობა, დახმარება ძნელი საკითხების გადაჭრის დროს. ადგილი არ უნდა ჰქონდეს წვრილმან მზრუნველობას და მათ ჩაბმას ანტიპარტიულ ბრძოლაში პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების წინააღმდეგ, როგორც ამას ახდენდა აზერბეიჯანის ძველი პარტიული ხელმძღვანელობა.

კომკავშირელთა აღზრდა უნდა დაეყრდნოს სწორი პარტიული ხაზისათვის შეთანხმებულ ბრძოლას და არა მზრუნველობას და „უფროსებისადმი" ბრმა და უპრინციპო „მორჩილებას",—აი ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი გაკვეთილი, რომელიც გამომდინარეობს აზერბეიჯანის პარტიული ხელმძღვანელობის შეცდომებიდან.

ეჭვს გარეშეა, რომ მომავალი მუშაობის სიძნელეთა წინაშე კომკავშირელები არ დაიბნევიან, სოციალიზმისათვის ბრძოლის ძნელ გზაზე აზერბეიჯანის კომკავშირი და, პირველ რიგში, ბაქოს ორგანიზაცია, ამიერ-კავკ. კომკავშირის მოწინავე რაზმი, მთლიანად და სავსებით შეასრულებენ იმ ამოცანებს, რომლებიც მათ დაუსახეს საკავშირო კომპ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებებმა.

ამხანაგო კომკავშირელებო!

გაბედულად ამხილეთ კავშირის უჯრედებისა და ხელმძღვანელი ორგანოების დეფექტები! ფართოთ გაშალეთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა „პიროვნებათა განურჩევლად"! გამოსჭედეთ გაბედული, თამამი და შეურიგებელი ბოლშევიკები!

გაუმარჯოს საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ.-ს!

გაუმარჯოს საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს!

გაუმარჯოს ფედერაციის დაურღვევლობასა და მთლიანობას!

საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

„სახალხო კომისრის" საჩუქარი

მოსკოვი, 15 აგვისტო. 14 აგვისტოს „პრავდა"-ში, განყოფილებაში „მასების კონტროლ ქვეშ", დაბეჭდილია შენიშვნა: „სახალხო კომისრის საჩუქარი".

„თუმცა ალავერდიევი სრულიად აზერბეიჯანის მასშტაბის მუშაკია და აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე იგი წამოყენებული იქნა აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მდივნის თანამდებობიდან, მაგრამ, მაინც ალავერდიევსაც სჩვევია ადამიანური სისუსტე. მაგალითად, მას კბილები ასტკივდა. იჩქარა იმ დრომდე, სანამ ბაქოს კბილის სამკურნალო ტეხნიკუმში 67 მანეთის ანგარიში არ შეიდგა. ეს უბრალო რამეა იმ მადლობის გრძნობასთან შედარებით, რომელსაც ალავერდიევი განიცდიდა. ხუმრობა ხომ არ არის: თავი დააღწია კბილის ტკივილს. გაეხარდა ისე, რომ დაავიწყდა არა მარტო კბილის ტკივილი, არამედ ვალის გადახდაც. მერე, განა დანაშაულია ეს? საჭიროა მხოლოდ გახსენება. ასეც მოიქცნენ. გახსენებით გულაჩვილებულმა ალავერდიევმა გადაწყვიტა ყველასთვის ეჩვენებინა, თუ რას ნიშნავს მისი მადლობა. დაუყოვნებლივ შეიძინეს (რასაკვირველია, ს. მ. უ. საბჭოს ხარჯზე) მშვენიერი, 800 მანეთად ღირებული, კბილის სამკურნალო სკამი და დიდის ამბით შესთავაზეს ტეხნიკუმს. მადლობის გრძნობამ ბაქოს ნორდის მიერ გაღვივებულ ცეცხლის სისწრაფით მოიცვა კბილის ექიმები. 67 მანეთიანი ვალი გაჰქრა ალავერდიევის პირადი ანგარიშიდან. სკამი კი დაამშვენა ემალის დიდმა დაფამ წარწერით: „საჩუქარი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან. ამხ. ალავერდიევის სახელით". და სდგას ეს სკამი კბილის სამკურნალო ტეხნიკუმში, როგორც აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს „ზილადის" სიდიადისა და სირცხვილის უტყუარი საბუთი" (ადს).

მუშები ეწერებიან შორეულ აღმოსავლეთის არმიაში

ლენინგრადი, 15 აგვისტო. სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებას „შორეული აღმოსავლეთის არმიის" შედგენის შესახებ თანაგრძნობით გამოეხმაურენ ლენინგრადის მუშები. „კრასნოგვარდეეც"-ის ქარხნის მუშებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს შორეული აღმოსავლეთის არმიის მებრძოლთ და შეატყობინეს მრავალი განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი ახალ არმიის რიგებში ჩარიცხონ (ადს).

მოსკოვის ცენტრ. ტელეგრ. ახალი შენობა

მოსკოვი, 15 აგვისტო. 14 აგვისტოს ცენტრალური ტელეგრაფის ახალი შენობა მოსკოვში დაათვალიერეს მთავრობის წევრებმა: ამხ. მუსაბეკოვმა, კისელიოვმა, ელიავამ, სმიდოვიჩმა, რუცკაევმა და სხვ. დათვალიერების დროს დიდი ყურადღება მიაქციეს სააპარატო სადგომს, სხვა ქალაქებთან კავშირის დარბაზს. ეს დარბაზი საუცხოოა თავისი სრული მექანიზაციით. ტელეგრაფის დათვალიერებამ 1 ნახ. საათზე მეტ ხანს გასტანა (ადს).

ინგლისის მუშათა და მუშა-ქალთა დელეგაცია

მოსკოვი, 15 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭომ საბჭოთა კავშირის ინგლისელ მეგობართა საზოგადოებას გაუგზავნა მოწვევა გამოგზავნოს საბჭოთა კავშირში ინგლისის მუშათა და მუშა ქალთა დელეგაცია. საზოგადოების აღმასკომმა აცნობა საკავშირო პროფსაბჭოს, რომ მოწვევა მიღებულია კმაყოფილებით. დელეგაციის შემადგენლობაში შევა 15—20 მუშა და მუშა ქალი. დელეგაციის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა მოსალოდნელია ოქტომბრის შუა რიცხვებში (ადს).

ამხ. ენუქიძე შვებულებიდან დაბრუნდა

მოსკოვი, 15 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი ამხ. ენუქიძე დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას (ადს).

ამერიკის მრეწველთა დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, 15 აგვისტო. 15 აგვისტოს ბერლინზე გავლით ამერიკაში გაემგზავრა ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაცია, რომელმაც ერთი თვე დაჰყო საბჭოთა კავშირში. სადგურზე დელეგაცია გააცილა „ამტორგ"-ის, „უცხოელი ტურისტი"-ს საზოგადოების და დასავლეთის საკავშირო სავაჭრო პალატის წარმომადგენლებმა (ადს).

„სედოვ"-ის ექსპედიცია

„ტიხაია"-ს ყურე ყინულისგან გაიწმინდა

ყინულისმჭრელი „სედოვ"-ი, 15 აგვისტოს. „ტიხაია"-ს ყურე ყინულისაგან გაიწმინდა. ყინულის მჭრელი, რომელსაც ავარიის საფრთხე მოელოდა, შეუდგა დამშვიდებულ მუშაობას, რადიო-კავშირი მატერიკთან გაძნელებულია მთაგორიანი ადგილებით და მანძილის სიშორით. ექსპედიციის მთელი შემადგენლობა, მათ შორის ამხ. შმიდტი და სამოილოვიჩი, მუშაობს აგურის გადატანაზე.

გადაფრენა ვრანგელის კუნძულზე

პეტრო-პავლოვსკი კამჩატკაზე, 15 აგვისტო. „იუნკერს"-ის სისტემის აეროპლანზე ამხ. კრასინსკი 31 ივლისს ლავრენტის ყურიდან გადაფრინდა ვრანგელის კუნძულზე. კუნძულზე მშვიდობიანობაა (ადს).

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

ლენინაკანი, 14 აგვისტო. ერევნიდან სოხუმში „ძირს წ.-კ. უცოდინარობის" საზოგადოების სახელზე გაიგზავნა შემდეგი დეპეშა: „საბჭოთა საზოგადოების სახელით გიწვევთ შეჯიბრებაში წ. კ. უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისათვის ქალაქში" ხელს აწერს საზოგადოება „ძირს წ.-კ. უცოდინარობა". მოეწყო საგანგებო შტაბი, რომელმაც მობილიზაცია უყო 250 კაცს. ესენი შეუდგნენ 15—40 წლის ჰასაკის წ. კ. უცოდინართა აღრიცხვას (ადს).

ერევნის პარტაქტივის რეზოლიუცია

აზერბეიჯანის კომპარტიის ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ

ერევანი, 15 აგვისტო. ერევნის პარტაქტივის კრებაზე აზერბეიჯანის ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ მოხსენება გააკეთა სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ხანჯიანმა. მიღებული რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ სომხეთის კომპარტიის (ბ) ერევნის აქტივმა, მოისმინა რა მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესახებ აზერბეიჯანის კომპარტიის მდგომარეობის გამო, მთლიანად იწონებს ამ დადგენილებებს და უერთდება მათ. აღნიშნავს რა ძველი ხელმძღვანელობის დროს აზერბეიჯანის ორგანიზაციაში არსებულ დეფექტებს, რეზოლიუცია ამბობს:

„ერევნის საქალაქო ორგანიზაციის აქტივი, იღებს რა მხედველობაში აზერბეიჯანის კომპარტიის ძველი ხელმძღვანელობის შეცდომებს, საჭიროდ სთვლის, ჯერ ერთი, სრულიად გადაჭრით აღნიშნოს, რომ გაბედულად უნდა გატარდეს ცხოვრებაში პარტიის ლოზუნგი თვითკრიტიკის შესახებ, „პიროვნებათა განურჩევლად", რომელიც წარმოადგენს ნამდვილად მძლავრ იარაღს პარტიისა და მისი ბრძოლის უნარიანობის განსამტკიცებლად.

მეორე—მოუწოდოს სომხეთის კომპარტიის (ბ) წევრებს—გულდასმით შეისწავლონ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებანი, რათა ამით უფრო გაუმჯობესდეს და გაღრმავდეს ჩვენში თვითკრიტიკის საქმე და უფრო მეტად გაიშალოს მუშაობა სოციალისტური მშენებლობის საქმეში მშრომელი მასების ჩასაბმელად.

მესამე—სალამს უძღვნის საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვას ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებისადმი და აღნიშნავს, რომ საჭიროა „მომავალში უზრუნველყოფილ იქნას ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა ამიერ-კავკასიის ეროვნული კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების მიმართ" (საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება).

მეოთხე—სცნობს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის დადგენილება სავსებით უზრუნველყოფს ძველი ხელმძღვანელობის შეცდომების სწრაფ გამოსწორებას, და გამოთქვამს რწმენას, რომ ბაქოს ორგანიზაცია უმოკლეს ვადაში გამოასწორებს ყველა მტკივნეულ მოვლენას და წინანდებურად ხელმძღვანელ პოზიციებს დაიჭერს ამიერ-კავკასიაში".

დასასრულ რეზოლიუცია გამოსთქვამს რწმენას, რომ ბაქოს ორგანიზაცია ახალი ხელმძღვანელობით დაძლევს ყოფილი ხელმძღვანელობის შეცდომებს და საქართველოს და სომხეთის ძმურ კომპარტიებთან ხელიხელ ჩაკიდებული უფრო ენერგიულად შეებრძოლება კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებს და იდეოლოგიებს, უფრო მეტის ძალღონით შეუდგება ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებას და დარაზმავს აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მრავალმილიონიან მშრომელი მასების აქტივობას ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა ირგვლივ (ადს).

ბამბის ახალი მცენარე

მოსკოვი, 15 აგვისტო. 15 აგვისტოს მებამბეობის მთავარი კომიტეტის კენდირის ბიურომ დაიწყო დიდი მუშაობა ბამბის ახალი მცენარის—რამის (ჩინური ჭინჭარი) მასიურად გაშენებისათვის საბჭოთა კავშირში. საზღვარგარედ ეს ბოჭკო ბამბაზე ნაკლებად არ ფასობს. მისი ნაკლებად გავრცელება ევროპაში—20.000 ტონა წელიწადში—აიხსნება პირველადი გადამუშავების სიძნელით. რამი სელზე, ბამბაზე და აბრეშუმზე მაგარია. ელასტიურობის მხრივ მას პირველი ადგილი უჭირავს აბრეშუმის შემდეგ. რამი, კენდირის მსგავსად, წელიწადში ორჯერ იძლევა მოსავალს. ჩინეთისა და იაპონიის რამი 3—4 მოსავალს იძლევა და ყველაზე გავრცელებული საფეიქრო მცენარეა. რუსეთში ომამდე რამი მცირეოდენ სივრცეზე იყო გაშენებული ქუთაისისა და ბათომის რაიონში. მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა მოახდინა ცდები რამის ღეროს და ბოჭკოს გადასამუშავებლად იმ მეთოდით, რომლებიც კენდირისას დასამუშავებლად არის შემუშავებული. ცდამ მეტად კარგი ნაყოფი გამოიღო. კენდირის ბიურომ იაპონიიდან და ჩინეთიდან მიიღო რამის თესლი და შეუდგა მუშაობას ნედლეულის ბაზის შესაქმნელად ამ მცენარისათვის ამიერ-კავკასიის სუბტროპიკულ სარტყელში. ბათომის ბოტანიკურ ბაღში და ქუთაისის და ზუგდიდის რაიონში მოაწყვეს სანერგეები რამის დასარგავი მასალის გასაშენებლად, რომელიც საშუალებას მოგვცემს მომავალ წელს ამიერ-კავკასიაში დავთესოთ 1.000 ჰექტარამდე (ადს).

ლენინის სახელობის სამდღიური

სოხუმი, 15 აგვისტო. ლენინის სახელობის სამდღიურის შესახებ მოწვეულმა საორგანიზაციო სხდომამ დაამტკიცა ცენტრალური კომისია 8 კაცის შემადგენლობით და გადასწყვიტა შექმნას სამაზრო კომისიები. სამდღიური მოეწყობა 17, 18 და 19 აგვისტოს. სოხუმში ყულაბებით ფულის შეკრება მოხდება ორი დღის განმავლობაში. კამპანიის დღეებში მოხდება აგრეთვე ნივთებისა და საქონლის შეკრება მომგებიანი ლატარეებისა და პრიზებიანი ტირების გასამართავად. გადასწყდა, რომ 3 დღის განმავლობაში სასტუმროები, რესტორანები, სასადილოები, აგრეთვე კოოპერატიული, სახელმწიფო და კერძო სავაჭროები დაიბეგრონ 10 პროცენტიანი გადასახადით. განზრახულია გაიმართოს სხვადასხვა საღამოები და სეირნობა ნავებით, ავტომობილებით და სხვ. (ადს).

ტროპიკული წვიმა

ბათომი, 15 აგვისტო. 4 აგვისტოს, ხანგრძლივი გვალვის შემდეგ, ბათომში მოვიდა ძლიერი ტროპიკული წვიმა, რომელმაც საათნახევარს გასტანა. 20 წუთის განმავლობაში, ნალექის რაოდენობა უდრიდა 28 მილიმეტრს ანუ ჰექტარზე 25.000 ვედრას. ქალაქის ქუჩები, განსაკუთრებით სადგურის მიდამოები და ჭაობის რაიონი წყლით დაიფარა და შეუძლებელი გახდა მიმოსვლა. ზოგ ადგილას წყლით აივსო სახლების ქვედა სართულები (ადს).

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

ტყის მეურნეობის ტკივილები

საქართველოს ფინსახკომი თავის ამოცანად ისახავს ახალი საშემოსავლო წყაროების გამოძებნას და არსებულ წყაროების მთლიანად და მიზანშეწონილად გამოყენებას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება ტყე, რომლის შემოსავალს, როგორც საქართველოს ბიუჯეტში, ისე საერთო საკავშირო ბიუჯეტშიაც შესამჩნევი ადგილი უჭირავს.

საქართველოში 90 პროც. მთელი ტყეებისას დაცვითი ხასიათი აქვს. ტყეების უსისტემო გაჩეხვას აუარებელი ზარალი მოაქვს, რომლის დაფარვა ტყიდან აღებული თანხებით ყოვლად შეუძლებელია. ფინსახკომი ცდილობს, რათა ტყეების შემოსავლის ზრდასთან ერთად დაცული იქნას ტყის მიზანშეწონილი ექსპლოატაცია. ეს კი მოხერხდება მაშინ, როდესაც სატყეო მეურნეობა აყვანილი იქნება ნორმალურ მდგომარეობამდე. სატყეო მეურნეობის რაციონალურად მოწყობა მომავალი საქმეა, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი ტყის მოვლა-დაცვა და მერქანით სარგებლობა წესიერად მაინც უნდა ხდებოდეს, რათა ამ გზით თანდათანობით გადავიდეთ სწორ სატყეო მეურნეობაზე. სამწუხაროდ ეს ასე არ არის: სატყეო მეურნეობის მოსაწესრიგებლად და მისი შემოსავლიანობის გასაძლიერებლად საჭიროა ელემენტარული მოთხოვნილების შესრულება, როგორც მაგალითად:

1. ხე-ტყეზე მომუშავე ორგანიზაციებთან თავის დროზე სათანადო ხელშეკრულების დადება, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს არსებული სატყეო კოდექსი და ტყის გაცემის ინსტრუქცია.
2. ხე-ტყის ჭრა უნდა სწარმოებდეს უსათუოდ გეგმით დანიშნულ ნაკვეთებში, სადაც გასაცემი ხე-ტყე ზედმიწევნით უნდა აღინუსხოს წინასწარ სათანადო აღრიცხვა-შეფასებითი სიების შედგენით.
3. გაყიდული ხე-ტყის საფასური თავის დროზე უნდა იქნას ანაზღაურებული. სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა საჯარიმო დავალიანების წარმოშობას ადგილი არ ჰქონდეს, რადგანაც ასეთი მოვლენა ძალზე აფერხებს სახელმწიფო შემოსავლის აკრეფას.
4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძვირფას ჯიშებს, რომლების ექსპლოატაციაც უნდა ხდებოდეს დიდი გაფრთხილებით;
5. რადგანაც ახლო მდებარე ტყეები ძალზე დაზარალებულია უსისტემო ჭრით, ამისათვის ტყის ჭრა-დამზადება უნდა იქნას გადატანილი უფრო შენახულ ტყეებში და დაზარალებული ტყეები კი უნდა დაიკეტოს ყოველგვარ სარგებლობისათვის.
6. საჭიროა ტყეების სანიტარიზაცია: ძირნაყარი, ქარნაქცი, და ზეხმელი ხე-ტყის გაწმენდით ხელს შევუწყობთ ახალი ტყის ბუნებრივ აღმოცენება-განვითარებას, მოვსპობთ ტყის მავნებელ მწერებს და სოკოებს და შევამცირებთ ხანძრის საშიშროებას.

ჩვენ ვიცით, რომ ზემოაღნიშნული ელემენტარული პირობები მტკიცედ არ ტარდება ცხოვრებაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ახალციხის, ზუგდიდის, სენაკის და კახეთის მაზრის ტყეების მეურნეობა.

ახალციხის და ზუგდიდის სატყეოებში საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტს მიეცა დიდძალი ხე-ტყე დაახლოვებით 77.724 კუბ. მეტ. წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშის მერქანი, რაც ფულათ შეადგენს 204.341 მანეთს. აღნიშნულ ხე-ტყეზე ხელშეკრულებები დაიდო მხოლოდ 1929 წლის 20 მაისს, ხე-ტყის ჭრა-დამზადება და გამოზიდვა კი დაიწყო 5-7 თვით ადრე. ხელშეკრულებების ასლი გადაეგზავნა ტყის ბაზებს და დაევალათ მათ, „ზუსტათ დაეცვათ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული მუხლები". ამასობაში 90 პროც. მთელი მარაგისა მოიჭრა და 40—60 პროც. გამოიზიდა საკონტროლო პუნქტებიდან, ამ გარემოებამ გამოიწვია დავალიანება დაახლოებით 20.000 მანეთის რაოდენობით.

ამას გარდა ზუგდიდის სატყეოში ხდება უკვე გაცემული ხე-ტყის ხელმეორედ აღრიცხვა-შეფასება, რაც იწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში საჯარიმო საფასურის აკრეფის შეჩერებას; მაგალითად—ზუგდიდის მაზრ-აღმასკომი მოითხოვს მასზე გაცემულ ხე-ტყის გადაფასებას, ვინაიდან მისი განცხადებით და ტყის გამგის დასტურითაც, დიდი თოვლის გამო, გაცემული ტყის გამორჩევაში შეცდომები იყო დაშვებული.

კახეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში ყურადღებას იქცევს საექსპორტო მერქანის დამზადების საქმე. ამ საქმეში არავითარ გეგმიანობას არა აქვს ადგილი. საექსპორტო ხე-ტყეს ამზადებენ თემაღმასკომები, საკრედიტო ამხ-ბა, აჭარ-ტყე და სხვადასხვა დაწესებულებანი. იჭრება ძვირფასი ჯიშები საფონდო ტყეებში, ნორმის ტყეებში და ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებშიც წინასწარ მოუმზადებლად და შეუფასებლად; მაგალითად —კახეთში, ფშაველის და ფეხის თემებში მოიჭრა დაახლოებით 200 კაკლის ხე, ზუგდიდის და სენაკის მაზრებში—7.000 ფუთამდე ბზა, ამ მერქანის საჯარიმო საფასური დღესაც არ არის ანაზღაურებული.

ყველა ეს კი აფერხებს სატყეო შემოსავლის სწორ დენას,— გაცემულ ხე-ტყის საფასურის თავის დროზე და სავსებით განაღდებას, რაც ჰქმნის ფინანსიურ კრიზისს და ამით უხერხულ მდგომარეობაში აყენებს უმთავრესად მაზრაღმასკომებს, რომელთა ბიუჯეტში დიდძალი ხარჯები დამყარებულია სატყეო შემოსავლებზე.

საჭიროა მიწსახკომის სატყეო სამმართველომ და მუშათა გლეხთა ინსპექციამ მიიღოს ზომები ზემოაღნიშნულ არანორმალობის გამოსასწორებლად.

ზ. ტრაპაიძე.

სამაზრო ცენტრის ცუდ მაგალითს მიბაძავენ თემსაბჭოებიც. მაგალითად, თემაღმასკომს თითქმის მაზრის მასშტაბით განუზრახავს საავადმყოფოს აგება, ამ საჭიროებაზე გამოყენებულ იქნა თემის სხვ. მიზნისათვის დანიშნული კრედიტი 13.000 მანეთზე მეტი. ამჟამად კედლებია მხოლოდ აყვანილი და რომ შენობა დამთავრდეს, საჭიროა კიდევ 60—70 ათასი მანეთი. შენობის კედლებს ეს ორი წელიწადია ანგრევს წვიმა, თოვლი და ქარი.

სურამის აღმასკომმა თავის თ-რის სახით სოფ. ბეჟნისში დაიწყო აბანოს შენობის აგება. მას არავითარი წინასწარი გეგმა, პროექტი და საჭირო თანხა არ მოეპოებოდა, შენობის კედლები აიყვანა კომუნბანკის 3.000 მ. მოკლევადიან სესხის საშუალებით, კიდევ საჭიროა 4.000 მან., მეტი, ხოლო ფული არ სჩანს, უგეგმოთ და უმეთვალყურეობით დაწყებული აბანოს შენობის ერთი კედელი უკვე დაინგრა და ეს მოხდა იმიტომ, რომ ადგილობრივმა თემსაბჭომ მაზრა თაქტის წინაშე დააყენა, უნებართვოდ დაიწყო საქმე. დამტკიცებული გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა თემმა მიიღო მიმდინარე წლის 12 ივლისს, მუშაობა კი დაწყებულია 15 მაისიდან. ნამუშევარის ნაწილი ა. წ. 10 ივლისს კიდევ დაინგრა.

მასალა უვარგისი, შენება მიუღებელი, კარის ხანარი სრულიად გამოუსადეგარი და სხ.—ასეთი „აღმშენებლობით" შორს ვერ წავალთ. დროა ადგილობრივ ორგანოებმა ისწავლონ ბიუჯეტის მტკიცედ დაცვა, დროა ბოლო მოეღოს ჩვენს მშენებლობაში უთავბოლობას და წინააღმდეგ მუშაობას.

ს. შარაშიძე.

უვარგისი მილიციის უფროსი

ქალაქ ქობულეთში (აჭარისტანი) ერთი წლის განმავლობაში გაიქურდა ათზე მეტი ოჯახი. მათ შორის სამჯერ გაქურდეს ოსმან შავიშვილი და ისონ დოლიძე. გარდა ოქმის შედგენისა მილიციას არავითარი ზომები არ მიუღია ქურდების წინააღმდეგ, არც ერთი ამ ბოროტმოქმედების ჩამდენი აღმოჩენილი არ არის. რომ ჰკითხოთ ადგილობრივ მილიციის უფროსს დურსუნ მეგრელიძეს, თუ რატომ არ ღებულობს ის ზომებს, გიპასუხებთ: რა ვქნა, ბიძია, მე ხომ ჯიბეში არა მყავს ქურდები, თქვენ თავს თვითონ მოუარეთო.

მეორე მაგალითი: კულაკმა ოსმან ბეჟანიძემ ამ ერთი წლის წინათ ვინმე ჯიბუტს სამი ათას მანეთად მიჰყიდა თავისი კარ-მიდამო ქობულეთში. მას მეორე მეურნეობა აქვს სოფელ ქაქუთში, მაგრამ კულაკი ბეჟანიძე მოსვენებას არ აძლევს ქობულეთის აღმასკომს, რათა ამ უკანასკნელმა მისცეს მას სამოსახლო მიწა ქალ. ქობულეთში, როგორც უმიწაწყლოს.

აღმასკომი ბეჟანიძის მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაგრამ კულაკი თვითონ იკმაყოფილებს თავის-თავს. რა გზას მიმართავს ის?

ქობულეთის აღმასკომს აქვს ერთი სახლი და ნაკვეთი მიწა ყოფილ ფონ-დებლაუნისის აგარაკში, სადაც საბჭოთა მოსამსახურეები ცხოვრობენ.

აღნიშნული აგარაკი თვალში დაუჯდა ოსმან ბეჟანიძეს და მან გადასწყვიტა, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, დაეპატრონებოდა აგარაკს. ნებით არ აძლევდნენ, ამიტომ ხერხს მიმართა: სადღაც მინდორში გააკეთა კოხმახი და სასიმინდე. ამა წლის მარტში დაიხმარა მეზობლები, შეუბა კამეჩები და, როცა ხალხის მოძრაობა მიწყნარდა, ღამის ორ საათზე მოსახლეობა გაჰაღა ფონ-დებლაუნის აგარაკში. მეორე დღეს მცხოვრებლები განცვიფრებით ეკითხებოდნენ ერთი-მეორეს: როდის მოაწყო ამ კაცმა აქ მოსახლეობა?

რა ზომები მიიღო ამის წინააღმდეგ მილიციის უფროსმა? ბეჟანიძე მისი მახლობელი ნათესავია. ის მეორე დღეს აღმასკომის თავმჯდომარე დუმბაძეს ემუდარება, რათა ბეჟანიძეს დაუტოვოს ქურდულად მითვისებული აგარაკი. მოტივად მოჰყავდა ის, რომ ვითომ ბეჟანიძე გაჭირვებული კაციაო. აქ მეგრელიძეს კატეგორიულად მოსთხოვეს სათანადო ზომების მიღება მოძალადის წინააღმდეგ. ამის შემდეგ მან მიმართა ცენტრს—ბათომში. აქ დუხარა გლეხათ დაახასიათა და მოითხოვა მას მისცემოდა აგარაკი.

რას უნდა მიეწეროს მილიციის უფროსის მეგრელიძის ასეთი მოქმედება?

ალბათ მილიციის უფროსი ვერ გაატარებს რევოლიუციონურ კანონიერებას.

მესამე—1921 წ. კულაკ მემად-აღა მეავანაძეს ჩამოერთვა სახლი, რომელშიც დღემდე მოთავსებული იყო ქობულეთის სამაზრო აღმასკომი. მეავანაძეს იმავე ეზოში აქვს მეორე ორსართულიანი სახლი, სადაც თვითონ ცხოვრობს, ამასვე აქვს სახლები და დუქნები ბათომში. მეავანაძე ყოველ ღონისძიებას მიმართავდა, რომ ჩამორთმეული სახლი უკანვე მიეღო, მაგრამ ეს მან ვერ შესძლო. სამაზრო აღმასკომი ამა წლის მაისის თვეში გადავიდა სხვა ბინაზე, ხოლო აღმასკომის ყოფილ ბინაში გადმოტანილ იქნა სახალხო სასამართლო, რაიც არაფრად ეპიტნავა სახლის ყოფილ მეპატრონეს. რადგან ის ცხენს ვერ შესწვდა, უნაგირის მტვრევას შეუდგა. მან უმოწყალოდ სცემა სასამართლოს დარაჯს, იმისათვის, რომ დარაჯმა ერთი პატარა ოთახი დაიკავა სასამართლოს შენობაში.

ამ აღმაშფოთებელ ამბავს იქვე უყურებდა მილ. უფროსი მეგრელიძე. მაგრამ რა მოხდა? ნაცვლად იმისა, რომ ხულიგანი კულაკი დაეპატიმრებია, დააპატიმრა თავპირ-გასისხლიანებული დარაჯი, კულაკს კი ხმა არ გაეცა.

გარდა ამისა იყო შემთხვევა, როცა მილიციის უფროსს მიმართეს გაქურდულ გლეხებმა და სთხოვეს დახმარება. გლეხებმა იცოდნენ ქურდების ვინაობა, ნაქურდალიც დაატოვებინეს მათ, მაგრამ მეგრელიძე ასე უპასუხებს გლეხებს: სად მეძახიან მე ვიღოდი ტყეში ვდიო, თუ ქურდობაზე შეესწარი, შენ თვითონ დაგეჭირა, მოგეყვანა ჩემთან და მე ჩავაჯენდი ციხეშიო".

იყო ერთი მაგალითიც, როცა ბოროტმოქმედი მართლაც დაიჭირეს გლეხებმა, მიიყვანეს მილიციაში, მაგრამ მეგრელიძემ იმავე დღეს გაანთავისუფლა ბოროტმოქმედი.

კიდევ მრავალი ფაქტების მოყვანა შეიძლება ქობულეთის მილ. უფროსის „მოღვაწეობის" შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ ჩამოთვლილი ფაქტიც საკმაოა მის დასახასიათებლად. დურსუნ მეგრელიძე არ არის შესაფერი იმ თანამდებობაზე, რომელიც მას უკავია.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მუშ-გლეხინსპ. მოკვლევა ნათელს მოჰფენს ყოველივე ზემოაღნიშნულს.

ქობულეთელი.

უმსგავსოებანი დასვენების ორგანიზაციის საქმეში

დასასვენებელ სახლებს საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა. დასასვენებელ სახლების გაფართოებაზე, მათ კეთილ მოწყობაზე და მუშა-მოსამსახურეთა კვების საქმის გასაუმჯობესებლად, როდესაც ისინი იგზავნებიან დასასვენებლად, ყოველწლიურად რამდენიმე ასეული ათასი მანეთი იხარჯება. ყოველწლიურად იზრდება დასასვენებელ სახლებში გაგზავნილ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი.

ამავე დროს საქართველოს სოციალურ დაზღვევის ორგანოს, დასასვენებელ სახლების მართვა-გამგეობის საქმეში ბევრი რამ ჯერ კიდევ ვერ მოუგვარებია და ბევრ მიუტევებელ დამახინჯებებს აქვს ადგილი.

ჩვენ ამ წერილში გვინდა მივაქციოთ მკითხველის და დამზღვევი ორგანოს ყურადღება ერთ თვალსაჩინო საკითხს—სახელდობრ: ვინ უნდა იგზავნებოდეს დასასვენებელ სახლებში? ამის შესახებ არსებობს განსაკუთრებული კანონი და ინსტრუქციები. კანონი ორ მთავარ პირობას გვისახავს. პირველი პირობა—დასასვენებელ სახლებში უნდა იგზავნებოდნენ ისეთი მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც მეტ სისუსტეს განიცდიან ჯანმრთელობის მხრივ. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ჯერჯერობით ჩვენ არ შეგვწევს საშუალება ყველა მუშა-მოსამსახურე გავატაროთ დასასვენებელ სახლებში. დასასვენებელ სახლებს ყოველ წელს ვაფართოვებთ, მაგრამ ჯერ კიდევ შორს ვართ იმ მდგომარეობიდან, როცა შევძლებთ ყველა მუშა-მოსამსახურეს მივცეთ დასასვენებელ სახლებში გავლის საშუალება. ამისათვის ინსტრუქციები გვიკარნახებენ, რომ დასასვენებლად გავაგზავნოთ ისეთები, რომელნიც დღეს მეტ ფიზიკურ სისუსტეს განიცდიან.

მეორე პირობა—დასასვენებელ სახლებში უნდა იგზავნებოდნენ ოთხმოცი პროცენტი მუშა-ფიზიკური მომუშავენი და ოცი პროცენტი მოსამსახურენი.

რას ვხედავთ სინამდვილეში? ხშირად დასასვენებელ სახლებში იგზავნებიან სრულიად ჯანმრთელნი, დასასვენებელ სახლებში ბევრჯერ მოსამსახურენი სჭარბობენ მუშებს და ირღვევა აუცილებელი პროპორცია. პრესა გვამხელს, რომ დასასვენებელ სახლებში გაკრასულა „სოვდარიშები" სჭარბობენ მუშაქალებს და სხვა.

ჩემს განკარგულებაში არის ოფიციალური სტატისტიკური ცნობები ქობულეთის დასასვენებელ სახლის შესახებ. რას მოწმობენ ისინი? პირველ წყებაში—1-16 ივლისამდე გაგზავნილი იყო 74 კაცი, მათ შორის 53 მუშა და 21 მოსამსახურე. მეორე წყებაში 16-1 აგვისტომდე გაიგზავნა 73 კაცი, მათ შორის მუშა 43 და მოსამსახურე 30. მესამე წყებაში—1-15 აგვისტომდე გაიგზავნა 86 კაცი, მათ შორის 37 მუშა და 49 მოსამსახურე. მოსამსახურეთა პროც. პროგრესიულად იზრდება და ბოლოს მოსამსახურეთა რიცხვი კიდეც აჭარბებს მუშების რიცხვს. რა არის ეს, თუ არაა დირექტივის დამახინჯება?

შემდეგი ცნობა უფრო აშკარად ჰყოფს ამ არანორმალობას. აგვისტოს პირველ ნახევრის წყებაში საერთო რიცხვში არის 23 დედაკაცი, მათ შორის ოცი მოსამსახურეა და მხოლოდ სამი მუშა-ქალი.

მთავარი დანაშაული ამ საქმეში სრულიად საქართველოს დამზღვევ ორგანოს უნდა დავაკისროთ. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ამ სიმახინჯეს. არა ნაკლები ბრალი ედებათ პროფკავშირებსაც და ადგილკომებს.

არ შეიძლება, რომ აქ პროტექციას არ ჰქონდეს ადგილი.

მეტი სიმტკიცით უნდა დავიცვათ დასასვენებელ სახლებში გაგზავნის წესები. ეს კი ასე არ ხდება. საჭიროა გამოიძებნოს ზემოდასახელებულ არანორმალურ მდგომარეობის გამომწვევი პირები და სასტიკად უნდა დაისაჯონ ისინი.

სან. იაშვილი.

ალბულაღის ფალავნები

სოფ. ალბულაღში ადგილობრივმა საბავშვო ახალშენმა საექსკურსიო ფონდის გასაძლიერებლად მოაწყო საღამო-სეირნობა.

მოსახლეობა სიხარულით მიეგება ამ საქმეს. ხალხი საღამოს ბოლომდე დაესწრო. უხაროდათ ექსკურსანტებს, რომელნიც მოსკოვში სასიამოვნოდ ჩაეწერნენ, ისინი თავს უკვე წითელ დედა ქალაქის მახლობლად გრძნობდნენ.

უცბად საქმემ სხვა მიმართულება მიიღო. მოულოდნელად ჭურჭლის მსხვრევის ხმა გაისმა. დამსწრეთ ვერ გაეგოთ, რაში იყო საქმე. არ იყო მოსალოდნელი არც მქუხარე მასიური სცენები, არც ჭურჭლების მსხვრევის ეპიზოდები კულისებში.

საჩქაროდ ყველაფერი გამოირკვა. ეს სცენა ბუფეტში დატრიალდა სუფლიორისა თუ წინასწარი რეპეტიციის გარეშე. მთავარმომქმედი პირები იყვნენ: საბავშვო ახალშენის სამეურნეო ნაწილის გამგე კირაკოზოვი, მილიციის უფროსის თანაშემწე ძიძიგური, მაისურაძე, ბუფეტის პატრონი ხევახტიანოვი და მასწავლებელი ქალი ქესია. რეკვიზიტის როლს ასრულებდა ჭურჭელი და ბუფეტის დაზგაზე დალაგებული სამელეები. სცენის სიუჟეტი შემდეგი იყო:

ხევახტიანოვმა (ადგილობრივ ეკლესიის მსახურის შვილმა), ერთი ჭიქა ღვინო შესთავაზა მასწავლებელ ქალს ქესიას, რომელიც ამ დღეს ბუფეტში მუშაობდა. სამეურნეო ნაწილის გამგე კირაკოზოვი, ქესიას ქალისადმი სენტიმენტალური გრძნობებით გამსჭვალული ამ გარემოებით შეურაცხყოფილი დარჩა. კირაკოზოვი გინებით და ცემით დაემუქრა და პროტესტი ჭურჭლის მსხვრევით გამოხატა. საჩქაროდ მთელი ჭურჭელეულობა, რაც მაგიდებზე ელაგა, და მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ბუფეტში იყო, განადგურებული აღმოჩნდა.

ამის შემდეგ გათამაშებული იქნა მასიური სცენა, რომელშიაც ყველა დამსწრემ მიიღო მონაწილეობა. გლეხები აღშფოთებულნი იყვნენ სამეურნეო ნაწილის გამგის თავაშვებულობით. ექსკურსანტებს გული ეღონებოდა, როდესაც ხედავდნენ, როგორ თვალის წინ ჰქრებოდა მათი საექსკურსიო ფონდი.

უფრო ორიგინალური მეორე სცენა, რომელიც ღრმად ყოფილა მოფიქრებული. მან დამსწრეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მთვარით განათებულ ქუჩაზე გამოჩნდა მოჩვენება, თეთრი, უსიტყვო, მოჩვენება აღმოჩნდა წესრიგის დამცველი მილიციონერი ივანოვი, რომლისთვის იარაღი აეყრიათ მილიციის უფროსის თანაშემწე ძიძიგურს და მაისურაძეს, კირაკოზოვის მონაწილეობით, და საცვლის ამარა გამოუშვიათ ქუჩაში. რატომ, რისთვის, იმიტომ რომ ივანოვი მათ წესრიგისაკენ მოუწოდებდა. ერთობ ორიგინალური ამბავი მოხდა ალბულაღში.

მსგავსი ოინები უფრო „ლეიბ-გუსარებს" შეეფერება, ვიდრე პასუხისმგებელ მუშაკებს, რომელნიც საბჭოთა ახალი სოფლის აღმშენებლობის მიზნებს ემსახურებიან.

მიხ—ძე.

ბიუჯეტის დეფიციტის მიზეზები

(გორის საბჭო)

ადგილობრივი ბიუჯეტის გამაგრება-გაძლიერება ყველა სათანადო ორგანიზაციის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ჩვენი საბჭოები უმეტეს შემთხვევაში დღემდე კიდევ ვერ ახერხებენ იმ მეურნეობათა შესაფერ დონეზე დაყენებას, რომელნიც წარმოადგენენ ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლის მთავარ წყაროებს. მაგალითისათვის ავიღოთ ქალაქ გორის საბჭო. მას აქვს კულაკებისა და ვაჭრებისაგან ჩამორთმეული 124 ნაჭერი ბაღ-ბოსტანი. გორის საბჭო ფრიად გულშემატკივარი და ლმობიერი აღმოჩნდა ამ ყოფილი ხალხის მიმართ. ჩამორთმეული ბაღ-ბოსტნები ყოველივე ხელშეკრულების და ვალდებულების გარეშე მათვე გადასცა საექსპლოატაციოდ. ისინი კი თავის მხრივ მესამე პირს აძლევენ ბაღებს იჯარით, ბაღ-ბოსტნების მოვლა და ექსპლოატაცია მეტად სუსტად არის დაყენებული. კულტურულ ბაღებში, ეს ყოფილი ხალხი სთესავს ისეთ მცენარეულობას, რაც ანადგურებს ბაღებს. ბიუჯეტით ნავარაუდევი ბაღების შემოსავალი არ მართლდება 50 პროც.-ითაც კი.

ასეთივე მოვლენებია სახნავი მიწების იჯარით გაცემის საქმეშიაც. საბჭომ დღემდე არ იცის რამდენი ზომის სახნავ-სათესი მიწები აქვს და როგორი ნაყოფიერებისაა ეს მიწები. ბიუჯეტის ვარაუდით სახნავი მიწების შემოსავალი 28-29 წელში განსაზღვრულია 6.000 მან., ფაქტიურად კი მიღებულია აქვს თვეში 1.200 მანეთი, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს ვარაუდი არ გამართლდება 40—50 პროცენტით.

მუნიციპალიზაციაქმნილი შენობების და დარაბების ექსპლოატაციაც ვერ არის მოწესრიგებული.

საბჭოს დღემდე არა აქვს შემოღებული მტკიცე საიჯარო და საბინაო ტარიფი. დაწესებულებებს რომ თავი მივანებოთ, კერძო მობინადრეებიც უსასყიდლოთ ცხოვრობენ და წლობით არაფერს უხდიან საბჭოს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ბიუჯეტით ნავარაუდევი შემოსავალი 10 პროც. არ მართლდება.

ქ. გორის დარაბების შემოსავლის სიმცირე აიხსნება იმით, რომ სახელმწიფო დაწესებულებანი, კოლექტივები, არტელები და სხვ. წლობით საბჭოს საიჯარო ქირას არ უხდიან. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ერთად-ერთ სასტუმროში, რომელიც ფრიად საჭირო და მომგებიანი დაწესებულებაა საბჭოსათვის, ქონების და შემოსავლის აღნუსხვა ვერ სწარმოებს საჭირო წესით. სასტუმროს პირველი ორი გამგე თაღლითობა-ბოროტმოქმედებისათვის მოხსნილია. დაინიშნა ახალი გამგე, რომელსაც ოფიციალურად არავითარი ქონება არ მიუღია და პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან.

სასტუმროდან გაცემულია „დროებით" სახმარებლად (კროვატები, თეთრეული, საბნები და სხვ.), მაშინ, როდესაც თვით სასტუმროს ესაჭიროება ასეთი. სასტუმროში ცხოვრობენ აღმასკომის თანამშრომლები, რომელნიც თვეობით არავითარ ქირას არ უხდიან საბჭოს (მაზრის მიწის მზომელი ავალიშვილი და სხვ.),

სასკლაოს შემოსავალს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, ადგილობრივი ვაჭრები კლავენ საქონელს, რომ თავიდან აიცილონ საბჭოს სასარგებლოდ შემოღებული გადასახადი. გამოკვლევით დადასტურდა, რომ ცხრა თვის განმავლობაში საბჭომ, სასკლაოს გამგის და საეტერინარო ზედამხედველობას გულგრილობის მეოხებით 2.500 მანეთზე მეტი ზარალი ნახა.

საბჭოს აქვს ორი კარგათ მოწყობილი წყლის წისქვილი, ერთი მათგანი იჯარით აიღო ვინმე მანველიანცმა, რომელიც ვალდებულია საბჭოს გადაუხადოს წლიურად 490 ფ. ხორბალი, მანველიანცს იჯარის ვადა გაუვიდა ა. წ. 11 ივლისს, მიუხედავათ ამისა, ის მაინც განაგრძობს წისქვილის ექსპლოატაციას. სულ რამდენიმე ხნის წინად მანველიანცს ემართა საბჭოსი 831 ფუთი ხორბალი. წისქვილების მოიჯარადრეებზე მეთვალყურეობის გაწევა, დავალებული ჰქონდა ხვადაგიძეს. ამ უკანასკნელმა კი ისეთი „მეთვალყურეობა გაუწია" საქმეს, რომ შესაძლოა გორის საბჭომ 4.157 მან. დაკარგოს.

გორის საბჭოს ტრანსპორტი გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, წმინდა მოგება 28-29 წ ნავარაუდევია საექსპლოატაციო ხარჯთ-აღრიცხვით 2.253 მან., ფაქტიურად საოპერაციო წლის 9 თვემ განვლო და მოგების ნაცვლად ზარალი უდრის 1.300 მანეთს.

მუშა-საქონელი მოუვლელია, ფურაჟი სასწორო წესით არ ინუსხება, შემოსავლის აღრიცხვაც დაუშვებელი წესით სწარმოებს, ინვენტარიც არ არის სისწორით აღრიცხული. ასე ვერავითარი მეურნე ვერ მოგვცემს რაიმე ხელსაყრელ შედეგს.

ქალაქ გორის საბჭოს საზრის ქარხანა „აღორძინება"-მ გასული წლის ივლისში შესწყვიტა მუშაობა და მხოლოდ ამ წლის მარტის შუა რიცხვებში განაახლა თავისი საქმიანობა, ისიც კომუნბანკის ფინანსიური დახმარებით. ამჟამად ქარხანა მძლავრი ტემპით მუშაობს და 2 ნახ. თვეში მან მოგვცა წმინდა მოგება 9.000 მან. მეტი. სჩანს ქარხანა არც წარსულში უნდა ყოფილიყო წამგებიანი და არ უნდა დაეტოვებია ის დიდი ვალი 73.000 მანეთი, რომელიც ახლა კისერზე აწევს მას. ქარხნის შემოსავალი და გამოუშვებული პროდუქცია, როგორც სხვადასხვა დაწესებულებებს, ისე კერძოთ თანამშრომლებს ხმარდებოდა; ამ მოვალეებს კი დღემდე ქარხნისათვის ანგარიში არ გაუსწორებიათ, ამავე დროს სახბანკი და კომუნბანკი სამართლიანად მოითხოვენ ძველი ვალების ანაზღაურებას. შეიძლება ითქვას, რომ ქარხანა შეჩერებული იყო იმის გამო, რომ მთელ რიგ პასუხისმგებელ მუშაკებისა და ორგანიზაციებმა წაიღეს საკმაოდ დიდ თანხად ღირებული საქონელი და ვალის განაღდებაზე არავინ იტვირთავს თავს.

საჭიროა გადამჭრელი ღონისძიება გაუსწორებელ დებიტორების წინააღმდეგ, რომელთაც სრული შესაძლებლობა აქვთ გადაიხადონ დავალიანება.

ვფიქრობთ, მომავალში ქ. გორის ახალი საბჭო ასეთ დაუდევრობას არ ჩაიდენს და წარსულ შეცდომებს კი გამოასწორებს მეტი აქტივობის გამოჩენით.

გარდა ამისა, ქ. გორის საბჭო წარსული წლების მუშაობის დროს კომუნ. და ცეკობანკიდან მიღებულ კრედიტებს არ იყენებდა თავის პირდაპირ დანიშნულებით, ასე მაგალითად, 10.000 მან. მიღებული გორის აბანოს ასაშენებლად დაიხარჯა ხაზურის სხვადასხვა სამუშაოებზე, ცეკობანკიდან მიღებული კრედიტი 7.000 მან. მოხმარდა სულ სხვა დანიშნულებას, ეს გარემოება დაუშვებელია და მიუღებელი თვით საბჭოსათვის, რადგან შესაძლოა ამ არა სწორ მოქმედებამ წარმოშვას კრედიტების დახურვა.

გამფლანგველის დაწინაურება

(ზუგდიდი)

ზუგდიდის სამაზრო გლეხკომმა 1928 წ. 1 აგვისტოს გლეხთა სახლთან გახსნა სასადილო, რომლის გამგედ იყო მოწ. ვასილ ჯიქია. პირველ ხანებში ჯიქია კარგათ მუშაობდა და სასადილოს მოგება ჰქონდა. სოფლიდან ჩამოსული გლეხები და დიდი უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეებისა გლეხთა სახლის სასადილოში დადიოდა. კერძო სასადილოს პატრონები ყურებ ჩამოყრილი ისხდნენ თავიანთ რესტორანებში. ბევრი მათგანი იძულებულიც გახდა დაენებებია თავი ვაჭრობისათვის, ბოლოს ვაჭრებმა მიმართეს ხერხს. მოისყიდეს სასადილოს გამგე ჯიქია, რომელმაც რამდენიმე თვის განმავლობაში ათას მანეთობით ზარალი მიაყენა სასადილოს, მაგრამ გლეხკომმა კიდევ კარგ დროს გაუგო ჯიქიას ოინები. დაინიშნა რევიზია, რომელმაც აღმოაჩინა ბოროტმოქმედება:

1. გამგე საკმაო რაოდენობით არ იძენდა სურსათ-სანოვაგეს, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე ყველაფერი იყო და ფულიც ქონდა მას, და სასადილოში 12 საათზე თავდებოდა საჭმელი.

2. ჯიქიას გლეხკომის ნებადაურთველად გაცემული ჰქონდა უპასუხისმგებლო პირებზე ათასორასი მანეთი (1.200 მ.) ნისია. ს გარდა გამგეს აღმოაჩნდა ფულადი დააკლისი სამასი მანეთი. დამნაშავეს შეუდგინეს ოქმი, მოხსნეს სამსახურიდან და საქმე გადაეცა პროკურორს. პროკურორმა საქმე გამოსაძიებლად გადასცა სამაზრო მილიციას. ასეთი გამგე უნდა მოეთავსებიათ გამსახლში, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ სულ სხვას ვხედავთ. მოწ. ვასილ ჯიქია, რომელსაც ორნაირი ბოროტმოქმედება აქვს ჩადენილი: დაუდევრობა და გაფლანგვა, სატყეო ტრესტში შეუტარებიათ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ალბად ვიღაც მფარველობს მას. ეს ნიშნავს ქურდის დაწინაურებას. ამას უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება ადგილობრივმა ხელისუფლებამ და საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ.

მ. ბერულავა.

მშრომელთა მტერი—საბჭოთა პენსიონერი

(მარტვილი, სენაკის მაზრა)

მარტვილის თემის გლეხობა კარგად იცნობს ამავე თემის მცხოვრებს და თვითმპყრობელობის დროის გავლენიან პირს—ნახუცარ მელიტონ გეგეჭკორს და მის შვილს ნადიაკვნარ ნოეს. „მამა" მელიტონის მუშაობა მარტო მღვდლობით და მშრომელთა გაყვლეფით არ ამოიწურებოდა. მას, როგორც მღვდელს, აზნაურს და მემამულეს, მტკიცე კავშირი ჰქონდა მაშინდელ მთავრობის წარმომადგენლებთან. სარგებლობდა რა ამ მდგომარეობით „მამა" მელიტონი, ადვოკატობდა, სწერდა სხვადასხვა ქაღალდებს, კასაციებს და ამით ტყავს აძრობდა მშრომელ გლეხობას. ნახუცარი მელიტონი დღესაც მიმართავს ხშირად თავის ძველ ხელობას, იყო და არის შემთხვევა, მასთან მისულ გლეხ ქალს მოსთხოვა ათი მანეთი და რადგანაც ქალს ამდენი ფული ვერ აღმოაჩნდა, გირაოდ მისი თავშალი გამოართვა. მეორე შემთხვევა: განცხადების დაწერისათვის ხუთი თუმანი ითხოვა ან და სანდო თავდები.

1917 წლის შემდეგ, მენშევიკების ბატონობის დროს—ნადიაკვნარი ნოე შედის მენშევიკურ პარტიაში და ჩვენ მას ვხედავთ მენშევიკების მილიციაში.

ეხლა ვიკითხოთ—რაღას იქმენ ნახუცარი მამა და ნადიაკვნარი ძე მისი ნოე საბჭოთა ხელისუფლების დროს? პასუხი ასეთი იქნება: „მამა" მელიტონი ღებულობს თვეში 30 მანეთ პენსიას, მიუხედავად იმისა, რომ ძე მისი ნოე, მისი ოჯახის წევრი, თვეში ღებულობს 120 მან.; როგორც სამეგრელოს სამორიგეო გამგე. მკითხველს გაუკვირდება, როგორ მოხდა ეს? პასუხი ამაზე ერთი შეიძლება— გავლენიანი ხელის დახმარებით.

ამის წინად გამგე ნოე გეგეჭკორი პასუხისგებაშიც იქნა მიცემული გაფლანგვისათვის, დაპატიმრებულიც იყო ამისათვის, მაგრამ მესამე დღესვე განთავისუფლეს ის. ნახუცარი მელიტონი, როგორც მავნე და არა სამეურნეო ელემენტი შავ სიაში შეტანილი თავის ოჯახით, პენსიას მაინც ღებულობს. ყველას უკვირს ეს მდგომარეობა. იმედია ამას მიექცევა ყურადღება და მშრომელთა მტრის მფარველობა საბჭოთა ხელისუფლებისაგან შეწყდება.

გახუტა.

ქათმის ხორცის მოყვარული

(ასურეთი)

სოფელ ასურეთის გლეხები ყოველდღე ამჩნევდნენ, რომ მათ ქათმები ეკარგებოდათ. ქათმები ავადმყოფობით, ან ცუდი საკენკის გამო როდი იხოცებოდნენ, ისინი უკვალოდ იკარგებოდნენ. მეზობლები ჩხუბობდნენ და ქურდობას აბრალებდნენ ერთმანეთს, მაგრამ საბუთების უქონლობის გამო, ვერაფერი გამოიყვანეს.

ბოლოს, როგორც იყო, „ქათმების პანიკა" გამოაშკარავა თემაღმასკომის დარაჯმა პაპაშვილმა. თუმცა მას ქათმები არ ჰყავდა, მაგრამ მაინც დიდხანს იტეხდა თავს, რომ „ქათმების ანომალია" გამოერკვია. ერთხელ, როდესაც ამ მოხუცმა მილიციის სამმართველოს ჩაუარა, შემდეგი სურათი დაინახა:

ქათმები სრულიად დაუპატიჟებლად უახლოვდებოდნენ მილიციის კარებს და როგორც კი საძირკველზე გადადგამდნენ ფეხს, სამუდამოდ იკარგებოდნენ. ქათმები ჰკენკავდნენ საგანგებოდ დაყრილ პურის ნამცეცებს, ისინი ვერ ითვალისწინებდნენ, თუ რა დამღუპველი შედეგები მოჰყვებოდა ამ მათთვის. კარებთან კი წესრიგის დამცველნი სჭრიდნენ მათ თავს და ამზადებდნენ მორიგ სადილს (ღვეზელს).

აქ ჩამოსულმა სამაზრო მილიციის უფროსის თანაშემწე წერეთელმა და მილიციის ინსპექტორმა ლუსხმამ გაჰკრეს კბილი ამ ნადავლს. ისინი დიდ მადლობას იხდიდნენ სტუმართმოყვარეობისათვის.

თეთრი ხორცის მოყვარულებმა ასურეთის რაიონულ მილიციიდან ბოლო მოუღეს ქათმებს და დიეტით კუჭი გაიმაგრეს. როგორც სჩანს, რქოსან საქონელზედაც აპირებენ გადასვლას.

მაგრამ ეხლა ხორცი ყელზე დაადგებათ.

მ. ბახ—ძე.

პარტიაში

დაუნდობელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრებს პრაქტიკაში

პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე უნდა დავაყენოთ კერძო ვაჭრების მფარველები

მასების ფართო აქტიობით ბოლშევიკურ კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ ჩვენი მუშაობის უარყოფითი მხარეები

კერძო ვაჭრების ჭირისუფალი

ზოგიერთი საქონლის ნაკლებობას ჯერჯერობით კიდევ განვიცდით. კოოპერატივს ხშირად ზოგი საქონელი არ მოეპოვება. მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ მის გვერდით მეორე ჩარჩები ასეთი საქონლით ვაჭრობენ, ხალხს ერთი ორად აძრობენ ტყავს. მასის მხრივ გაისმის სამართლიანი უკმაყოფილება: „სად შოულობს კერძო ვაჭარი, თუ ნაკლებობა არის ამ საქონლისო“. ამ „საიდუმლოების“ გამოაშკარავება არც ისე ძნელია. „გრუზგოსტორგი“, „ტეკრებტორგი“ და ყველა „ტორგები“ ადგილ. განყოფილებაში ხშირად კერძო ვაჭრების დასაყრდენი ხდება. მაგალითად, ქუთაისის „გრუზგოსტორგი“ არავითარ ზომას არ ერიდება, ოღონდ თავის საქონელი გაყიდოს. ეს საქონელი კერძო ვაჭარს მოხვდება ხელში თუ სხვა რომელიმე ორგანოს, მისთვის სრულებით არ არის საინტერესო. ამას წინად ვანში (ქუთაისის მაზრა) ჩამოვიდა „გრუზგოსტორგის“ „ვაიაჟორი“ პარტიის წევრი სულაბერიძე, მან მოლაპარაკება გამართა ვანის კერძო ვაჭრებთან და შეპირდა საქონელს. ადგილობრივ კოოპერატივს დაემუქრა კიდეც.

ჩვენ ვიცით, რომ სულაბერიძეს არავითარი საზოგადოებრივი ინტერესები არ ამოქმედებს. ეს სავსებით დამტკიცდა, როდესაც ვანის ერთმა კერძო ვაჭარმა „გრუზგოსტორგიდან“ მოიტანა საქონელი და მათ შორის რამოდენიმე ყუთი საპონი „მამალი“. (საერთოდ საპონი „მამალი“ ბაზარზე ნაკლებათ იშოვება). ეს იმ დროს, როდესაც კოოპერაციას ის განსაზღვრული ნორმით ეძლევა. საპონი ვაჭრობის კომისარიატის განმარტებით უნდა იყიდებოდეს 500 გრამიანი 29 კაპიკად, კერძო ვაჭრები და გოგიბერიძე ვანში ყიდის მას 40—45 კაპიკათ.

ეს რომ მარტო საპონზე იყოს კიდევ არაფერი. ასეთივე მდგომარეობაა ფართლის და სხვა აუცილებელი პირველ მოთხოვნილებითი საგნების განაწილების მხრითაც. შეკითხვაზე თუ საიდან ღებულობს ვაჭარი ამ საპონს ის რიხით უპასუხებს. „რაღა მე დამინახეთ, ყველა ვაჭრებს ვანში „გრუზგოსტორგი“ აძლევს საქონელს სულაბერიძის განკარგულებითო“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულაბერიძის ასეთი ნაბიჯი არის ანტიპარტიული ნაბიჯი, რომლისათვის მას პარტიამ პასუხი უნდა მოსთხოვოს. სულაბერიძე, წინად კოოპერაციაში მუშაობდა. მასზე თავის დროზე გაზეთ „კომუნისტში“ სათანადო წერილი იყო — „როგორ იბრუნა სულაბერიძემ პირი სოფლისაკენ“, ამისათვის ის მოხსნეს როგორც ლოთი. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ საყვედური გამოუცხადა მას. ამის გამო ის უკმაყოფილოა და ხშირად „კბენს“ კოოპერაციას, და მით პარტიის დირექტივების შესრულებასაც გაურბის.

უმაღლესმა საკონტროლო ორგანოებმა ბოლო უნდა მოუღონ „გრუზგოსტორგში“ ასეთ მუშაკების საქმიანობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერას დროს ვერ ჩადგება ბაზარი ნორმალურ მდგომარეობაში და კოოპერატივის ავტორიტეტიც დაეცემა. დროა ქუთაისის შინავაჭრობის კომისიამ შეიხედოს კერძო ვაჭრების სავაჭროებში და იქ იპოვის ბევრ საქონელს, რომლის გაყიდვის უფლება მათ არ აქვთ. საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ორგანოებმა დროზე მიაქციოს ყურადღება, მხოლოდ კერძო ვაჭრების ჭირისუფლებს კი პასუხი მოსთხოვოს.

მ. ჭყონია.

როგორ მიმდინარეობს პარტწმენდა ხონში

გრძელდება ხონის ქალაქის 1-ლი უჯრედის წმენდა. 6 და 7 აგვისტოს წმენდაში გატარებულ იქნა სულ 26 კაცამდე. დასწრება არაჩვეულებრივია; წმენდას ესწრება 2-დან 4 ათასამდე კაცი, რის გამოც კომისია იძულებული შეიქნა წმენდის ადგილი (კინოს დარბაზი) გადაეტანა მეორე შრ. სკოლის პარალელის ეზოში. წმენდაში გატარებულთა შორის განსაკუთრებით უარყოფითი შთაბეჭდილებას სტოვებდნენ შემდეგი ამხანაგები: 1. **რუხაძე კორნელი** (კოოპ. ნოქარი), ყოფ. ვაჭარი. რუხაძეს წაუყენეს ბრალდებები, რომ ის საქონელს ღანირ-ქვიტირის კოოპერატივში ყიდდა ზედმეტად, ფულს ასესხებდა პროცენტებში, ღარიბთა სიაში არმყოფ პირებს აძლევდა სიმინდს კოოპერატივიდან. რუხაძე იბნევა, საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს, რომ ის ფულს თითქოს ღანირ-ქვიტირის ალმასკომისას ასესხებდა პროცენტებში ალმასკომის დავალებითო (!) და სხვ. 2. **ადამია ერმილე** 1926 წ.-დან პარტწევრი, თავისი განცხადებით ის ყოფილი ვაჭარია, უმსახურია მენშევიკების დროს ჯარის ნაწილებში, მაგრამ ამავე დროს თავისივე სიტყვებით ის თითქმის თავიდანვე იყო „ბოლშევიკი“. ორგანიზაციის დავალებით, თითქოს ის ყველგან აწყობდა „აფეთქებას“ და სხვ. მაგრამ იბადება ეჭვი, თუ როგორ მოხდა, რომ მენშევიკებს ის ყოველთვის გადურჩა ასეთი „რევოლუციონური“ საქმიანობის გამო და ამავე დროს პარტიის წევრი კი გახდა 1926 წ. და არა 1917 წლიდან. მან თითქოს ორგანიზაცია-ამხანაგების „დავალებით“ თბილისის საწყობიდან რამდენიმე ცალი პურის გამოტაცებაც მოახერხა და დაურიგა ამხანაგებს, ამის შესახებ ის ციხეშიაც მჯდარა. ამას ის რევოლუციონურ მოქმედებათ სთვლის.

ეხლა ფრუიძის შესახებ. ის ძველი ბოლშევიკია და როგორც ასეთი მას არ უნდა ეპატიოს ქანაობა. მას ჰქონია შემთხვევა გამოძიების გამორკვევის დროს, რომ თავის სწორა დასკვნა შემდეგ, კაციტაძის (რაიკომის ყოფ. მდივანი) ზეგავლენით შეუბრუნებია.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს წმენდის ზოგიერთი დეფექტები. მართალია დასწრება არაჩვეულებრივია, მაგრამ ამავე დროს ღარიბი გლეხობისა და საერთოდ უპარტიო მშრომელ მასიდან აქტიობა ნაკლებია. უამისოდ კი, განსაკუთრებით ხონის ორგანიზაცია ვერ დარჩება ჯანსაღი. ბრალდებების მხილება-დაცვის საქმეში ემჩნევა დაჯგუფება და „მონოპოლია“ 3—5-მდე ახალგაზრდების მიერ. უნდა აღინიშნოს აქტიობა კომკავშირის ორგანიზაციის, მაგრამ ამდენივე და კიდევ უფრო მეტად დუმილი ზოგ ძველ ბოლშევიკთა; მათ ემჩნევათ ურთიერთ დაცვის ტენდენცია. წმენდის მსვლელობაში აშკარავდება, რომ ორგანიზაცია ორჯგუფად არის გაყოფილი (უფრო საინტრიგო, ვინემ საქმისათვის) და ერთმანეთის საწინააღმდეგოთ მომზადებული ჰყავთ ჯგუფები. თვით ხელმძღვანელნი სდუმან. ზოგიერთ შემთხვევებში ამა თუ იმ ჯგუფში მყოფ კომუნისტების წინააღმდეგ ბრალდებების წამოყენების საშუალებას უპარტიოებს არ აძლევენ. შემჩნეულია ცალმხრივობა ბრალდებების წამოყენება-დაცვაში და არა პარტიის ინტერესების სადარაჯოზე დგომა.

საწინააღმდეგო, თუ დადებით მასალებს უმთავრესად იძლევიან პარტიის ისეთ წევრებზე, რომლებიც ამა თუ იმ ჯგუფშია მოკალათებული; განზე მდგომთ, აგრეთვე ფარული ოპოზიციონერთა გამოაშკარავების საქმეც ვერ არის სათანადოთ დაყენებული. თითქოს ყველა ყოფილა, ან და სულ არ ყოფილა ოპოზიციაში. ეს იმ დროს, როდესაც ხონში ოპოზიციონერები მრავლად მოიპოებოდნენ. და ეხლა კი ისე გამოდის თითქოს ყველა „მამა-აბრამის ბატკნებია“.

ვიმედოვნებთ კომისია ასეთებს გამოაშკარავებს და ჯერაც გაუსწორებელთ სათანადო ადგილს მიუჩენს.

კარგი წარსულის მქონე ხონის ორგანიზაცია ჯგუფურმა მუშაობამ 80 პროცენტით დაავადა. მისი რიგების არა ნაკლებ 40 პროცენტისა გასაწმენდია. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ გამოაშკარავოს ორგანიზატორები, მიზეზები დაჯგუფების, ჯგუფებს შორის ხტომას ჩვეული—მერყევი, ლაქუცა ელემენტები, რომლებიც ყველაზე საშიში არიან პარტიისათვის. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მართებს კომისიას ფარული ტროცკისტების ფიზიონომიის გამოაშკარავების საქმეში. ამ ბაზით ურთიერთ დამცველები მთელი სისასტიკით უნდა დაისაჯონ. მეტად უნდა აამოქმედონ მასები და ძველი პარტიულები. მათ უნდა გამოაშკარავონ ყოველივე, რომ შევსძლოთ ჩვენი რიგების ურყევი მთლიანობის შენარჩუნება და პარტიის მედგრად წინსვლა ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

საჭიროა მეტი აქტიობა, მეტი შეგნებული დამოკიდებულება წმენდისადმი და სერიოზულობა დამსწრეებისაგან. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი მოწოდებული არიან დაეხმარონ პარტიას ამ დიდ საქმეში.

დამსწრე.

პარტწმენდის დეფექტები

(გურჯაანის ალმასკომის უჯრედი)

გურჯაანის ალმასკომის პარტწმენდას შემდეგი ახასიათებს: ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგების წინააღმდეგ ყალბი ბრალდებების წამოყენება, ავტორიტეტის დაცემის ცდა, კანკლაობის მიზნით გამოსვლა, ზოგზედ კი ხელის დაფარება.

ავალაპარაკოთ ფაქტები გურჯაანის პარტუჯრედის წმენდაზედ, მიწ. მოქმედების განყ. გამგეს ამხ. თანდილაშვილს დასდეს ბრალი ვითომ „კოლექტივის მარანი გაეტეხოს ღვინის დალევის მიზნით“, სახლში ედგეს თავადებისაგან მოტანილი კრაოტი, ალმასკომის საორგანიზაციო განყ. გამგეს ამხ. კოხტაშვილს დასდეს ბრალი ვითომ „1922 წელში ჩოლოყაშვილთან ჰქონდა კავშირი“, ყოფილი დიაკვანი იყო და სხვა.

მაგრამ რა გამოირკვა, თელავიდან სპეციალურად ჩამოსული გასტროლიორები: ჩიგილაშვილი, მამაჯანოვი და ანდღულაძე ესენი ნაწყენი იყვნენ კოხტაშვილზე და თანდილაშვილზე იმიტომ, რომ ჩიგილაშვილის მამას კულაკს არ აღუდგინეს ხმა, მამაჯანოვი კი მოხსნეს ალმასკომის ინსტრუქტორობიდან როგორც უვარგისი.

ამ ნიადაგზე ცდილობდენ ტყუილი ბრალდებები მოეხვიათ პას. მგებელ ამხანაგებზე და მათი ავტორიტეტი დაეცათ. აღნიშნული ბრალდებები არც ერთხელ არ დამტკიცდა საჭიროა, ის კომუნისტი, რომელმაც იცოდა პარტიის წევრზედ 1922 წ. ჩოლოყაშვილის ბანდასთან კონტრ-რევოლიუციონური კავშირი და დღემდის მალავდა, პარტიიდან გაირიცხოს.

მეორეს მხრივ ადგილი ჰქონდა ჩადენილი ცოდვების და ბრალდებების ხელის დაფარვის ცდას. მაგ. ყოფილ შრომის ინსპექტორს, ამჟამად, ეტის თავმჯდომარეს შალიკაშვილს მუშებთ კავალერია უმტკიცებდა ფაქტებით მთელ რიგ ბრალდებებს. პროტექცია, უხეში მოპყრობა, ვაჭართან კავშირი და სხვა, არაკავშირის წევრ ლამაზ ქალების მიღება კავშირთან შეუთანხმებლად, ზოგიერთი პარტიულები კი ცდილობდნენ ამ ცოდვებისათვის ხელი დაეფარებინათ.

ალმასკომის მდივანი ხელაშვილი, რომელიც სისტემატიურად ლოთობს და მთელმა ხალხმა იცის, უჯრედის მდივანმა ხელი დააფარა და განაცხადა „აღარ ლოთობსო“, ასეთი თვალების ახვევის ცდა თავიდან უნდა ავიცილოთ. ნაკლი უნდა ვამხილოთ, რომ კომისიის საშუალება მიეცეს სწორი დასკვნა გამოიტანოს და წმენდამ თავის დანიშნულ მიზანს მიაღწიოს.

ზემოთ აღნიშნული ფაქტები აშკარავებენ, რომ ზოგან წმენდის მიზან- ამოცანები სწორად არ არის შეთვისებული, ადგილი აქვს საუკეთესო ამხანაგების ჩირქის მოცხების ცდას, კერძო ანგარიშების გასწორებას და ხშირად კი ხელის დაფარებას. საჭიროა გამწმენდი კომისიებმა პირში ამოსდონ ლაგამი ისეთ კომუნისტებს, რომლებიც ცდილობენ კომისია შეცდომაში შეიყვანონ.

ძველი.

ს. კ. პ. (ბ) კახეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

კვირას, 11 აგვისტოს შეიკრიბა კომპარტიის კახეთის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა მოისმინა ამხ. კორსაველის მოხსენება კახეთის ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგებზე. მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

პლენუმი ერთხმად მიესალმა საქ. კომპარტიის ცეკას გადაწყვეტილებებს კახეთის ორგანიზაციის მოხსენების გარშემო და მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული გადაწყვეტილებანი ცეკას დადგენილებათა სარეალიზაციოდ.

პლენუმმა დაავალა ოლქკომის პრეზიდიუმს მიიღოს გადამწყვეტი ზომები ჯგუფობრიობის(ინტრიგანობის, მემარჯვენე განწყობილებისა და ყველა იმ უარყოფით მოვლენების სალიკვიდაციოთ, რომელსაც ზოგან აქვს ადგილი და რომელიც საფრთხეს უმზადებს ორგანიზაციის შიგნით ლენინურ მთლიანობას.

პლენუმმა გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკას გადაწყვეტილებანი ახლო მომავალში გამოასწორებენ შემჩნეულ დეფექტებს და შექმნიან უკეთეს პირობებს კახეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დასაჩქარებლად.

ცეკას დირექტივების საფუძველზე კახეთის პარტორგანიზაცია მტკიცედ შეუდგა პარტხელმძღვანელობის დარგში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას და ეს შეცდომებიც გამოსწორებული იქნება უახლოეს მომავალში.

ამის თავდებია ის გაშლილი თვითკრიტიკა და ბოლშევიკური ერთსულოვნება, რომლითაც ცეკას გადაწყვეტილებებს შეხვდა კახეთის პარტ-ორგანიზაციის აქტივი.

პლენუმმა ამხ. მ. ვარამაშვილის პარტსამუშაოდან განთავისუფლების გამო, კომპარტიის კახეთის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. ვ. ბაქრაძე.

მირაბო.

ვებრძოლოთ უთავბოლო მუშაობას

ა.-კ. სახ. საპაიო ვაჭრობის გორის განყოფილებაში რამოდენიმე ათასი მანეთის საქონელი უყურადღებოდ ყრია

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკაში პროდუქციის თვითღირებულება კვლავ იზრდება

რა ხდება ა.-კ. სახ. საპაიო ვაჭრობის გორის განყოფილებაში

ამიერ-კავკ. სახვაჭრობის გორის განყოფილების 20 ვაგონი საყუთე მასალა, რომელიც გადმოტვირთულია სად. გორის მთავარ საწყობში, 70 პროც. გაფუჭებულია გულგრილობის გამო. მასალა სულ დამტვრეულია და მისი გამოყენება მხოლოდ 30 პროცენტით შეიძლება. 35 ათასი გამზადებული ყუთი, რომლითაც გასულ წელს გაგზავნილი იქნა ხილი, დღეს უპატრონოთ და უყურადღებოთ ჰყრია ცის ქვეშ. ამ ყუთების გამოყენება მომავალ სეზონისათვის თითქმის აღარ შეიძლება. დახერხილი და გამზადებული საყუთე მასალაც უპატრონოთ ჰყრია. ეს მასალაც ნაწილობრივ უვარგისია ახალი ყუთების შესაკვრელად. ასე უპატრონოთ ჰყრია აუარებელი ხეტყის მასალა თავის ბურბუშელათი. არც სახანძრო საშუალებებია საწყობებში და არც უბრალო გამაფრთხილებელი ზომებია მიღებული ხანძრის თავიდან ასაცილებლად. ხანძარი მოსალოდნელია თითქმის ყოველ დღე, მით უმეტეს საწყობი მდებარეობს ქურის პირას, ნავთის საწყობის გვერდით.

ამიერ-კავკ. სახვაჭრობის გორის განყოფილებაში მუშაობენ სოფლიდან გამორეკილი თავადაზნაურები: **ფურცელაძე, კორინთელი, რაზმაძე, გაბუნია, კეცხოველი, აბაშიძე** და სხვა. ეს პირები გაძევებული არიან გლეხობის მიერ ტყვიავის თემის სოფლებიდან. გაბუნია დიდი წვალების შემდეგ მოხსნილ იქნა სახვაჭრობის გამგეობის მიერ, მაგრამ იგი მათი საუკეთესო დახასიათების შემდეგ მოეწყო ამიერ-კავკ. კოოპერატივში და ამჟამად მივლინებულია ციმბირში სხვადასხვა მასალის შესაძენად. **რაზმაძე, ფურცელაძე** და **რაფო კორინთელი**, მიუხედავად ადგ. მუშგლეხინის რწმუნებულის მიერ მიცემული ცნობისა და მოთხოვნისა, დღემდე განაგრძობენ „სპეცობას“ და ჯამაგირსაც იღებენ, როგორც სპეცები. ეს იმ დროს, როდესაც ამ ხალხს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ მეხილეობაზე და მათი შეცვლა ყოველ წუთში შეუძლიათ აქტიურ გლეხებს, რომლებთაც მართლაც ესმით მეხილეობის საქმე.

უკანასკნელ ხანებში ჯულფიდან მოიყვანეს ვიღაც ნახარაშვილი, რომელმაც მოსვლისთანავე დაიწყო ბნელი საქმეები. მან მიიღო 5 ათასი მანეთი, წავიდა თბილისში, თან წაიყვანა 2 თანამშრომელი საეჭვო ყოფა-ქცევის ქალები და დღემდის განაგრძობს დროს ტარებას მამადავითის სუფთა ჰაერზე.

1-ლ ივლისს ყირიმიდან მოიყვანეს ვაშლის ჩამწყობი 70-დე ქალი. ზოგი მათგანი გაგზავნეს სხვადასხვა დამამზადებელ პუნქტებში. 30-დე ქალი კი სრულიად უსაქმოთ არიან გორის განყოფილებაში და 1-ლ ივლისიდან ღებულობენ ჯამაგირს 80—90 მანეთს თვეში. მხოლოდ ამ დღეებში განყოფილების ბუხჰალტერმა—იაკუტოვიჩმა—აღმოუჩინა მათ რაღაც სამუშაო.

განყოფილება ამჟამად გახურებულ მუშაობას უნდა აწარმოებდეს სოფლებში სეზონის მოსამზადებლად, მაგრამ ჯერ ყურებს არავის იბერტყავს. მხოლოდ ეტლებზე და კარგი ჯიშის ცხენებზე ზრუნავენ. განყოფილებაში მუშაობს სამი ექსპერტი, რომელნიც მთელი წლის განმავლობაში სამი თუ ოთხი თვე მუშაობენ. დანარჩენ თვეებს ეს პირები „შვებულებაში“ ატარებენ და ამჟამადაც მხოლოდ ერთი მათგანი მუშაობს. ჯამაგირს იღებენ 250—300 მანეთს და საქმეს კი არაფერს აკეთებენ.

საერთოდ ამიერ-კავკასიის სახვაჭრობის გორის განყოფილებაში ადგილი აქვს საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის სასტიკ დამახინჯებას. აპარატში მოკალათებულია თავადაზნაურობა და ვაჭრები. არავინ არ არის გორში განყოფილების პატრონი. სასტიკად დაცემულია შრომის დისციპლინა. დურგლები და სხვა მუშები 8 საათის ნაცვლად ხშირად 2 საათსაც არ მუშაობენ.

ასეთი მუშაობით ჩვენი დამამზადებელი ორგანიზაცია შორს ვერ წავა. მოვითხოვთ ამ საქმის და მთელი განყოფილების სასწრაფო გამოკვლევას.

ქ. ზ.

უთავბოლო მუშაობას ბოლო არ ელება

(მარელისის ქარხანა)

მარელისის ქარხანას უთავბოლო მეურნეობა, უგეგმო და ხელმძღვანელთა შეუფერებლობა თავიდანვე დაჰყვა. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქარხნის ნაწარმოების თვითღირებულება თანდათან იზრდება და პროდუქციის ხარისხი უარესდება. არ იქნა და არ ეღირსა ქარხანას საქმით დაინტერესებული ხელმძღვანელი. მან ამ მოკლე დროის განმავლობაში რამოდენიმე დირექტორი გამოიცვალა. დღეს ქარხნის დირექტორათ ითვლება აკაკი **ხობულავა**. სანამ ხობულავა დირექტორად დაინიშნებოდა, ის ბევრს ლაპარაკობდა წარმოების ინტერესების დაცვაზე,— უთავბოლო ხარჯების მოსპობაზე და პირობას სდებდა, რომ ის მოსპობდა მივლინების ფულის აღებასაც კი.

როგორ გაამართლა ხობულავამ ეს დაპირება? მან თანამდებობაზე დანიშვნისთანავე დაივიწყა წარმოების ინტერესებიც, მომჭირნეობაც, თვითღირებულებისათვის ზრუნვაც და სხვა. აი ამის მაგალითები:

ხობულავა ოჯახით თბილისში სცხოვრობს. მას საუკეთესოდ მოწყობილი ბინა აქვს და ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამ ბინის მიტოვება და ოჯახის ქარხანაში გადასახლება. მაგრამ მიუხედავად ამისა, ხობულავამ რამოდენიმე დღით მაინც მოიყვანა ოჯახი ქარხანაში და ქარხანას აძრო ეგრედ-წოდებული გადასაყვანი ფული ხუთასი მანეთის რაოდენობით. ამის შემდეგ კი ოჯახი კვლავ დაბრუნა თბილისში მუდმივ საცხოვრებლად. ხობულავამ გაიჩინა აგრეთვე გაუთავებელი მივლინებები თბილისში. სხვათა შორის მოახერხა ხ.მ.უ.-ის პრეზიდიუმის სხდომაზე წამოსვლა. დაესწრო ხუთ დღეს, 15 დღის განმავლობაში კი ცხოვრობდა თავის ოჯახში. ქარხანა უპატრონოთ იყო. დაბრუნდა მარელისში და გამოიწერა 15 დღის დღიური, სამგზავრო, სასტუმროს ქირა, ეტლის ხარჯები და სხვა. სულ 260 მანეთი. 20 აპრილს მან კანტორას წარუდგინა ანგარიში. მოითხოვა სამი დღის დღიური, სასტუმროს ქირა, რბილი ვაგონით სამგზავრო ბილეთის ღირებულება და სხვა. ეს მაშინ, როდესაც მუშებმა თავისი თვალით ნახეს, რომ ხობულავამ ხმელი ვაგონით იმგზავრა. როცა მის უკანონო მოთხოვნილებაზე მიუთითა ბუხჰალტერმა, ხობულავა აყვირდა და დაუწყო ბუხჰალტერს გინება და დატუსაღებით მუქარა.

ხობულავას ღვაწლი მარტო ამით არ ამოიწურება. ბიუროკრატობა და საქმის გაჭიანურებაც სისტემატიური მოვლენაა. დასწერა ბრძანება: „ცალკე ქაღალდები არ მომიტანოთ ხელის მოსაწერად, დააგროვეთ და ერთად წარმომიდგინეთო“. ამის გამო მუშის სასწრაფო განცხადება ხშირად მთელი კვირაობით იცდის „დაგროვების“ დღემდე. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ქარხანას 6—7 ათას მანეთობით უხდება სადგურზე მოსულ მასალების დროზე გამოუხსნელობის გამო ვაგონების ქირის გადახდა (უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში). ყველა ამას დირექტორი გულგრილად უყურებს. ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია.

ასეთივე უთავბოლო მუშაობას აწარმოებს ხობულავას თანაშემწე ქუთათელაძეც. მან სრული არევ-დარევა შეიტანა საამქროში. დაზგის მუშები გადაიყვანა შავ სამუშაოზე, უცოდინარი და უკვალიფიკაციო მუშები კი დაზგაზე დააყენა, ამის გამო ერთი საამქრო ჩამორჩა მეორეს და სკამის თვითღირებულებაც გაიზარდა 6 მან.—85 კაპეიკამდე. კარგი მომუშავეები სცილდებიან წარმოებას. ზოგს ხსნიან, ზოგი სხვაგან ეძებს სამუშაოს და სხვა. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ქარხნის მდგომარეობა აუტანელი იქნება. სათანადო ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

ქარხნის მუშა.

უყაირათობა მშენებლობაში

ხ.მ.უ.ს. ახალშენებათა სამმართველოს, თამბაქოს ტრესტის საწყობებისათვის სამ სართულიანი შენობის აგება, რომლის ღირებულებაც ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულია 100.000 მან. დაეკისრა ინჟ. სარქისიანს. უკანასკნელმა ისე უხვად გაშალა ხელები, რომ მოიჯარადრეების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სარქისიანმა ყოველივე სამუშევრების ფასები საგრძნობლად გაადიდა. მაგალითად: ერთი კუბ. საჟენი ქვიშა უჯდებოდა 60 მან., მიწის გატანა 28—50 მან., ქვის მოტანა — 58—50 მან., მიწის ამოყრა 9 მ. და სხვა.

სარქისიანის ასეთმა ხელგაშლილობამ და უყაირათობამ გარდა იმისა, რომ დიდი ზარალი მიაყენა წარმოებას, მშენებლობაც საგრძნობლად შეაფერხა.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ამავე თანამდებობაზე დაინიშნა, ინჟ. ჩხეიძე, რომელმაც ინჟ. სარქისოვის მიერ მოიჯარადრეებისათვის დანიშნული ფასები საგრძნობლად შეამცირა. ერთი კუბ. საჟენი ქვიშის ფასი 60 მანეთიდან მან დაიყვანა 40 მანეთამდე, მიწის გატანა — 23—50 მან. ნაცვლად 16—50 კ. ქვის მოტანა 58—50 კაპ. მიწის ამოყრა 9 მან. ნაცვლად 7 მ. და ასე შემდეგ.

ასეთი განსხვავებაა ძველსა და ახალს შორის.

მშენებელი.

უმუშევართა წმენდაზე

უკვე ორი კვირა სრულდება, რაც მიმდინარეობს უმუშევართა წმენდა. წმენდის მიზნები და ამოცანები ყველასათვის ცხადი და გარკვეული უნდა იყოს, მაგრამ ის ფაქტი, რომ უმუშევართა წმენდა წესიერად არ მიმდინარეობს, ამტკიცებს იმას, რომ წმენდის დიდი მნიშვნელობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის განმარტებული, როგორც თვით უმუშევართათვის, ისე მშრომელთა ფართო მასებისათვის.

დღემდე წმენდის დეფექტები მხოლოდ ქაღალდზე ინიშნება და საქმით კი არაფერი არ კეთდება რა. ავალაპარაკოთ ფაქტები:

14 აგვისტოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში, 30-დე უმუშევარს მოუყრია თავი ზოგი კითხულობს, ზოგიც საუბრობს ამხანაგებში, მაგრამ ყველას კი მოუთმენლობა ეტყობა. ყველა ელოდება წმენდის დაწყებას. ყველას უნდა მალე გამოარკვიოს თავისი „ბედი და იღბალი“. მაგიდასთან მხოლოდ ერთი კაცი ზის. ეტყობა გამწმენდი კომისიის წევრი უნდა იყოს. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა მეორე ამხანაგიც, ისე რომ, წმენდისათვის დანიშნული დრო უკვე გავიდა და გამწმენდ კომისიის მხოლოდ ორი წევრია გამოცხადებული. შესრულდა შვიდი საათი, მერვეც დაიწყო, მაგრამ მაინც არავინა სჩანს. რომელიღაც კომისიიდან გამოუგზავნიათ ორი წევრი. ამ ამხანაგების გამოჩენამ ყველანი გაახარა—კომისიის წევრებიც და თვით დამსწრე უმუშევრებიც. დაიწყო წმენდა. იძახებენ უმუშევარ ჩიტაშვილს. კომისიის წევრები აძლევენ შეკითხვებს, უმუშევარი უპასუხებს დადინჯებით და არხეინად. გასაწმენდი უმუშევარი წინდაწინვე დარწმუნებულია იმაში, რომ მას ადგილებიდან მოდავე არავინ გამოუვა. ეს ასეც ხდება. არავინ არაფერს ამბობს. დარბაზში სამარისებური სიჩუმეა.—ამხანაგებო, თუ იცით ვინმემ უარყოფითი რამე ამ ამხანაგის შესახებ—ეკითხება თავმჯდომარე ხალხს, მაგრამ არც ერთმა ხმა არ ამოიღო. ასე ჩუმათ და წყნარად ჩატარდა ამ ამხანაგის გაწმენდა. მას მიჰყვა მეორე, უმუშევარი, მეორეს მესამე და ასე გრძელდებოდა წმენდა. ეს ნაკლი დროზე უნდა იქნეს გამოსწორებული.

იტალიელი მეცნიერი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა იტალიელი მეცნიერი პროფ. ჯუზეპე კაპრა, რომელიც მეთაურობდა იტალიის გეოგრაფიულ ექსპედიციას საბჭოთა პამირზე და ცენტრალურ აზიაში. პროფ. კაპრა არის იტალიის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი და უჭირავს გეოგრაფიის კათედრები რომისა და პერუჯიის უნივერსიტეტებში.

პროფ. კაპრას ცნობით იტალიის გეოგრაფიულმა ექსპედიციამ ორი თვე დაჰყო საბჭოთა პამირზე და ამ დროის განმავლობაში მიაღწია მთელ რიგ ისეთ ადგილებს, სადაც ჯერ ადამიანი არ ყოფილა. საბჭოთა პამირი პირველად ინახულა რუსეთ-გერმანიის გაერთიანებულმა ექსპედიციამ გასულ წელს. რუსეთ-გერმანიის ექსპედიციამ საფუძველი დაუდო საბჭოთა პამირის შესწავლის საქმეს და წელს იტალიელების გეოგრაფიულმა ექსპედიციამ ინახულა პამირის ისეთი ადგილები, სადაც რუსეთ-გერმანიის ექსპედიციამ, დროის უქონლობის გამო, გასულ წელს ვერ შესძლო მისვლა. საბჭოთა პამირი ითვლება მსოფლიოში ყველაზე უდიდეს მთაგრეხილათ, რომელსაც „დედამიწის სახურავს“ უწოდებენ, ექსპედიციამ შეაგროვა მრავალი საინტერესო მეცნიერული ხასიათის მასალა.

დანარჩენი ორი თვე ექსპედიციამ მოანდომა ცენტრალური აზიის მთიანი ადგილების შესწავლას“.

იტალიელების გეოგრაფიულ ექსპედიციასთან ახლდა „სოვკინოს“ ოპერატორი.

საქ. პროფსაბჭოში

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის კონფერენცია

ამა წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში განზრახულია მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის თბილისის საოლქო კონფერენციის მოწვევა.

პროფესიონალური მუშაობის საკითხების დამუშავება

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საორგანიზაციო და კულტ. განყოფილებებს მიიღონ ზომები, რათა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მუშათა კრებებზე და წრეებში დაამუშავონ პროფკავშირთა საკავშირო და საქართველოს მე-9 ყრილობების დადგენილებანი.

საკავშირთაშორისო კონფერენცია ფოთში

ფოთში დასრულდა პროფკავშირთა კონფერენცია. კონფერენციამ საჭიროდ სცნო შრ. ინსპექტორების რიცხვის გადიდება.

საბავშვო ბაგების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საბავშვო ბაგების გამომკვლევი კომისიის მოხსენება. გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ კავშირები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მუშათა ყოფაცხოვრების ფონდიდან საბავშვო ბაგების საჭიროებისათვის პროცენტიული ანარიცხების გადახდას. კავშირების ცენტრალურ გამგეობებს დაევალა მეტი ყურადღება მიაქციონ აღნიშნული ანარიცხების მიღებას და დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

შეჯიბრება წყალზე ბ

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან 3-მდე ბათომში ჩაატაროს პროფკავშირების შეჯიბრება წყლის სპორტში. ეს შეჯიბრება დაკავშირებული იქნება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან. 1-ლ სექტემბერს ქ. ბათომში მოეწყობა ფიზკულტუროსნების აღლუმი. გარდა ამისა, ჩატარებული იქნება ფოთის, ბათომის და სოხუმის გუნდების შეჯიბრება ცურაობაში, ნავის მართვაში, ვატერ ბოლში და სხვ. შეჯიბრებები ჩატარდება ვაჟებსა და ქალებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე „მოხუცებულნი“ (40 წელს ზევით). თვითეულ ზემოდასახელებულ ადგილებიდან შეჯიბრებაზე გაგზავნილი იქნება 20 კაცი. შეჯიბრების ჩასატარებლად პროფსაბჭომ გამოჰყო საორგანიზაციო კომიტეტი ამხ. კუნჭულიას, მერკვილაძის, ბოხუას და ავაქოვის შემადგენლობით.

გარდამავალ ჯილდოდ დანიშნულია მოცურავე ქალის ქანდაკება და გემის მოდელი.

ამ.-კავკ. საკონტროლო კომისიების და მუშათა და გლეხთა ინსპექციების შემოწმება

რა მოგვცა შემოწმებამ აზერბეიჯანში

იწყება ამ.-კავკ. და საქ. საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების შემოწმება

ბაქოში მუშაობის დამთავრების შემდეგ თბილისში დაბრუნდნენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების ორგანოების გამოსაკვლევად დანიშნული კომისიის წევრნი, რომლებმაც შემდეგი განაცხადეს.

აზერბეიჯანის ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გამოკვლევა, რასაც ჩვენ შეუდექით ბაქოს პარტიულ ორგანიზაციაში მომხდარ ცნობილ ამბებთან დაკავშირებით, დასახულ ვადაზე უფრო გაჭიანურდა. ჩვენ იძულებულნი გავხდით მეტი დრო დაგვეხარჯა, რათა ბოლომდე გამოგვეაშკარავებია მთელი რიგი სერიოზული ავადმყოფური მოვლენები და გზადაგზა ერთგვარი მონაწილეობა მიგვეღო ამ უარყოფითი მოვლენების აღმოსაფხვრელად დაწყებულ პროცესში.

მთელი რიგი მიზეზების გამო ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია ვთქვათ რამე ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკვლევის შედეგების შესახებ. შეიძლება ითქვას მხოლოდ ერთი რამ: თუ ავიღებთ აზერბეიჯანის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას, როგორც ასეთს, მისი დადებითი როლი სრულიად უმნიშვნელოა და ძალიან საეჭვოა. ხოლო სამაგიეროდ მისი უარყოფითი საქმიანობა, სამწუხაროდ, საკმაოდ მნიშვნელოვანია. მას ახასიათებს მრავალი ისეთი ფაქტი, როგორიც არის დეფექტების მიფუჩეჩება, ორგანიზაციის ცალკე გახრწნილი ბუდეების დაფარვა და სხვა.

სწორედ ამიტომ აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ინსპექციის პრეზიდიუმი, კოლეგია და პარტკოლეგია შეცვლილ იქნენ თითქმის მთელი 100 პროცენტით.

მუშაობაში დიდი დახმარება გაგვიწიეს და ხელი შეგვიწყეს მუშათა და გლეხთა მასებმა. მარტო უშუალო პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმული იყო 200, თუ მეტი არა, მუშა-პარტიის წევრები, კომკავშირელები, საბჭოებისა და მათი სექციების წევრები და სხვ. ისინი შეადგენდნენ გამოკვლევის ერთგვარ მთავარ შტაბს, რომელიც მუშაობდა კომისიის წევრების ხელმძღვანელობით.

ეხლა კომისია იწყებს საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ამიერ-კავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობის გამოკვლევას. ჩვენი მუშაობის ცენტრში ისევ იდგომება შემდეგი საკითხები: პარტიის მიერ თვითკრიტიკის შესახებ მოცემული დირექტივების განხორციელება, ბრძოლა ავადმყოფურ მოვლენებთან და პარტიის ცალკე წევრების გახრწნასთან ორგანიზაციაში, მასების პრაქტიკული მონაწილეობა საკონტროლო კომისიების და მუშგლეხინების მუშაობაში. საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინების როლის გამორკვევა საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებაში და ამ აპარატის ბიუროკრატიულ გადამახინჯებებთან ბრძოლაში. კერძოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ საბჭოთა აპარატის წმენდისათვის მომზადების საკითხს.

რა თქმა უნდა, გამოკვლევის მთავარ საკითხებს შორის იქნება საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშაობაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, აგრეთვე საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინების როლი რევოლიუციონური კანონიერების განხორციელებაში.

დაახლოვებით ამ ერთი თვის წინად ჩვენ უფრო დაწვრილებით გავაშუქეთ გამოკვლევის მიზანი და ამოცანები, ამიტომ ამჟამად ამ თემაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო აღარ არის.

გასაგებია, რომ ისე, როგორც აზერბეიჯანში, ჩვენ იმედი გვაქვს ჩავაბათ ჩვენს მუშაობაში მუშათა და გლეხთა ფართო მასა. გაბედული კრიტიკული მითითებებით იმ ცალკე დეფექტებზე, რომლებსაც ადგილი აქვს საქართველოს და ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშაობაში, ისინი დაუფასებელ დახმარებას გაუწევენ შემოწმებას.

უშუალო საგამოკვლევო მუშაობაში ვფიქრობთ ჩავაბათ დაახლოვებით 250—300 კაცი.

მათი დახმარებით, აგრეთვე მთელი პარტიული ორგანიზაციისა და მუშათა და გლეხთა ფართო ფენების ხელის შეწყობით შევძლებთ უფრო სრულად და უფრო ღრმად გამოვააშკარავოთ როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები ამიერ-კავკასიის და საქართველოს საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშაობაში და გამოვიყვანოთ აქედან სათანადო პრაქტიკული დასკვნები.

რა ხდება ადგილებზე

განათლების განყოფილების მუშაობა

ქუთაისი, 13 აგვისტო. ქუთაისის განათლების განყოფილება შეუდგა სასკოლო ქსელის გაფართოებას მაზრაში. ამჟამად მაზრაში არის 145 ოთხწლედი (შრომის სკოლა), მათ შორის ბევრს არ მოეპოვება მესამე და მეოთხე ჯგუფი. 1929—30 წელს გაიხსნება 81 ჯგუფი.

გარდა ამისა, ქუთაისში გაიხსნება სამთამადნო ქიმიური ტექნიკუმი, ხოლო ინდუსტრიალურ ტექნიკუმთან გაიხსნება ორი ახალი განყოფილება: სამშენებლო და საგზაო. მაზრაშიაც გაიხსნება ოთხი ახალი ოთხწლედი, ხოლო სამი შვიდწლედი განზრახულია გადაკეთდეს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებად. (ადს).

კულტურულ ფრონტზე

ქუთაისი, 14 აგვისტო. ამჟამად ქუთაისის პოლიტგანათლების განყოფილება მაზრაში აწარმოებს წ.-კ. უცოდინართა აღწერას. აღწერა 25 აგვისტომდე უნდა დამთავრდეს. ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით, ქუთაისის მაზრაში წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია 15—39 წლის ასაკის მოსახლეობას შორის უნდა დამთავრდეს ორი წლის განმავლობაში. ამისათვის 1929—30 წელს სწავლაში ჩაბმული იქნება წ. კ. უცოდინარი მოსახლეობის 60 პროცენტი

შარშან მაზრაში მუშაობდა წ.-კ. უცოდინართა 155 სკოლა. ეს სკოლები 4.099 კაცმა დაასრულა (ადს).

საშეფო ორგანიზაციების კონფერენცია

ქუთაისი, 14 აგვისტო. დაიხურა ქუთაისის საშეფო ორგანიზაციების მესამე კონფერენცია. კონფერენციას 179 დელეგატი დაესწრო.

მიღწევებთან ერთად კონფერენციამ დეფექტებიც აღნიშნა: საშეფო მუშაობაში პროფკავშირები სუსტ მონაწილეობას იღებენ, სუსტადაა გაშლილი მუშაობა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის, ხშირად მაზრაში ისეთი ამხანაგები იგზავნებიან, რომელნიც სუსტად არიან მომზადებულნი და სუსტად ერკვევიან საშეფო საზოგადოებათა ამოცანებში, სუსტადაა გაშლილი თვითკრიტიკა საშეფო ქვედა ორგანიზაციებში და სხვ.

კონფერენციამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი აღნიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად (ადს).

პარტიის რიგების წმენდა

ქუთაისი, 14 აგვისტო. ქუთაისში პარტიული რიგების წმენდის ჩამტარებელი კომისია ამჟამად ხონის რაიონში ამოწმებს სოფლის უჯრედებს (ადს).

სოციალისტური შეჯიბრება

პურის საუკეთესო დამზადებაზე

გორის ოლქი იწვევს კახეთის ოლქს

„საქართველოს კომპარტიის (ბ) კახეთის საოლქო კომიტეტს“

ყველა სახის კოოპერაციის, საბჭოთა, პარტიული ორგანიზაციების, კომკავშირის, პროფკავშირების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენელთა გაფართოებული თათბირის სახელით გიწვევთ სოციალისტურ შეჯიბრებაში პურის დამზადების წარმატებით ჩატარებაზე. ჩვენი პირობები: პურის დამზადების დამთავრება ვადამდე, 1 ოქტომბრისათვის, დამზადების გეგმების 10 პროცენტით გადაჭარბებით შესრულება, დამზადებაში ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების საუკეთესო მონაწილეობა. ველით პასუხს.

ცხოვრებაშვილი.

გორი, 15 აგვისტო.

საქ. სახალხო კვების მუშაკთა ყრილობა

გუშინ, საღამოს 7 საათზე პროფსაბჭოს დარბაზში გაიხსნა საქ. სახალხო კვების მუშაკთა მე-8 ყრილობა. ყრილობა გახსნა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. სიხარულიძემ. საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) კავშირის ცენტრალური გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიში; 2) კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება პროფკავშირების მორიგი ამოცანების შესახებ; 3) სახალხო კვების საქმე საქართველოში, 4) შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება და 5) არჩევნები.

კავშირის ცენტრ. გამგეობის მუშაობა

კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ამხ. სიხარულიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ სახალხო კვების მუშაკთა კავშირის წევრთა შორის პროფმუშაობას აფერხებს წევრთა დაფანტულობა, ამის გამო საკავშირო მუშაობაში მრავალი დეფექტი მოიპოვება; კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების სუსტ მუშაობას მიეწერება ის, რომ ხშირად კავშირში ხვდებოდნენ ყოფილი ვაჭრები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები. იყო შემთხვევები, როცა კავშირში ღებულობდით ისეთ პირებსაც, რომლებიც ვაჭრობას განაგრძობდნენ. ამიტომ კავშირიდან გამორიცხულთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. საგრძნობლად მოისუსტებდა მუშაობა შინამოსამსახურეთა და სეზონურ მომუშავეთა შორის (დასასვენებელ სახლების სასადილოებში მომუშავეთა შორის და სხვ.). უმუშევრობის შესანელებლად შრომის ბირჟა აწყობდა კოლექტივებს, მაგრამ უმუშევარ კავშირის წევრთა რიცხვი მაინც დიდია (უმთავრესად არაკვალიფიციურ მუშების). კავშირის ძირითად ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა საკავშირო თანხების გაფლანგვას, რაც მიეწერება სარევიზიო კომისიების სუსტ მუშაობას.

ამხ. სიხარულიძის მოხსენების დამთავრების შემდეგ ამხ. პერტენავამ მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

დროა გავიცნოთ ერთმანეთი

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მწერლების ერთმანეთთან შეხვედრამ აქტუალურად დააყენა მოძმე ხალხების კულტურული დაახლოების საკითხი. უეჭველად არანორმალურია ისეთი მდგომარეობა, როდესაც რესპუბლიკების პოლიტიკური ფედერაციის დროს, ამიერკავკასიის ძირითად რესპუბლიკებს—საქართველოს, სომხეთს და აზერბეიჯანს შორის არ არსებობს მჭიდრო კულტურული ურთიერთობა.

ამ რესპუბლიკათა კულტურული განშორება ყოველ ფეხის გადადგმაზე გვეჩხირება თვალში. ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს. მაგალითად, რამდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ქართველი მწერლებისათვის ყოველივე ის, რაც მათ სომხეთში იხილეს. ქართველი მწერლების განათლების მიუხედავად, სომხეთის ნამდვილი სახე პირველად მათთვის მხოლოდ ერევანში მოგზაურობის დროს გახდა დასანახი. თუ ეს ასეა მწერლებისათვის, რაღა უნდა ითქვას საერთოდ სხვებზე..

ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს. და ამ არცოდნას ყოველ ფეხის გადაგმაზე ვამჟღავნებთ, თუნდაც მარტო იმით, რომ უწესოდ ვხმარობთ რესპუბლიკების სინამდვილიდან ამოღებულ ამა თუ იმ სახელის და ცალკე სიტყვებს. ყოველდღე ხვდებით ქართულ და სომხურ გაზეთებში ამა თუ იმ ადგილის სახელის დამახინჯებას. ქართველებს და სომხებს აქვთ თავისებური ბგერები და მათი შესაფერი ასოები: ჰ, ღ, თ. ფ, ჰ, ქ, ჯ, მაგრამ, რადგან რუსულ ენაში არ არსებობს ეს ბგერები და ჩვენ კი რუსულიდან ვთარგმნით, ამიტომ ვწერთ შეცდომით. ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ სიტყვები გადმოგვაქვს ისე, როგორც გამოითქმის რუსულად და არ ვიცით მათი ნამდვილი წარმოშობა.

ჩვენ ვიცით მრავალი ფრანგული, გერმანული, ინგლისური, ლათინური და ძველი ბერძნული სიტყვებიც კი, მაგრამ არ ვიცით მეზობელი ხალხების სიტყვები და მათ შესახებ არ გვაქვს ზოგადი წარმოდგენა.

ეს სჩანს თუნდაც გრიგოლ რობაქიძის მშვენიერი და აღფრთოვანებული წერილიდან ჟურნალ „ქართული მწერლობა“-ში (ივნისი-ივლისი). წერილს კითხულობ სიამოვნებით. გრძნობ ხელოვანს. მაგრამ თუ სომხური ენა იცი, მაშინ მთელი რიგი სახელების წაკითხვა სმენას და მხედველობას გიბღალავთ.

აი ისინი:

კარაკლისი, დილიჟანი, ოვანეს (თუმანიანი), შანტი, ისაკიანი, რიპსიმე, ზვანტნოც, სპანდაროიან, (მარიეტა) შაგინიან, ტერ-ლემეზიან. უნდა იყოს არა კარაკლისი, არამედ ღარაქილისა. ამ სიტყვის გენეზისია: ღარა—შავი, ქილისა—ეკლესია. ორივე სიტყვა თურქულია. უნდა იყოს არა დილიჟანი, არამედ დილიჯანი (კურორტი სომხეთში). ყველა იცნობს სომეხ პოეტს ჰოვანეს თუმანიანს, მაგრამ რატომღაც სწერენ—ოვანეს. უნდა დაიწეროს შანთი (სომეხი მწერალი) და არა შანტი. ქართულ ენაში არის ბგერა ჰ, მაშ რაღად უნდა იწერებოდეს ისაკიანი და არა ისაჰაკიანი (სომეხი მწერალი). სრულიად უწესოდ ისმის რიპსიმე, რომელიც ნამდვილად არის ჰრიფსიმე (ქალის სახელი). ზვარტნოცი უნდა დაიწეროს თ-ს ხმარებით (ზვართნოცი). ცნობილი სომეხი კომპოზიტორი არის არა სპანდარიანი, არამედ სპენდიარიანი. გამოითქმის არა შაგინიანი (მარიეტა), არამედ შაჰინიანი. მხატვრის გვარია არა ტერ-ლემეზიან, არამედ თერლემეზიან.

ეს თითქოს წვრილმანი მაგალითები სრულიად საკმარისია. ისინი გვიჩვენებენ, რამდენად ვართ მოწყვეტილი ერთმანეთს. და აქ მარტო რობაქიძე როდია დამნაშავე. ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობთ და ხშირად ისიც კი არ გვაინტერესებს, თუ როგორ გამოსთქვამს ჩვენი მეზობელი ამა თუ იმ სიტყვას.

ასე იყო დღემდე, მაგრამ ასე არ უნდა გაგრძელდეს და არც შეიძლება გაგრძელდეს. უნდა შეუდგეთ საბჭოთა ხელისუფლების იმ ლოზუნგის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს ამიერ-კავკ. ხალხთა ერთმანეთთან კულტურულად დაახლოებას.

დროა გავიცნოთ ერთმანეთი.

ჰ. მაილიან.

წითელ ჯარში

სამთვიანი სამოსწავლო შეკრება დამთავრდა

დამთავრდა 1906 წელში დაბადებულ ახალწვეულ წითელ არმიელთა სამთვიანი სამოსწავლო შეკრება.

წელს სამთვიანი შეკრება ტარდებოდა ფრიად არახელსაყრელ პირობებში, რადგან ახალწვეულებს უხდებოდათ მეცადინეობა ჯერ კიდევ მოუწყობელ ავჭალის საზაფხულო ბანაკში. არმიელებს აკლდათ ბევრი რამ. არ იყო მოწყობილი წყალსადენი, ელექტროს გადამცემი ხაზი, კლუბები, სამზარეულოები და სხვა.

მიუხედავად ამისა, მეთაურების და წითელ არმიელების ენერგიული მუშაობით დაძლეულ იქნა ყოველივე სიძნელე და შეკრება ჩატარდა ფრიად დამაკმაყოფილებლად, რაც აღინიშნა დივიზიის სარდლობის მიერ.

სამი თვის განმავლობაში არმიელთა სამხედრო სწავლება მიმდინარეობდა შეუფერხებლად. ახალწვეულ წითელ არმიელებმა საუკეთესოდ შეითვისეს სამხედრო საქმის საფუძვლები, ტაქტიკა, წესდებები, სასროლო საქმე და ყველა ის ხერხები, რომლებიც საჭირონი არიან რიგის წითელი არმიელებისათვის ბრძოლის დროს.

ამასთანავე, ახალწვეული წითელი არმიელები გაეცნენ ბრძოლის თანამედროვე საშუალებებს, ახალ სამხედრო ტექნიკას, ბრძოლის ქიმიურ საშუალებებს და შეიძინეს ისეთი ცოდნა, რომელიც აუცილებელია ბრძოლის წარმოების დროს თანამედროვე პირობებში.

ამრიგად ახალწვეული არმიელები ბრუნდებიან სახლში სამხედრო დარგში სავსებით მომზადებულნი და აღჭურვილნი მებრძოლისათვის საჭირო ცოდნით და გამოცდილებით.

სამოსწავლო შეკრების დროს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული არმიელთა პოლიტიკურად და კულტურულად მომზადებას.

შეკრების პირველ დღეებშივე ბანაკად ჩამოყალიბდა პოლიტმეცადინეობის 120 ჯგუფი, აქედან: თათრული—6, სომხური—6, რუსული—10, ოსური—2, აფხაზური—1, გერმანული—1 და ბერძნული—1.

ამ ჯგუფებში ყველა ეროვნების წითელი არმიელი ეცნობოდნენ მიმდინარე პოლიტიკურ მომენტს, პარტიის პოლიტიკას, მიმართულ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის გარდაქმნისაკენ სოციალისტურ საფუძველზე, მე-15 კონფერენციის დადგენილებებს და იმ ღონისძიებებს, რომლებსაც მიმართავენ პარტია და ხელისუფლება მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში.

პოლიტმეცადინეობის სამთვიანი პროგრამა ჯგუფებში განვლილ იქნა მთლიანად. წითელი არმიელები საუკეთესოდ ითვისებდნენ ყოველივე ცნობებს. მათ უდიდესად აინტერესებდათ ყოველივე მოვლენა პოლიტიკურ ფრონტზე და იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას ამა თუ იმ პოლიტიკურ კამპანიის ჩატარებაში.

წარმატებით ჩატარდა ბანაკად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. შეკრების პირველ დღეებში მოხდა უცოდინარ წითელ არმიელთა აღრიცხვა, რის შემდეგ უცოდინარნი გამოყოფილ იქნენ ცალკე ჯგუფებად, სულ მუშაობდა 45 სალიკვიდაციო ჯგუფი. ჯგუფები უზრუნველყოფილ იქნენ სახელმძღვანელოებით და მასწავლებლებით. ჯგუფებში მეცადინეობდა 1.000 კაცი. გამოცდებმა გამოაშკარავა, რომ არმიელებს საუკეთესოდ შეუთვისებიათ წერა-კითხვა.

შეკრების უკანასკნელ ხანებში ბანაკად ჩამოყალიბდა კოლმეურნეობების საფუძვლების შემსწავლელი ჯგუფები. ჯგუფებში თავი მოიყარა 600-მდე კაცმა. წითელი არმიელები ეცნობოდნენ კოლმეურნეობის ორგანიზაციის საქმეს, მათ მუშაობას, საქმის წარმოებას კოლექტივებში.

უნდა აღინიშნოს, რომ არმიელები დიდის ხალისით მეცადინეობდნენ ჯგუფებში და კითხულობდნენ მრავალ წიგნებს კოლექტივების ორგანიზაცია-მუშაობის შესახებ.

ბანაკადვე შესდგა რამოდენიმე კოლექტივი, ზოგმა წითელ არმიელმა გამოსთქვა სურვილი ახალი კოლექტივების დაარსების შესახებ სახლში დაბრუნებისას.

ამ დღეებში ჩვენი სოფელი და ქალაქი ცვალებადელთა სახით მიიღებენ ახალ კულტურულ ძალებს. ცვალებადელნი აღჭურვილნი არიან სათანადო ცოდნა-გამოცდილებით და საჭიროა მუშაობაში მათი ფართოდ გამოყენება, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის აღორძინებისაკენ.

მხედარი.

წითელი ფიცი

დღეს, 16 აგვისტოს, ავჭალის ბანაკში, 1906 წელში დაბადებული ცვალებადი წითელი არმიელები, შვებულებაში გამგზავრების წინ მიიღებენ ფიცს.

საქართველოს მუშურ-გლეხური მთავრობის წარმომადგენლის თანდასწრებით, ქართველი, რუსი, სომეხი, თურქი ცვალებადელები მისცემენ სიტყვას მუშებს და გლეხებს, რომ ისინი, ღებულობენ რა მუშურ-გლეხურ წითელი არმიის მეომრის სახელწოდებას, ღირსეულად ატარებენ მას და ურყევად შეასრულებენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ დაყენებულ მეთაურების ბრძანებებს.

დღეს მრავალი ათასი ცვალებადი წითელი არმიელი შეჰფიცავს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს და მშრომელებს, რომ ისინი ყოველთვის მზად იქნებიან იბრძოლონ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების დასაცავად და რომ მათი აზრი მიმართული იქნება მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების დიად მიზნებისაკენ.

ცვალებადელები აღუთქვამენ ყველა მშრომელებს, რომ ისინი ღებულობენ ვალდებულებას მუშურ-გლეხური მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე წავიდნენ საბჭოთა კავშირის დასაცავად ყოველგვარ საფრთხისა და თავდასხმისაგან. ყველა მის მტრების წინააღმდეგ. ცვალებადელები იტყვიან, რომ ისინი არ დაიშურებენ სოციალიზმისა და ხალხთა ძმობის საქმისათვის არც ძალ-ღონის და არც სიცოცხლეს.

—ლი.

დროშის გადაცემა

საქ. ალ.-კ. ცეკა, ცვალებადელების მიერ წითელი ფიცის მიღების აღსანიშნავად გადასცემს ტერიტორიალურ დივიზიას წითელ დროშას.

ფიცის მიღების დამთავრების შემდეგ ავჭალის ბანაკის მიდამოებში გაიმართება სხვადასხვა სახის ვარჯიშობა, სროლა, ცეკვა და სხვა გასართობები.

შვებულებაში გაშვება

1906 წელში დაბადებული არმიელები სამთვიანი შეკრების დამთავრებისას გაიშვებიან შვებულებაში მორიგ ტერიტორიალურ შეკრებამდე.

შვებულებაში ყოფნის დროს ცვალებადელებს უფლება აქვთ ატარონ წითელი არმიელის ტანსაცმელი. ცვალებადელნი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ მოკლევადიან შეკრებებზე, რომლებსაც ჩაატარებენ ტერიტორიალური ნაწილები.

№ დივიზიის ბანაკი. წითელ არმიელები სამხედრო მეცადინეობაზე

წითელი არმიის მანევრების წინ

წითელი ჯვრის მონაწილეობა მანევრებში

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრებში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მიიღებს აქტიურ მონაწილეობას.

საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტის განკარგულებაში 12 სანიტარული რაზმიდან მანევრებში მონაწილეობის მისაღებად გამოყოფილია სამი რაზმი—136 კაცის შემადგენლობით. ამჟამად სწარმოებს რაზმელების საექიმო შემოწმება.

ხსენებულ რაზმებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად გამოყოფილია წითელი ჯვრის 4 ექიმი.

აღნიშნულ რაზმებიდან გამოყოფილი იქნება 2 შემხვევი რაზმი და 2 საევაკუაციო მიმღები პუნქტი.

მანევრების დროს ორთავე მოპირდაპირე მხარეებში მოეწყობა წითელი ჯვრის შემხვევი და სამკურნალო პუნქტები. საჭირო მედიკამენტები და მასალები ამ პუნქტებისათვის უკვე დამზადებული და ნავარაუდევია ათი ათასი კაცისათვის.

წითელი ჯვრის იდეის პოპულარიზაციის მიზნით, მანევრების დროს წითელი ჯვრის საზოგადოება თავის სამკურნალო პუნქტებიდან, პუნქტებზე განვლილ წითელ-არმიელთა და მოსახლეობის შორის დაარიგებს საჩუქრებს: საპონს, თუთუნს და თუთუნის შესახვევ ქაღალდს. საჩუქრები ნავარაუდევია 5.000 კაცისათვის, დასარიგებელი საპონი სპეციალურად არის დამზადებული სათანადო ლოზუნგების აღნიშვნით.

საქართველოს წითელი ჯვრის რწმუნებულად მანევრების მთავარ შტაბში შეყვანილია საზოგადოების სამხედრო-სასანიტარო განყოფილების უფროსი ექიმი ტარიელაშვილი.

წითელი ჯვრის სანიტარულ-შემხვევი და საევაკუაციო რაზმები მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ დაწესებულ სამხედრო ფორმაში და აღჭურვილი იქნებიან სათანადო ამუნიციით.

გარდა რაზმელებისა საქ. წითელი ჯვარი მანევრებში გამოიყვანს ორ სანიტარულ ავტომობილს და ოთხ ცხენის სანიტარულ ტრანსპორტს.

მთა-თუშეთში

(წერილი კახეთიდან)

მთა-თუშეთი მდებარეობს კახეთში, კავკასიონის მთებში, თელავიდან 3—4 დღის სავალზე. 30—35 პატარა სოფელი გაფანტულია მთების ფერდობებზე და კლდე-ღრეში. მცხოვრებთა რიცხვი მთა-თუშეთში 600—700 სულს უდრის აქ სცხოვრობენ ჩალმა-თუშები.

შემოდგომიდანვე თოვლის დიდი ზვავების გამო გზები იკეტება და მთა-თუშეთი 7—8 თვის განმავლობაში სწყდება მთელ ქვეყნიერებას. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება, ისიც დიდი გაჭირვებით, თუ დიდი თოვლი არ არის, გროზნისაკენ გააპონ გზა, ხოლო კახეთისაკენ არავითარ შემთხვევაში.

არა მარტო მთელი მთა-თუშეთი სწყდება ზამთრობით გარს, არამედ თვით მთა-თუშეთში სოფლებ შორის სწყდება მიმოსვლა და ერთი სოფლიდან მეორის ავკარგის გაგება შეუძლებელი ხდება.

ამნაირად სოფელმა ზაფხულშივე უნდა მოიმარაგოს მთელი წლის სარჩო და მოემზადოს ხანგრძლივ ზამთრისათვის.

კულტურულად ეს მხარე სრულებით ჩამორჩენილი და მივიწყებული იყო. ადმინისტრაცია იქ არ მოდიოდა და თუ წავიდოდა, მარტოდ-მარტო გადასახადების ასაკრებად.

იყო ბევრი ისეთი მეკომური, რომელიც ბარად არ ჩამოსულიყო და არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა თანამედროვე კულტურასა და ცივილიზაციაზე.

ამჟამად მთა-თუშეთი სულ სხვა სურათს წარმოადგენს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ მიუვალ მთებში უკვე შეიჭრა სწავლა-განათლების სხივი და კულტურისა და წინსვლის ნიშნები დაეტყო.

გასულ წელს მთა-თუშეთში გაიხსნა 4 სკოლა, ხოლო წელს 15.000 მან. გადადებულია სკოლების ასაშენებლად. წელს ზაფხულში, გაიხსნა თუ არა გზები, მთა-თუშეთში გაიგზავნა ექიმი, მასწავლებლები ლიკპუნქტისათვის, ბეითალი, სახ. სასამართლო და სამფინგანის თანამშრომელნი.

აღსანიშნავია, რომ უკვე ირღვევა მთა-თუშეთის გლეხის ოჯახის კარჩაკეტილობა, ინგრევა ძველი ადათი და ქალის მონობას ბორკილი ემსხვრევა. მაგ. სახ. სასამართლოში განსახილველ საქმეთა დიდ რიცხვს შეადგენდა ცოლქმრობის დავა, ქალის განშორება და ალიმენტის საკითხი, რაც წინედ ფიქრადაც კი არავის მოუვიდოდა.

მთა-თუშეთში მცხოვრები თუშები განსაკუთრებულ ხალისით შეხვდნენ სასოფლო-სამეურნეო ობიექტების აღრიცხვას, რომელიც ჩაატარა კახ. სამფინგანის წარმომადგენელმა ამხ. გ. გეურქოვმა 5-დან 28 ივლისამდე. ჯერ ერთი, თუშებს უკვირდათ ამ გადასახადის იოლი შეწერა, ე. ი. გლეხობის დიდი ნაწილი განთავისუფლებულია და მეორე, თვით გადასახადის რაოდენობა დიდი არ არის.

თუშები სიამოვნებით ხვდებოდნენ და ადასტურებდნენ, რომ გადახდილი ფული ერთიანად ისევ ჩვენს საქმეებს ხმარდებაო.

სურათზე აღნიშნულია ს. ფარსმასიპი, ქვისაგან აშენებულ სახლის წინ მოწვეულ სოფლის ყრილობაზე ამხ. გეურქოვი აწარმოებს მეურ. ობიექტების აღრიცხვას.

ვან—ლი.

სასოფლო-სამეურნეო ობიექტების აღრიცხვა მთა-თუშეთში

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქის კომენდანტი აცხადებს, რომ დღეს, 16 აგვისტოს საბჭოთა და სავაჭრო მუშების საზაფხულო კლუბში იწარმოებს სასწავლო სროლა.

პროფ. ა. ბიკელის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ადოლფ ბიკელი, რომელიც საქართველოს კურორტთა მთავარმა სამმართველომ მიიწვია საქართველოს მინერალური წყაროების გამოსაკვლევად.

პროფესორი ა. ბიკელი ითვლება საუკეთესო სპეციალისტ-ბალნეოლოგად მთელ ევროპაში. ის შეისწავლის ბორჯომის, წაღვერის და ზნოვის მინერალურ წყაროებს.

ჩაის თესლის შეძენა იწარმოებს იაპონიაში

საზოგად. „საქართველოს ჩაი“-ში მიღებული ცნობით, მომავალი წლისათვის ჩაის თესლის შეძენის საქმე გადატანილია ჩინეთის ნაცვლად იაპონიაში. ჩაის თესლის შესაძენათ ახლო ხანში საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ გაგზავნის იაპონიაში თავის წარმომადგენელს.

გამოცდები სახ. უნივერსიტეტში

გამოცდები სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც უნდა დაწყებულიყო გუშინ, დაიწყება დღეს, 16 აგვისტოს. შეტანილია 1.900 განცხადება, აქედან 73 გამოკლებით, ყველა დაშვებულია გამოცდებზე. უნივერსიტეტში მიღებული იქნება სულ 650 კაცი, აქედან 80 მუშფაკელი. გამოცდებზე დაშვებულთა სიები გამოაკრეს გუშინ.

მთხოვნელები დაყოფილია 11 ჯგუფად. შემუშავებულია კალენდარული ცხრილი, თუ რომელი ჯგუფი რა დღეს და რა დროს ჩააბარებს გამოცდას. მიღების შესახებ ყველაზე მეტი განცხადებები მოდის აგრონომიულ ფაკულტეტზე. (800 კაცი), გამოცდები დამთავრდება 11 დღეში.

ინდუსტრიალიზაციის დღე ამ.-კავკ. რკინის გზებზე

ამ.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა გზის გამგეობასთან ერთად მიმართა ამ.-კავკასიის რკინისგზელებს დასასვენებელი დღე — 20 სექტემბერი გადააქციონ მასიურ სამუშაო ინდუსტრიალიზაციის დღედ.

ამ დღეს წარმოებული იქნება მუშაობა ნებაყოფლობით მასიური შაბათობის მსგავსად.

რკინის გზის ძირითად პროფორგანიზაციებს დავალებული აქვთ თავის დროზე ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა ინდუსტრიალიზაციის დღის წარმატებით ჩასატარებლად. მათ რკინისგზელთა ფართო მასებს უნდა განუმარტონ სრულიად ასაკავშირო ინდუსტრიალიზაციის დღის მიზნები და ამოცანები.

ამ დღეს მუშაობის საწარმოო გეგმა წინასწარ იქნება გამოქვეყნებული, მითითებით,— სად და რამდენი მუშა-ხელია საჭირო.

თბ. აღმასკომში

◆ მე-100 შრომის სკოლასთან კერამიკული სახელოსნოს მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასდო 6.000 მანეთი.

◆ მუშა-მოსახლეობის საკვებ პროდუქტებით მოსამარაგებლად თბ. აღმასკომი დიდუბეში აწყობს ცალკე ბაზარს.

სხვადასხვა

◆ კონფერენცია. 23 აგვისტოს მოწვეულია თბ. ოლქის სასოფლო-სამეურნეო დარგის და ტყის მუშაკთა საოლქო კონფერენცია.

მზადება ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისათვის

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის და ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის 10 წლის თავის მოახლოვების გამო ს. ა. ლ. კ. კ. ცეკამ შეადგინა მისი ჩატარების გეგმა. კომკავშირის კომიტეტებთან შემდგარი იქნება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ჩამტარებელი კომისიები. აგვისტოს მეორე ნახევრის განმავლობაში წარმოებებში, სოფლებში, კლუბებში და ქოხ-სამკითხველოებში მოწვეული იქნება ახალგაზრდობის კრებები მოზრდილთა თანდასწრებით, რომლებზედაც წაკითხული იქნება მოხსენებები ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ. სექტემბრის განმავლობაში და ოქტომბრის პირველ ნახევარში გაშლილი იქნება მუშაობა მუშა და მოჯამაგირე ახალგაზრდობის კომკავშირში ჩაბმის მიზნით, ამავე დროს ჩატარებული იქნება მუშა და მოჯამაგირე ახალგაზრდობის და უპარტიო ქალთა კონფერენციები. 25 აგვისტოს ყველა ქალაქებში და სამაზრო ცენტრებში მოეწყობა ახალგაზრდობის ექსკურსიები ქალაქ-გარედ, სამხედრო ლაშქრობები, შეჯიბრება სროლაში, გამგზავრება შეფობის ქვეშ მყოფ სოფლებში და სხვ. ამავე დღეს, საღამოს კლუბებში ახალგაზრდობისათვის ჩატარებული იქნება მხატვრული საღამოები. 30 აგვისტოს მოეწყობა პარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრებები, რომლებზედაც წაკითხული იქნება მოხსენებები „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე და კომკავშირი“. ამავე კრებებზე მოხდება აქტიური კომკავშირელების გადარიცხვა კომპარტიის რიგებში.

31 აგვისტოს კლუბებში და ქოხ-სამკითხველოებში ჩატარდება პარტიის და კომკავშირის უჯრედების საზეიმო კრებები პიონერთა და უპარტიო ახალგაზრდობის დასწრებით, რომლებზედაც წაკითხული იქნება მოხსენება „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე და ა. კ. ი.-ს 10 წლის თავი“. სხდომები დამთავრდება მხატვრული და რევოლიუციონური დადგმებით.

პირველ სექტემბერს ჩატარდება მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის დემონსტრაციები წითელ არმიელებისა და პიონერების მონაწილეობით. სამაზრო ცენტრებში მოეწყობა აგრეთვე კარნავალი ჩირაღდნებით, მაშხალებით და სხვ. დასავლეთ ევროპის ახალგაზრდობის დელეგაციის მოსკოვში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა მოიწვევს ამ დელეგაციიდან 18 კაცს ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს მასშტაბით გამოცხადებული იქნება კონკურსი კომკავშირის საოლქო, სამაზრო, სარაიონო კომიტეტებს და უჯრედებს შორის ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის საუკეთესოდ ჩატარებაზე. შეჯიბრება ითვალისწინებს შემდეგს პირობებს: 1) რაც შეიძლება მეტი მუშა და მოჯამაგირე ახალგაზრდობის კომკავშირის რიგებში ჩაბმა, 2) უჯრედების ინტერნაციონალური მუშაობის საუკეთესოდ დაყენება, 3) ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის საუკეთესო ჩატარება (მასიურობის და მხატვრულად მოწყობის მხრივ).

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის მოახლოებასთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება კლუბების და წითელი კუთხეების საშუალებით ამ კამპანიის ჩატარების შესახებ. წარმოებებში, მუშ.-მოს. კრებებზე ჩატარდება მოხსენებები ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის და ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის 10 წლის თავის შესახებ. 25 აგვისტოს მოეწყობა ახალგაზრდობის მასიური ექსკურსიები ქალაქ გარედ. კლუბებთან არსებული ახალგაზრდათა სექციები ჩაატარებენ ახალგაზრდობის საუკეთესო ლაშქრობას და ამ ლაშქრობის საუკეთესო ჩატარებაზე სხვადასხვა ორგანიზაციები გამოიწვევენ ერთმანეთს. ბათუმში, ფოთში და სოხუმში ჩატარებული იქნება ახალგაზრდობის შეჯიბრება წყალზე (ცურვაში და სხვ.). 31 აგვისტოს კლუბებში მოეწყობა „სამი თაობის“ საზეიმო საღამოები მხატვრული დადგმებით. 1 სექტემბერს ფიზკულტურისნები მოაწყობენ ველო-გადარბენას საქართველოს სამხედრო გზაზე სააგიტაციო მიზნით.

კამპანიის საუკეთესოდ ჩამტარებელი ახალგაზრდათა სექცია მიიღებს ჯილდოს.

დაწინაურებულთა კურსები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ამჟამად ატარებს მოსამზადებელ მუშაობას დაწინაურებულ მუშათა კურსების მოსაწყობად. იუსტიციის, შრომის, ფინანსთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და აგრეთვე ქალაქის აღმასკომმა უკვე წარმოადგინეს სასწავლო პროგრამები, ხოლო ამჟამად მუშავდება სასწავლო გეგმები.

აღნიშნული კურსების საჭიროებისათვის სახკომსაბჭოს მიერ გადადებულია 11.000 მანეთი.

მეცადინეობის დაწყება განზრახულია 2 სექტემბრიდან. კვირას, 1 სექტემბერს შესდგება კურსების მსმენელთა კრება. კურსებზე თეორეტიული მეცადინეობა იწარმოებს კვირაში 4 დღე (დღეში 3 საათი), საღამოობით, 2 დღე კი იმუშავებენ პრაქტიკულად დაწესებულებებში (განყოფილების გამგეების ხელმძღვანელობის ქვეშ).

62.766 მ. განაწილება სას.-სამ. საკრ. ამხანაგობებს შორის

საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკმა—ღარიბთა კოოპერატიულად შესაკავშირებელი და კოლექტივიზაციის ფონდი შემდეგნაირად განაწილა: ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას—მეთამბაქოეთა ამხანაგობაში ღარიბ მეთამბაქოების შესაკავშირებლად და კოლმეურნეობაში გლეხთა შესაკავშირებლად — 1000 მანეთი, ვარდისუბნის სასოფლო-სამ. საკრედიტო ამხანაგობას — 1.000 მანეთი, გურჯაანის სასოფლო-სამ. საკრედიტო ამხანაგობას—3.000 მანეთი, კარდანახის—3.500 მანეთი, ველისციხის—3.400 მან., ყვარელის—3.000 მანეთი, შილდის—2.100 მანეთი, შაშიანის—2.000 მანეთი, ანაგის—2.100 მანეთი, ძველი გავაზის (ახალსოფლის) — 1.500 მანეთი, ბაკურციხის—2.000 მანეთი, წინანდლის—2.000 მანეთი, ლიუქსემბურგის — 1.000 მანეთი, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „კარდაშლიკ“-ს—1.200 მანეთი, ყარაიას სასოფლო-სამეურნეო საკრედ. ამხანაგობას—1.000 მანეთი, შინდისის—600 მ., ბაღდადის—3.500 მანეთი, სვირის— 3.500 მანეთი, სამტრედიის—1000 მანეთი, გორა-ზეინდარის—2.500 მანეთი, კურსების—800 მანეთი, ზესტაფონის—3.880 მანეთი, ხორაგოულის — 1.500 მანეთი, ჭრებალოს—1.500 მანეთი, ჭელია-ღელეს—500 მანეთი, ზუგდიდის—1.285 მანეთი, ახალქალაქის—1.560 მანეთი, ახალციხის—1.000 მანეთი, ახალსენაკის—1.000 მან., გორის—750 მანეთი, ხაშურის—750 მანეთი, თბილისის—750 მანეთი, მარტყოფის—750 მანეთი, ოზურგეთის—750 მანეთი, ლანჩხუთის— 750 მანეთი, ცხინვალის—750 მანეთი, ახალგორის—750 მანეთი, ოქონის—715 მანეთი.

რადგან აფხაზეთში და აჭარისტანში დაარსებული უნდა იქნეს საკუთარი ფონდები, მათთვის გადადებულია—1.225 მანეთი.

ამრიგად განაწილებული თანხების რაოდენობა უდრის სულ 62.766 მანეთს.

ანდეზიტი და პემზა

ანდეზიტი და პემზა ორივე მადნებია, რომელთაც ხმარობენ სააღმშენებლო სამუშაოებზე, ქიმიურ მრეწველობაში და სხ. ანდეზიტი წარმოადგენს განსაკუთრებული თვისების ქვას, რომელზედაც ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ სხვადასხვა ქიმიური პროცესები. აღნიშნული ქვა ხუთჯერ უფრო ხანგრძლივათ სძლებს ჰაერზე, ვიდრე ჩვეულებრივი საამშენებლო მნიშვნელობის ქვა. ბაზარზე ამჟამად ანდეზიტის მადანი ფუთი მანეთამდე ღირს.

პემზა კი წარმოადგენს ვულკანური წარმოშობის მადანს, რომელსაც ხმარობენ ბეტონის სამუშაოებზე (ჰიდრო-ელსადგურების აგებისათვის პემზა აუცილებელი მასალაა) და ქიმიურ მრეწველობაში. ერთი ფუთი პემზის მადანი ბაზარზე ფასობს 3—4 მანეთი.

პემზისა და ანდეზიტის მადნები მოიპოვება ყაზბეგის რაიონში, სადაც მათი დამუშავება პრიმიტიული წესით სწარმოებდა. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა, შეუდგეს უკვე აღნიშნული მადნის დამუშავებას. მადნების მარაგის გამოსაკვლევათ და შესასწავლათ ყაზბეგის რაიონში გაგზავნილი იყო გეოლოგი ა. ბახტაძე, რომელმაც უკვე ჩაატარა შესაფერი მუშაობა და შეკრიბა ყველა საჭირო მასალები. გეოლოგ ბახტაძის განცხადებით, პირველ რიგში ხელსაყრელი იქნება პემზის მადნის დამუშავების დაწყება, რადგან ამ მადანზე ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა და ხშირად საჭირო ხდება მისი შემოტანა იტალიიდან, სადაც ეს მადანი ბლომათ მოიპოვება. საბჭოთა კავშირში პემზის მადნის დამუშავება სწარმოებს მხოლოდ სომხეთში. ანდეზიტისა და პემზის მადნების დამუშავების დაწყება დავალებული აქვს სამთო-ქიმიურ ტრესტს, ხოლო წინასწარი სამეცნიერო ხასიათის კვლევა-ძიებები კი უნდა ჩაატაროს ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებამ.

გეოლოგმა ბახტაძემ ყაზბეგის რაიონში გამოიკვლია აგრეთვე ე. წ. გოგირდის ალმადანის ბუდობები. გოგირდის ალმადანი ქიმიური მრეწველობისათვის ერთ-ერთ აუცილებელ ნედლეულს წარმოადგენს.

გოგირდის ალმადანის ბუდობებზე საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყების საკითხს ცალკე განიხილავს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

მეეზოვეთა წმენდა

მეეზოვეთა შორის მრავალია მოხუცებული და ინვალიდი, რომელთაც არ შეუძლიათ შესაფერად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. გარდა ამისა მეეზოვეთა შორის მოიპოვებიან არა საიმედო პირებიც და სისხლის სამართლის დამნაშავენი.

ამიტომ მეეზოვეთა კავშირმა თბ. აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებასთან ერთად დაადგინა მოახდინოს მეეზოვეთა პირად შემადგენლობის წმენდა.

გუშინ შესდგა სპეციალური თათბირი, რომელმაც გამოიმუშავა წმენდის გეგმა.

წმენდა დაიწყება დღეს. წმენდის ჩასატარებლად დაარსებულია 5 კომისია.

ინვალიდობისა და მოხუცებულობის გამო მოხსნილი მეეზოვეები გადარიცხულნი იქნებიან პენსიაზე.

თბ. საშეფო საბჭოში

ამ დღეებში შესდგა თბილისის საშეფო საბჭოს პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია საშეფო საბჭოს პრეზიდიუმი 17 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით. საშეფო საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. ასრიბეკოვი, მოადგილეებათ ამხ. ვასო არეშიძე და სტეფანოვი, საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად არჩეულია ამხ. სტეფანოვი. ამასთანავე ერთად პლენუმმა აირჩია სამდივნო ამხ. არეშიძის, სტეფანოვის, მეიფარიანის, მელიქოვის და ჩილაჩავას შემადგენლობით.

პლენუმმა მოისმინა საკითხი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ და დაადგინა წინადადება მისცეს საშეფო ორგანიზაციების რაიონულ საბჭოებს ერთი თვის განმავლობაში მოახდინონ წერა-კითხვის უცოდინარობის აღრიცხვა საშეფო სოფელში და წარუდგინონ თბილისის საბჭოს, რომლის შემდეგ საშეფო საბჭო გამოიმუშავებს სამწლიან გეგმას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საშეფო სოფლებში.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე საკითხი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ და დაადგინა ფართოდ გაშალოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა სესხის შესახებ საშეფო სოფლებში. ამ მიზნით გაიგზავნება საშეფო უჯრედების წარმომადგენლები სოფლად და გარდა ამისა, აღნიშნული მუშაობის ჩატარება დაევალება სოფლად გაგზავნილ მუშათა სარემონტო ბრიგადებს.

მეცხვარეობის პერსპექტივები საქართველოში

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარმომადგენლის—ამხ. ი. პრილეჟაევის დასკვნები

მოსკოვიდან ჩამოვიდა საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ მეცხვარეობის კომიტეტის წევრი ამხ. ი. პრილეჟაევი, რომელმაც გამოიკვლია საქართველოს მეცხვარეობის ყველა რაიონები, გაეცნო მეცხვარეობის საქმეს და საძოვრების მდგომარეობას.

თავის დასკვნებში ამხ. პრილეჟაევი აღნიშნავს, რომ საქართველოში, როგორც ეკონომიურ-ისტორიული, ისე ბუნებრივი პირობები ხელს უწყობენ სამრეწველო ხასიათის მეცხვარეობას. საქართველოში მოიპოვება საძოვრების დიდი ფართობი, რომელსაც შეუძლია დაიტიოს ორჯერ მეტი ცხვარი, ვიდრე დღესაა. საქართველოს მეცხვარეობას შეუძლია მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მთელ სისტემაში.

მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიური პირობებისა საქართველოს მეცხვარეობის ნორმალურ განვითარებას, ამხ. პრილეჟაევის დასკვნით, აბრკოლებს შემდეგი მიზეზები: ყურადღება არ ექცევა საძოვრების რაციონალურათ გამოყენების საქმეს, სუსტად სწარმოებს საძოვრების მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, არაა მოგვარებული საძოვრებით სარგებლობისათვის გადასახადის საკითხი, არ სწარმოებს მუშაობა მეცხვარეთა კოლექტივების ჩამოსაყალიბებლათ. ამის გამო ღარიბ და საშუალო მეცხვარეებს საშუალება ერთმევა გააუმჯობესონ თავიანთი მეურნეობა და შექმნან მეცხვარეობის განვითარების ბაზა; სუსტად მუშაობს აგრეთვე კოოპერაციაც, რომელიც მოწოდებულია კოოპერატიულათ დარაზმოს ღარიბი და საშუალო მეცხვარეები და სხვ.

ამხ. პრილეჟაევი აღნიშნავს აგრეთვე, რომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოში მეცხვარეობის განვითარების შესახებ დამუშავებული გეგმა შედგენილია სწორად და მიზანშეწონილად. ამ გეგმის განსახორციელებლად ამხ. პრილეჟაევს საჭიროდ მიაჩნია შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება.

მეცხვარეობის განვითარების ბაზათ მიჩნეული უნდა იქნეს დიდი საბჭოთა მეურნეობები, კერძოთ, საბჭოთა მეურნეობა—„უდაბნო“.

მეცხვარეობის განსავითარებლად პირველ რიგში უნდა იქნეს მიღებული ზომები თუშური ჯიშის ცხვრების გასაუმჯობესებლად. თუშური ჯიშის გაუმჯობესება უნდა ხდებოდეს როგორც სამომშენებლო ეკზემპლიარების შერჩევით, ისე თუშური ცხვრისა და სხვა ჯიშის ცხვრების სისხლის არევით. სახალხო მამულთა ტრესტმა და კოოპერაციამ უნდა მოაწყონ ცხვრების სამოშენებლო პუნქტები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზოოტექნიკური სადგურის მუშაობის გაუმჯობესებას და მეცხვარე-სპეციალისტთა ახალი კადრების შექმნას.

ზემოთ ჩამოთვლილი უმთავრესი ღონისძიებებისა და მთელ რიგ სხვა პრაქტიკულ წინადადებათა განხორციელების შემდეგ საქართველოს მეცხვარეობა ჩადგება თავისი განვითარების ნორმალურ კალაპოტში და შესაფერ ადგილს დაიკავებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში.

ამხ. პრილეჟაევი თავის დასკვნებს წარადგენს საბ. კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ მეცხვარეობის საქმეთა კომიტეტში.

ხელოვნება

სამზადისი აკადემიური დრამის მომავალი სეზონისათვის

რუსთაველის თეატრი შეუდგა სამზადისს მომავალი სეზონისათვის. დრამის მსახიობთა თითქმის მთელი შემადგენლობა ამჟამად მეცადინეობს კურორტ ტბაში, სადაც უკვე შეუდგენ პიესების მომზადებას.

გუშინ კურორტ ტბიდან თბილისში დაბრუნდა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი, რომელმაც დრამის მომავალი სეზონისთვის სამზადისის შესახებ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— რუსთაველის თეატრში დრამის სეზონის გახსნა გადაწყვეტილია სექტემბრის ბოლო რიცხვებში. სეზონი გაიხსნება კირშონის პიესით „ქართა ქალაქი“, რომელიც გადმოკეთებულია ა. შანშიაშვილის და ა. ბოკერიას მიერ. ამჟამად პირველი პრემიერებისათვის მზადდება კიდევ ორი პიესა: იაროსლავსკის— „პროტესტი“ და ს. შანშიაშვილის—„ბრაზი“. უკანასკნელი პიესა დაწერილია კოლმეურნეობათა ცხოვრებიდან. მოქმედება გადატანილია კახეთში და პიესაში ნათლად ისახება თანამედროვე სოფლის ყოფა-ცხოვრება.

მომავალი სეზონისათვის უკვე შემუშავებულია რეპერტუარი, რომელშიაც შეტანილია 12 სხვადასხვა ავტორის პიესა. ამ პიესებიდან თეატრთან არსებულმა სამხატვრო საბჭომ ჯერ - ჯერობით სამი პიესა მიიღო და მათი მომზადება დასმა უკვე დაიწყო. ზემოთ ჩამოთვლილი სამი პიესის გარდა რეპერტუარში მიღებულია: „შეთქმულება“ — პ. სამსონიძის, „ცხრა მთაში“ — პ. კაკაბაძის, „გოლა“ — ნ. ზომლეთელის, „ჭინკა“ — ს. კლდიაშვილის (მუსიკალური კომედია), „რიჟრაჟი“ — შაშე ლეჟავასი. უცხოელი ავტორებიდან კი თეატრმა თავის რეპერტუარში შეიტანა: „ესტადორ“ — ზაკის, „ჩიკაგო“ — უოტკინსის და „სამი ლოხი“—ოლეშასი.

წელს თეატრი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროლეტარული მწერლების თეატრთან დაახლოებას. ამ საკითხზე, ე. ი. პროლეტარული მწერლობისა და თეატრის დაახლოების შესახებ განვლილი სეზონის ბოლოს თეატრმა მოიწვია საქართველოს პროლეტარულ მწერალთა თათბირი, სადაც ეს საკითხი დაწვრილებით იყო განხილული. პროლეტარული მწერლების თეატრთან დაახლოების მიზნით უკვე შეკვეთილი აქვთ ახალი პიესების დაწერა პროლეტ. მწერლებს — იონა ვაკელს, ი. ხომერიკს და კომკავშირელ მწერალს — კერესელიძეს. საერთოდ თეატრს აღებული აქვს ხაზი ქართველ საბჭოთა დრამატურგის ნაწარმოებთა გამოყენებისაკენ და ამ მიზნით თეატრი ღებულობს მის განკარგულებაში არსებულ ყოველგვარ წამახალისებელ ზომებს, რომ მიიზიდოს და მუშაობაში ჩააბას ქართველი საბჭოთა დრამატურგები.

ერთ - ერთი ცენტრალური ამოცანა, რომელიც მომავალი სეზონის დასაწყისისათვის სდგას რუსთაველის თეატრის წინაშე — ეს მუშა - მაყურებელთა აუდიტორიის შექმნის საკითხია. ამ საკითხს უაღრესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თუ მუშა - მოსამსახურეებს არ ექნათ საშუალება თეატრში სიარულის, მაშინ თეატრი ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას. ამ მხრივ უკვე გადადგმულია შესაფერი ნაბიჯები და შემოღებულია აბონიმენტების სისტემა. აბონიმენტები მუშა-მოსამსახურეებს მიეცემათ შეღავათიან ფასებში.

რუსთაველის თეატრმა იკისრა აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს ლენინის რაიონის თეატრის სამხატვრო მუშაობას. ამ მიზნით რუსთაველის თეატრის სამხატვრო დარგის ხელმძღვანელთა ინიციატივით და დახმარებით გადაწყვეტილია ლენინის რაიონის თეატრთან მოეწყოს მუშების დრამატული სახელოსნო, რომელშიაც მიღებული იქნებიან დაზგის მუშები. ლენინის უბანში მუშათა თეატრის სწორ მხატვრულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა ფართო მასების აღზრდის საქმეში და სწორედ ეს მიზანი ამოქმედებდა რუსთაველის თეატრს, როდესაც მან გადასწყვიტა ხელმძღვანელობა გაეწია ლენრაიონის თეატრის მუშაობაში.

რუსთაველის აკადემიური დრამის თეატრი მომავალ წელს იმუშავებს მსახიობთა იმავე შემადგენლობით, როგორიც შარშან.

სასამართლო

ბნელით მოცული მკვლელობა

გუშინ თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოში დაიწყო შალვა რჩეულიშვილის მკვლელების საქმის გარჩევა.

საბრალმდებლო სკამზე სხედან გიორგი მოსესძე მამუკაშვილი და გიორგი ილიასძე ბერძენიშვილი.

როგორც ირკვევა მამუკაშვილმა და ბერძენიშვილმა რჩეულიშვილი მოკლეს შურისძიების ნიადაგზე.

საქმის ვითარება ასეთია:

გასულ წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში კახეთში ე. წ. „ხუჩუკაანთ მუხა“-სთან გაძარცვეს რამდენიმე გლეხი. იმავე ხანებში ველისციხის მიდამოებში მოხდა დაცემა და გაქურდეს ველისციხის საკრედიტო ამხანაგობა.

ეჭვით დაპატიმრებული იქნა რამდენიმე კაცი. ერთი ეჭვმიტანილთაგანი, სახელდობრ მამუკაშვილი, მიიმალა.

ეჭვმიტანილმა ღოროშვილმა და ნარაშვილმა შალვა რჩეულიშვილს გაანდვეს, რომ სამივე ბოროტმოქმედება ჩადენილია მათი და მამუკაშვილის მიერ.

რჩეულიშვილმა თავის მხრით ამბავი გაანდო ჩიხიტაშვილს, რომელიც მოწმეთ იყო დასახელებული აღნიშნულ საქმეზე. დაკითხვის დროს ჩიხატაშვილმა გამომძიებელს გადასცა რჩეულიშვილის ნაამბობი.

გურჯაანის სახალხო გამომძიებლის მოთხოვნით, თბილისის მე-2 უბნის სახალხო გამომძიებელმა თბილისში, დაჰკითხა, როგორც მოწმეს, რჩეულიშვილს. დაკითხვის ოქმი გადაუგზავნა გურჯაანის გამომძიებელს, მაგრამ ოქმი ფოსტაში დაიკარგა.

ამა წლის 9 თებერვალს, შუადღეზე, თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ბერძენიშვილი და მამუკაშვილი, რომლებმაც მოილაპარაკეს, წასულიყვნენ საქეიფოდ და თან წაეყვანათ რჩეულიშვილი.

მართლაც, იმავე დღეს, საღამოს 7 საათზე რჩეულიშვილთან მივიდნენ ბერძენიშვილი და მამუკაშვილი, რომლებმაც ის დიდი ხვეწნით წაიყვანეს. სამივე ჩავიდა ჯანიაშვილის სარდაფში (ცენტრ. ბაზარში) და დაიწყეს სმა.

ორი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ სვეს. სამივე ძალზე დაითვრო, განსაკუთრებით რჩეულიშვილი.

შემდეგ ამოვიდნენ სარდაფიდან და წავიდნენ გოგჩის ბაღის შესახვევით. ერთ-ერთ სახლთან მიახლოვებისას მამუკაშვილმა მოულოდნელად მკერდში ჩასცა დანა რჩეულიშვილს და გაიქცა. მასთან ერთად მიიმალა ბერძენიშვილიც.

ცოტა ხნის შემდეგ მძიმედ დაჭრილი რჩეულიშვილი რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში ეტლით მიიყვანეს იმავე გიორგი ბერძენიშვილმა და ოლიმპიადა მასხარაშვილმა. დაკითხვისას მათ განაცხადეს, რომ არაფერი არ იციან იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა დაჭრა ან ვინ დასჭრა რჩეულიშვილი. ვითომ ისინი შემთხვევით წააწყდნენ დაჭრილ კაცს, რომელიც აღმოჩნდა მათი საერთო ნაცნობი რჩეულიშვილი და მოიყვანეს საავადმყოფოში.

ბერძენიშვილი მაინც დაპატიმრებული იქნა ეჭვით. მალე შეიპყრეს მამუკაშვილიც.

რჩეულიშვილი დაჭრილი იყო გულში. მას გაუკეთეს სასწრაფო ოპერაცია. რის შემდეგ შესაძლებელი გახდა მისი დაკითხვა.

დაკითხვის დროს რჩეულიშვილმა დაფარა მისი ამხანაგების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება და განაცხადა, რომ ის დასჭრეს უცნობმა პირებმა. მეორე დღეს რჩეულიშვილი გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ რჩეულიშვილი ბოლო ხანებში ცდილობდა ჩამოშორებოდა თავის ავარა ამხანაგებს და უმაღლესი ცოდნა შეეძინა. ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, თუ როგორ დაბრუნდა რჩეულიშვილის დაჭრის შემდეგ გაქცეული ბერძენიშვილი, ან სად შეხვდა მას ოლიმპიადა მასხარაშვილი.

დაიწყო მოწმეების დაკითხვა. სულ გამოწვეულია 18 მოწმე. დიდ ინტერესს იწვევს მოწმეს სახით გამოწვეულ ოლიმპიადა მასხარაშვილის ჩვენება.

გასამართლებას დიდძალი ხალხი ესწრება. სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. რ. კალანდაძე, ბრალდებულებს იცავენ მ. ღვამიჩავა და ი. ბარათაშვილი, პროკურორი—ა. გრიგორია.

პროცესი გასტანს რამოდენიმე დღეს.

კასიო.

ღონისძიებანი კატასტროფასთან საბრძოლველად

მანგლისის გზაზე მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად და კატასტროფების თავიდან აცდენის მიზნით პრაქტიკული ღონისძიების გამოსამუშავებლად ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა ცენტრ. გამგეობამ მოიწვია სპეციალური სხდომა.

მომხდარ კატასტროფის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სტეფანოვმა.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი აზრთა გაცვლა - გამოცვლა, რის შემდეგ სხდომამ დაადგინა: სასტიკად აიკრძალოს მძიმე ტიპის და რთულ კონსტრუქციის მანქანებზე მე-3 ხარისხით კურსდამთავრებული შოფერების დაშვება. ამავე ხარისხის მქონე შოფერებს აეკრძალოს საბარგო ავტომობილებით ქალაქ გარეთ (კოჯორი, მანგლისი, აღბულაღი, კავკავი) გასვლა.

მიღებული იქნეს მკაცრი ზომები, რათა მანქანებზე არ იქნან დაშვებული ისეთი შოფერები, რომლებსაც აღმოაჩნდება სიმთვრალის ნიშნები. იმ შემთხვევაში კი, როცა შოფერი მთვრალი აღმოჩნდება, ან დაითვრება გზაში, ის დაუყოვნებლივ უნდა იქნას მოხსნილი სამუშაოდან.

გარაჟების და კანტორის გამგეებს და აგრეთვე საგზაო კონტროლიორებს ევალება თვალყური ადევნონ აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას.

გზაში მოხსნილ შოფერების შესაცვლელად სათანადო პუნქტების გამგეებად მოწვეულ უნდა იქნენ კვალიფიციური ავტო-მუშაკნი, რომელთაც შეეძლებათ მანქანის მიყვანა დანიშნულ ალაგას.

გარაჟებიდან გამოშვებამდე ავტომობილები შემოწმებული უნდა იქნენ ყოველმხრივ.

შოფერების ცალკე ჯგუფებს შორის უნდა სწარმოებდეს პერიოდული საინსტრუქციო მუშაობა. შოფერებს უნდა განემარტოს ქალაქ გარეთ მიმოსვლის წესები.

დაევალოს „ზაკავტოპრომტორგის“ განყოფილებას ყოველწლიურად მოახდინოს შოფერების ფსიქო - ტეხნიკური შემოწმება.

სხდომა აღნიშნავს, რომ კატასტროფებს ხელს უწყობს მოსახვევებში და სხვა სახიფათო ადგილებზე გამაფრთხილებელ ნიშნების უქონლობა. ამისათვის საქ. გზათა და ტრანსპორტის სამმართველომ ასეთ ადგილებზე უნდა დადგას გამაფრთხილებელი ნიშნები მოსახვევებში და უფსკრულების პირას გზები შემოღობილ იქნეს ტინობის ბოძებით ან ქვის მაგარ კედლებით.

„ზაკავტოპრომტორგი“-ს თბილისის განყოფილების გარაჟებიდან სამუშაოდ გამოშვებულ მანქანების ვარგისიანობისათვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება გარაჟის ადმინისტრაციას.

სხვა მანქანების უშიშროებისათვის პასუხისმგებელია საქ. საგზაო-სატრანსპორტო სამმართველოს განყოფილება.

პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული ის მგზავრები, რომლებიც შოფერებს მიაწოდებენ მაგარ სასმელებს.

საგზაო - სატრანსპორტო სამმართველოს დაევალა მიიღოს ენერგიული ზომები გზების შესაკეთებლად.

ვინაიდან „ზაკავტოპრომტორგი“-ს მე-2 გარაჟში საბარგო ავტომობილებზე მუშაობენ ძველი კვალიფიციური (1-ლი და მე-2 ხარისხით კურსდამთავრებულ) შოფერები, ამავე დროს კი უფრო საპასუხისმგებლო მანქანებს მმართავენ მდარე კვალიფიკაციის შოფერები, „ზაკავტოპრომტორგს“ დაევალა ავტობუსებზე გადაყვანილი იქნენ 1-ლი და მე-2 ხარისხის შოფერები.

ავტო - სამეურნეო დაწესებულებებს ევალება განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შოფერების მომზადება - გადამზადების საქმეს. ამ მიზნით მათ ყოველწლიურათ უნდა გაიღონ საჭირო თანხები.

ამა წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში მოწვეული იქნება ავტო - მუშაკთა საერთო საქალაქო კონფერენცია, შესაფერი ზომების შესამუშავებლად კატასტროფების წინააღმდეგ.

აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას ეთხოვა დააკავოს ისეთი მანქანები, რომელთა შოფერებსაც არ აღმოაჩნდებათ შესაფერი მოწმობები.

სხდომამ დასასრულ დაადგინა ავტო-კურსებთან გაიხსნას შოფერების მოსამზადებელი 6 თვიანი კურსები. ქართულ და რუსულ განყოფილებებით. თვითეულ განყოფილებაში მიღებული იქნება 75 კაცი.

რკინის გზებზე

ჭიათურის და ტყიბულის შტოების ელექტროფიკაცია

ა-კ. რკინის გზების გამგეობაში მიღებულია დეპეშა, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ გზათა სახ. კომისარიატში განიხილავთ ჭიათურის შტოს გაფართოება — ელექტროფიკაციის და ტყიბულის შტოს ელექტროფიკაციის საკითხები.

ამასთან დაკავშირებით, ა-კ. რკ. გზების გამგეობას წინადადება აქვს მიცემული, წარუდგინოს გზათა კომისარიატს ა-წ. 1 ნოემბრისათვის თავისი მოსაზრებები და ეკონომიური დასკვნები ამ საკითხების გარშემო.

მისაბაძი მაგალითი

სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების პროცესში, როგორც ამ.-კავკ. რკ. გზების გამგეობაში მიღებულ ცნობებიდან სჩანს, ბაქოს რკ. გზის მთავარ სახელოსნოში პროდუქციის თვითღირებულება ცალკე საამქროებში შემცირებულია 2-დან — 19 პროცენტამდე.

უბედური შემთხვევა

სადგ. ხაჩმასში, მომავალ მატარებელზე შეხტომის ცდის დროს მატარებლის ქვეშ მოჰყვა უპატრონო ბავში შაპოვალოვი.

შაპოვალოვს მატარებელმა გადასჭრა მარჯვენა ფეხი და დაუმსხვრია მარცხენა ფეხის ქუსლი.

ბავში უგრძნობ მდგომარეობაში გადაგზავნეს საავადმყოფოში.

ა-კ. რკინისგზელთა ექსკურსია

ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში ამ-კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი აწყობს ა-კ. რკინისგზელთა ექსკურსიას: საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რკინისგზელთა ექსკურსიას ინტერნაციონალური კავშირის განსამტკიცებლად.

ა-კ. რკინის გზების საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ხაზებიდან თბილისში ჩამოვა 90 რკინისგზელი. (საქართველოდან—45 კაცი, აზერბეიჯანიდან—30 და სომხეთიდან—15).

ექსკურსანტებს გაუმართავენ საზეიმო შეხვედრას. თბილისის სადგურზე გაიმართება სახელდახელო მიტინგი, ექსკურსანტები დაათვალიერებენ თბილისის ფაბრიკა-ქარხნებს.

შემდეგ ექსკურსანტები დაიყოფიან ჯგუფებად და გაემგზავრებიან აზერბეიჯანში და სომხეთში. სომხეთში გაემგზავრება ჯგუფი 20 ქართველი და 10 აზერბეიჯანელი რკინისგზელის შემადგენლობით; აზერბეიჯანში გაემგზავრება 10 ქართველი და 5 სომეხი რკინისგზელი. დანარჩენები დარჩებიან თბილისში.

თბილისში დარჩენილ ექსკურსანტებისათვის ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართება ეთნოგრაფიული საღამო და მოეწყობა საწარმოო ხასიათის გამოფენა.

ამიერ-კავკ. რკ. გზების 1929—30 წ. საკონტროლო ციფრები

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ამიერ-კავკ. რკინის გზების 1929—30 წლის საკონტროლო ციფრები.

საკონტროლო ციფრების თანახმად 1929—30 წელში გზებზე კაპიტალურ მშენებლობისათვის უნდა დაიხარჯოს 25.820.000 მანეთი.

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა ამ თანხის დაბანდება ტრანსპორტის კაპიტალურ მშენებლობაში სავსებით დასაბუთებულად სცნო. უამისოდ საგეგმო კომისიის აზრით შეუძლებელი გახდება იმ სამუშაოების შესრულება, რომელიც დასახულია გზის წინაშე, მით უმეტეს, რომ გზის განვითარების ტემპი უკვე ჩამორჩება ტვირთზიდვის ზრდის ტემპს.

ამიერ-კავკ. რკ. გზის გამგეობას საგეგმო კომისიის მიერ მიცემული აქვს წინადადება განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბაქო-ბალაჯარის კვანძის გადაკეთების საკითხს ისე, რომ 1929—30 წელში დამუშავებულ იქნეს ამისათვის საჭირო პროექტი.

კაპიტალური მშენებლობის საკონტროლო ციფრებში გადაწყვეტილია შეტანილ იქნეს თანხა 100.000 მანეთის რაოდენობით კვლევა-ძიებითი სამუშაოებისათვის.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

სონია ალექსის ასულ ქორიძემ (მცხ. სადგურის ქ. № 33) მოიწამლა თავი ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე. ქორიძე გადაარჩინეს სიკვდილს.

თავის ჩამოხრჩობა

ბაკურ დაბაში (ბორჯომის რაიონი) რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად, ტყეში, 12 აგვისტოს დილით აღმოჩენილი იქნა თოკით ხეზე ჩამოკიდებული დამხრჩვალი ქალის გვამი (დაახლოებით 30—32 წლისა), რომლის ვინაობა და თავის ჩამოხრჩობის მიზეზი გამოურკვეველია. აღნიშნული მოქალაქე საგარაკოთ ყოფილა ჩამოსული. სწარმოებს კვლევა-ძიება ვინაობისა და თავის ჩამოხრჩობის მიზეზების გამოსარკვევად.

ქურდობა

გაქურდეს თეოდორა ლორთქიფანიძის ბინა.—არკად ანდრიასოვის ბინიდან (ზებუთოვის ქ. № 30) მოიპარეს 380 მანეთის ნივთები.

გაქურდეს ოგანეზ არაქელოვის ბინა (სავალიევის ქ. № 42).—გაქურდეს დომენტი ჩხეიძის ბინა (გაბაშვილის შესახ. № 6).—ნიკოლოზ კვაჭარაძეს მტკვარში ბანაობის დროს მოპარეს ნაპირზე დატოვებული ტანისამოსი.—კომუნარების ბაღში ძილის დროს შალვა პაპავას მოპარეს ოქროს საათი.—გაქურდეს ელენე პეტროსიანის ბინა (წყნეთის ქ. № 25) — გაქურდეს ლელა ივანეს ასული მესხის ბინა (მდებარე სამინის ქ. № 20).

ფიზკულტურა და სპორტი

ამიერ-კავკ. ფიზკულტურელების დაბრუნება

მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდნენ ამიერ-კავკასიის ფიზკულტურელები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს იქ პროლეტარულ-სასპორტო საზოგადოება „დინამო“-ს საკავშირო დღესასწაულში, რომელიც შესდგა 3-დან —8 აგვისტომდე.

დღესასწაულზე ამიერ-კავკასიიდან გაემგზავრა შვიდი ფიზკულტურელი—მძლეოსნებთა ჯგუფიდან. ვინაიდან მათ შორის არც ერთი ქალი არ იყო, ისინი დღესასწაულში გამოვიდნენ კონკურსის გარეშე და დაიკავეს მესამე ადგილი.,

ამიერ-კავკასიელებს დღესასწაულზე გამართულ შეჯიბრებებში მნიშვნელოვანი გამარჯვებები ხვდათ წილად. მაგალითად ამხ. შვარცაბაიამ სიმაღლეზე ხტომაში დამყარა ახალი საკავშირო რეკორდი. იგი გადახტა -- 183 სანტიმეტრზე (მანამდე იყო 181 სანტიმეტრი).

ამხ. ოჩიგავამ აიღო საკავშირო პირველობა ბირთვის ტყორცნაში. ბირთვი გადაისროლა 11,82 მეტრზე.

ჩვენმა ფიზკულტურელებმა ამასთანავე კარგი სიმარდე უჩვენეს შვედურ ესტაფეტში.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ ამიერ-კავკასიელები დღესასწაულზე ყურადღებას იქცევდნენ თავისი გამოსვლებით.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა, სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

საგარანტიო სექციიდან: ანდრო კოზიევი, დავით ტაბაშვილი, დავით ულენტი, ვასილ ნინუა, ნინა დოგრაშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: გიორგი ბაიანდუროვი, სტეფ. ვართანოვი, ვლად. ჩაბუხბიანი, ერვანდ აბულიანცი, გიორგი რაზმაძე, სერგო მაისურაძე, მიკ. შატვეროვი, პეტრე ნედორუბოვი, მიხ. ქიქინაძე, გიორგი ვაჩნაძე, ივანე გაბისონია, ნიკ. მელიტაშვილი, ვლად. პოლმინი, სამსონ ოსიპოვი, ალექ. აივაზოვი, კაზარ ადამოვი, გიორგი გორდაძე, იოსებ თვალაძე, გიორგი მაჩაბლიშვილი, გაბრიელ მურვანიძე.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ვერა გორგიძე, მარო ნინიძე, ასლანიშვილი, გიორგი დურხაიოვი, სოფ. ფულარია, მიხ. პელიძე, ლიდა ალექსეევა, გვაზავა, ბუეიკოვი, სოფრომიშვილი.

მედსექციიდან: თამრო ასათიანი, მარგარიტა ალექსიძე, ნიკ. გურულაშვილი, მოლონინა, ნინო ტურიშვილი, ილარიონ ცომაია, ადამ ვაჩნაძე.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: ოგანჯანოვი, მარკოზი მეტრეველი, მარ. ბალაიანცი, ნესტორ ჯაფარიძე, უნანიანცი, რუბენ ტატიევი, ლიდა სიორიძე, მინასოვა, მიკიჩ არუთინოვი, ტერ-მოსესოვი, გრიგოლ მელიქოვი, იოსებ ოსიპიანი, ჯოხაძე.

რკინისგზელთა სექციიდან: გაბო მეავანაძე, გიორგი უგანოვი, ვლადიმერ კაპანაძე, ივანე ალიხაიოვი, მიხეილ ივანოვი, ევგენია ლაზარაშვილი, ნესტორი ლეჟავა, ნიკო ველაჩუკსკი, მირონ ყიფიანი, რაზმაძე, გიგაური, ალექსანდრე ყურაშვილი, პლატონი ბერაძე.

სახკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო — „კომედიის განვითარება“ გლუპიშკინის, პრენსის, ჩაპლინის, გაროლდ ლოიდის და სხ. მონაწილეობით
საზაფხულო ეთერი — მონტი ბენკს ახალ კომედიაში მფრინავი ბედნიერება
საზაფხულო პალასი — ფრანგული კინო-რომანი 4 სერიად „ვინდიქტა“ 1 და მე-2 სერია ერთად.
მინიონი — უკანასკნელი 2 დღე მთის ბალადა
მალე: „ცეცხლის კაცი“ და „ადამიანის ფასი“.
ყოველდღე „კალენდარი“ 0—12

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი („914“ შეზხაპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.
მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
2578 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
253325—15

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში ღ დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

ქ. ქობულეთში
ბავშვების ექიმი
ალ. მაღალაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათამდე. მესხეთის ქ. № 14. 2838 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების ღ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ანა ეგხილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

იურიდიული რჩევა-დახმარება

ყიფიანს

კითხვა

მე ვმსახურობდი სურამის დასასვენებელ სახლში 1922 წლიდან—1926 წლამდე. 1926 წელს მიცემული ვიქენ პასუხისგებაში. სასამართლომ სრულებით უდანაშაულოთ მცნო. გამართლების შემდეგ მოვითხოვე სამსახურში აღდგენა, მაგრამ არ აღმადგინეს, რადგან ჩემი თანამდებობა გაუქმებული აღმოჩნდა, როგორც თვითონ განაცხადეს. ნამდვილად კი ეს თანამდებობა სურამის დასასვენებელ სახლში არსებობს. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო ჩემი ადგილი და თუ მაქვს, ვის მივმართო. ვარ უმუშევარი, დაზღვეული და კავშირის წევრი.

პასუხი:

სასამართლოს წესით თანამდებობაზე აღდგენას ველარ მოითხოვთ, რადგან გადაგიცილებიათ საამისოდ დადგენილი 6 თვის ვადისათვის.

სოფ. შერჯვი—გ. მიქაძ

კითხვა

თანახმად ქორითის თემსაბჭოს დადგენილებისა, მე, როგორც ღარიბს და ინვალიდს (მოწმობა № 483) უნდა მომცემოდა სახელმწიფო ტყიდან სახლის მასალა უსასყიდლოდ. ტყის გამგე უარს ამბობს. სახლი ჩამენგრა სტიქიურ მოვლენის (მიწის ძვრა) დროს და ზიანების გამო. მეკუთვნის თუ არა უფასოდ სახლის მასალა და რამდენად კანონიერია ტყის გამგის მოქმედება. თუ მეკუთვნის ვის მივმართო?

პასუხი:

სატყეო მასალის უფასოდ მისაღებად აუცილებელია იქონიოთ თემაღმასკომისაგან მოწმობა, რომ თქვენ ღარიბი ინვალიდი ხართ და რომ მასალა სახლის შესაკეთებლად გესაჭიროებათ.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

ს.ს.ს.რ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატისა

დამტკიცებულია მიწსახკომის კოლეგიის მიერ 6 აგვისტოს, 1929 წ. ოქმი № 15, § 15.

ს.ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 22 ივნისის № 10 დეკრეტის „ნადირობაზე“ განსავითარებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. სასარგებლო ნადირთა დაცვის და გამრავლების მიზნით აიკრძალოს გაზაფხულზე ნადირობა 15 აპრილიდან.

II. აიკრძალოს გერმანულ ტიპის სარეკით ნადირობა კურდღლებზე.

III. ნადირობის წარმოების არსებულ აკრძალვის ვადებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

აკრძალულია ნადირობა:

1. გარეულ ღორებზე 1-ლ თებერვლიდან 1-ლ ოქტომბრამდე.
2. ტყის ქათმებზე 15 აპრილიდან 1-ლ სექტემბრამდე
3. ბატებზე და გედებზე 15 აპრილიდან 1-ლ სექტემბრამდე.
4. ყველა ჯიშის იხვებზე, სავათებზე და სარსარაკებზე 15 აპრილიდან 1-ლ სექტემბრამდე.
5. წინტალებზე, ჭყიამპოზე, დუპელებზე და სუყველა ჭაობის ფრინველებზე 15 აპრილიდან 1-ლ აგვისტომდე.
6. კაკბებზე 15 აპრილიდან 1-ლ აგვისტომდე.
7. მწყერებზე 15 აპრილიდან 1-ლ აგვისტომდე.
8. შურთხებზე და როჭოებზე 1-ლ მარტიდან 15 აგვისტომდე.
9. კვერნაზე, წავზე და მელებზე 1-ლ მარტიდან 1-ლ ნოემბრამდე.
10. ყველა სახის მტაცებლებზე 15 აპრილიდან 1-ლ აგვისტომდე.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი: ჯუღელი.

ადმ. ფინ. სამმართველოს უფროსი ქევ[illegible]უმაძე.

სატყეო სამმართველოს უფროსი: ბაქრაძე.

6 აგვისტო, 1929 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

16 აგვისტოს წმენდა იწარმოებს შემდეგ უჯრედებში

1) სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის ჩამომსხმელ საამქროს უჯრედის, პლეხანოვის სახელობის კლუბში, საღამოს 6 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: კუხალეიშვილი, პონტინი და გარიშვილი.

2) გემო-კვების მე-4 ჯგუფკომის უჯრედის, ჯგუფკომის შენობაში (სასახლის ქ. № 5), საღამოს 6 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: ფურცხვანიძე, სტეფანოვი და ლავრენტიევი.

3) საშუალო შეკეთების უჯრედის, პლეხანოვის კლუბში საღამოს 5 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: ლელაშვილი, ყამარაული და პოპოვი.

შაბათს, 17 აგვისტოს, დილის 9 საათზე, საკავშირო კომპ. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი პოლიტგანმანათლებელ და სასწავლო ფილმის შესახებ. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ციხელაშვილი (საქართველოს კპ. ცეკას აგიტპროპგანყოფილება), ადამიანი (თბილისის კომიტეტის აგიტპროპ. განყოფილება), გოგინაშვილი და დოლიძე (საქართველოს სახკინმრეწვი), დუდუჩავა (სამხატვრო აკადემია), მეგრელაძე („გლავნაუკა“), ექიმი ჭელიძე, ექ. ტერ-ისრაელიანი (ამ. კავკ. რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილება), ჩხატარაშვილი (მთავარი პოლიტგანი), ალავიძე (ხელოვნების მთავარი ინსტიტუტი) და ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის წარმომადგენელი.

დამწუხრებულნი: ძმები ნიკურე და გრამიტო, დები: ნეტროს და ლიდა იუწყებიან, რომ მათთვის ძვირფასი ძმის

ელისო თემურაზის-ძე იმედაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად 17 აგვისტოს, 12 ს. გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

2842.

ქუთაისის სამაზრო კომიტეტი და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებენ ძველი გამობრძმედილი ბოლშევიკის, საუკეთესო აქტიურ მუშაკის ამხ.

თადეოზ ექვთიმეს-ძე

გუბელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. პატრიკეთში, შაბათს, 17 აგვისტოს.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: გრიგოლ, ელენე (თალიკო), ბაბულია, ალექსანდრე (ალეკო), ქეთევან, ოლიკო, ასლან, ლარისა, ლიპა, სოსიკო და ლიდა წულუკიძეები; რძლები ხინო რაჟდენის ასული წუწუნავა, სოფიო ივანეს ასული ავალიშვილი, სიძე ექ. გიორგი ლორთქიფანიძე, შვილიშვილები: ტატუკა, ქეთინო, ნელიკო და თამაზ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა.-წ. 14 აგვისტოს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ს. კულაშში, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ელისაბედ (ლიზა) ონისიმე მდივნის ასული

წულუკიძისა

ჩამოსვენებისა და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოქვეყნებული. (ე)

თანახმად ქ. თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, თბილისის მუშების, მშრომელი მოსახლეობის და მაზრის მშრომელი გლეხობის დაახლოების და მათთვის სამსახურის უკეთ გაწევის მიზნით, ა.-წ. 6 აგვისტოდან პრეზიდიუმის თავმჯდომარის კაბინეტში შემოღებულია პრეზიდიუმის წევრების ყოველ დღიური მორიგეობა, საღამოს 6 საათ.— 8-მდე. გარდა ამისა, ა.-წ. 15 აგვისტოდან ყველა ძირითად განყოფილებებში იწარმოებს ასეთივე მორიგეობა განყ. გამგის და მათი მოადგილეების, როგორც მუშებს, ისე მოსამსახურეებსა და გლეხებს შეუძლიათ ამა თუ იმ საკითხის შესახებ მიმართონ მორიგეს პრეზიდიუმში აღნიშნულ საათებში, ხოლო განყოფილებებში ქვემოდ ნაჩვენებ დღეებში.

1. საორგანიზ. განყ. ყოველ დღე გარდა ორშაბათ და კვირა დღეებისა საღ.	6—9-მდე
2. საფინანსო განყოფ. სამშაბათობით, ოთხშაბათ., პარასკევ.	7—8-მდე
3. საბჭოსთან არსებულ სექციებში ყოველდღე გარდა ორშაბ. და კვირა დღეებისა	5—7-მდე
4. განათლების განყოფილებაში—ოთხშაბათობით და შაბათობით	6—8-მდე
5. კომუნალურ განყოფ.—ორშაბათობით, სამშაბათობით და ოთხშაბათობით	6—9-მდე
6. კეთილ-მომწყობ ქ-განყ.—სამშაბათობით, ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით	6—9-მდე
7. საიჯარო საექსპ. ქ.-განყ. ოთხშაბათობით, ხუთშაბათ. და პარასკევობით	7—9-მდე
8. კომუნალურ სახლთა სამმართველოში—სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ.	5—8-მდე
9. ჯანმრთელობის განყოფილებაში „ „ „	6—8-მდე
10. ადგილობრივ მრეწველ. განყოფილებაში „ „ „	5—8-მდე
11. ადმინისტრატიულ განყოფილებაში „ „ „	6—9-მდე
12. სადგილ-მამულო განყოფილებაში ოთხშაბათობით და შაბათობით	7—9-მდე

ბ. 3113. აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილება.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) ღ კანის სნეულებანი.
მიღება: { დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).
25—1

დაკარგვა: დაბადების მეტრიკული ამონაწერი, გაცემული ქუთაისის აღმასკომის მმაჩის მიერ თამარა გიორგის ასული ბალანჩივაძის სახელზე, ჩ. გ. ბ. 3111

დაკარგვა პარტბილეთი № 0870832 გაცემული თბილისის ქალაქის მე-4 რაიკომის მიერ გიორგი აბესალომის-ძე რობაქიძის სახელზე, ჩ. გ. ბ. 3111

დაკარგვა: თელავის რაი-ათწლედის კურსის დამთავრების მოწმობა № 28, თამარა მამისთვალოვის სახელზე, ჩ. გ. ბ. 3112

დაკარგვა: ინვალიდობის მოწმობა № 1165 გაცემული ქუთაისის სოც-უზრუნველყოფის განყოფილების მიერ ევაკე გიორგაძის სახელზე, ჩ. გ. ბ. 3111

დაკარგვა: 1-ლი შვიდწლედის მოწმობა № 235, გაცემული ქალაქ ქუთაისის ამავე 1-ლი შვიდწლედის გამგეობის მიერ, ვენერა თეოფილეს ასული დარსაძის სახელზე, ჩ. გ. ბ. 3111

დაკარგვა: შვიდწლედის დამთავრების მოწმობა № 748, გაცემული ქუთაისის რკინის გზის ცხრაწლედის შრომის სკოლის მიერ და მეტრიკული ამონაწერი გაცემული ორპირის თემაღმასკომის მმაჩის მიერ ელენე უკლებას სახელზე ჩ. გ. ბ. 3111.

დაკარგვა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი მოცემული მე-4 ხე ლეგოშტაბიდან გრიგოლ ბარბაქაძის სახელზე, ჩ. გ. № 2900

დაკარგვა: მეტრიკული ამონაწერი ვლადიმერ მარკოზის-ძე თხელიძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 2894

დაკარგვა: საწევრო წიგნაკი № 31552, გაცემული ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო-მუშაკების პროფკავშირის მიერ იოსებ სამსონის-ძე ძოძუაშვილის სახელზე, ჩ. გ. ბ. 3111

დაკარგვა: მეტრიკული ამონაწერი № 2329 ვლადიმერ ჩხენკელის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 2893

დაკარგვა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 3417 დიანოსე კალმახელიძეს სახელზე, ჩ. გ. № 2896

დაკარგვა: პასპორტი № 315, პირადობის მოწმობა № 115 და მეტრიკული ამონაწერი № 75 აბაზ სულეიმან ოღლის სახელზე, ჩ. გ. № 2897

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 705, გაცემული გომბორის თემსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ ბაირამ ბალი ოღლის სახელზე, ჩ. გ. № 2900

მე, არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწემ ხოლომონ დავითის-ძე ალხაზიშვილმა დავკარგე არაპირდაპირ გადასახადთა კონტროლიორის ლუქის ბეჭედი № 14 და პროფესიონალური კავშირის წიგნაკი № 19074, ჩაით. გაუქ.
ხ. დ. ალხაზიშვილი.
ბ. 3111

დაკარგვა მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 37382, გაცემული გ. ბ[illegible]გოსაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 2902

დაკარგვა: ლომბარდის ქვითრები №№ 80787, 78948, 79139, 80083, 74280, 81529, 7298. ჩ. გ. ქვ. 290

ტირაჟი—43.574
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904